

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

თ. ყაუხჩიშვილი

სტრაბონის გეოგრაფია

ცნობები საქართველოს შესახებ



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

1957

შინაარსი

	80
წინასიტყვაობა	VII—VIII
შესავალი	1—62
სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროები	5—14
ცნობები საქართველოს შესახებ .	14—25
სტრაბონის ტერმინოლოგია	25—62
სტრაბონის გეოგრაფია	63—225
I წიგნი	65—81
II წიგნი	82—95
III წიგნი	95
IV წიგნი	96
V წიგნი	96—97
VI წიგნი . .	98—99
VII წიგნი .	99—102
VIII წიგნი .	102—103
IX წიგნი	103—105
X წიგნი	105
XI წიგნი	106—198
თავი I .	106—110
თავი II	110—127
თავი III	127—130
თავი IV	130—135
თავი V	136—142
თავი VI .	142—145
თავი VII . .	145—150
თავი VIII	150—158
თავი IX	158—161
თავი X	161—162
თავი XI	163—171
თავი XII	171—176
თავი XIII . .	176—185
თავი XIV	185—198
XII წიგნი	199—217
თავი I	199
თავი II	199—200
თავი III	200—216
თავი IV	216
თავი VIII	217

XIII წიგნი .	218
XIV წიგნი .	218—223
XV წიგნი .	223—225
XVI წიგნი	225
XVII წიგნი	225
ვარიანტები	226—233
საძიებლები	234—301
პირთა სახელები	234—248
ხალხების, ტომებისა და გვარების სახელები .	249—266
გეოგრაფიული სახელები	267—301
უმთავრეს შეცდომათა გასწორება	302

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში „სტრაბონის გეოგრაფია“, დამუშავებულია და მთლიანად თარგმნილი „გეოგრაფიის“ XI წიგნი. ხოლო დანარჩენი 16 წიგნიდან გამოკრეფილია საქართველოს შესახებ მასალა. XI წიგნი შეიცავს ბევრ მნიშვნელოვან ცნობას საქართველოს ისტორიისათვის, მაგრამ ამასთან ერთად იქ ვხვდებით მასალას, რომელსაც საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის უშუალო გამოყენება არა აქვს. ამდენად, შეიძლებოდა წინამდებარე გამოცემაში მთლიანად თარგმნილი XI წიგნიდანაც დანარჩენი 16 წიგნის მსგავსად მხოლოდ ცალკეული ადგილები მოგვეტანა და მაშინ დაცული იქნებოდა ერთგვარობა—მთელი „გეოგრაფიიდან“ მხოლოდ საქართველოს შესახებ ცნობები იქნებოდა გამოკვეყნებული. მაგრამ რადგანაც სტრაბონის „გეოგრაფია“ ქართულად არ გვაქვს, ამიტომ ვამჯობინე ერთგვარობის პრინციპი დამერღვია და სხვა „წიგნების“ ფრაგმენტებთან ერთად გამომეცა ერთი მნიშვნელოვანი „წიგნი“ მაინც მთლიანად. გამოცემა უეჭველად მოიგებდა, რომ XII წიგნიც ასევე სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო ამის გაკეთება ვერ მოხერხდა. გამოცემაში პარალელურად არის მოცემული ბერძნული და ქართული ტექსტები. ბერძნული ტექსტი უახლესი გამოცემებიდან (ჯონზი, მაჯნეკე) არის გადმობეჭდილი. თუ დედნის გაგების მიმართ ჩემს რამდენიმე ცალკეულ შენიშვნას არ მივიღებთ მხედველობაში, ამ ნაწილს (ე. ი. ბერძნულ ტექსტს) დამოუკიდებელი კვლევისა და სიახლის პრეტენზია არც შეიძლება ჰქონდეს: ის მოტანილია მხოლოდ იმისთვის, რომ მკითხველს (მკვლევარს) საშუალება მიეცეს ცალკეული ადგილების ორიგინალთან კიდევ ერთხელ შემოწმებისა.

წინამდებარე შრომის შესავლიდან ზოგი ნაწილი ცალკეული წერილების სახით აღრევე იყო გამოკვეყნებული, მაგრამ ამათუიშ სახით ისინი მაინც დაეტოვე ამ გამოცემაშიც, რადგან მასში მინდა თავმოყრილი იყოს შეძლებისდაგვარად სრულად, რაც გაკეთებულა სხვების თუ ჩემ მიერ სტრაბონთან დაკავშირებით ძველი საქართველოს ისტორიის შესწავლის ასპექტში.

დასასრულ მინდა რამდენიმე შენიშვნის გაკეთება ჩემივე თარგმანის მიმართ: ივ-დაბლობებიანი საკუთარი სახელები ქართულად ჩვეულებრივ მაქვს ე-დაბლობებით (*Μένανδρος*—მენანდრე *Φρίξος*—ფრიქსე; თუმცა ზოგჯერ დატოვებულია ბერძნული დაბო-

ლოებებიც მაგ., ჰომეროსი, მედოსი...), ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობდი ბერძნული სახელების ქართულად გადმოცემის რეალურად არსებული ტრადიციით (როგორცაა Πησλιδ—პავლე, Πέτρος—პეტრე), მაგრამ ეგებ უმჯობესი ყოფილიყო, დამეტოვებინა -იც, რადგან მეტ წილად საქმე გვაქვს არც თუ ისე გავრცელებულ და წიგნური გზით შემოსულ სახელებთან.

ბერძნული წ გადმოცემული მაქვს ქართულად მეტწილად „ზ“-თი, იშვიათად „ძ“-თი (მაგ., ჯაყი—ძიგები). ო მაქვს ხან „ზ“-თი, ხან „ქ“-თი. სტრაბონის დროისათვის ბერძნულ ბგერათა გადმოცემაში უკვე შეიმჩნევა ის ცვლილებები, რაც მერე, ბიზანტიური ხანიდან საბოლოოდ მკვიდრდება ენაში, მაგრამ მაინც მგონია, რომ სტრაბონის დროისათვის უმჯობესი იქნებოდა კლასიკური ნორმების დაცვა (ე. ი. წ ყოფილიყო ყოველთვის „ძ“ და ო კი „ქ“), მაგრამ ზოგ შემთხვევაში ასევე ტრადიციის ძალით ველარ დავწერე „ქ“ (მაგ., სიტყვაში ომსაჰაჰ). ამან გამოიწვია ერთი და იგივე ბგერის ასე სხვადასხვაგვარი გადმოცემა ქართულად.

როდესაც საქმე ეხება გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემას, მე ჩვეულებრივ ქართულადაც იმ ფორმას ვტოვებ, როგორც იყო ბერძნულში (მაგ., ალაზონიოსი, სევსამორა, ჰარმობიკე...). გამოინაკლის წარმოადგენს ΚΝραჰ—მტკვარი, და Σαραπαναჰ—შორაპანი. თუმცა სადავო არაა ამ ორი ბერძნული სიტყვის გაგება, მაგრამ ასე მგონია, სჯობდა, დამეტოვებინა აქაც „კიროსი“ და „სარაპანა“.

ქართულ თარგმანში აზრის სიცხადისათვის ეხმარებ კვადრატულ ფრჩხილებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვა ბერძნულ ტექსტში ან არაა, ან ნაცვალსახელია მის მაგივრად.

საძიებლები ერთი შეხედვით შეიძლება არა თანაბრად დამუშავებულად მოგვეჩვენოს. მაგ., მთელი სტატიია „ალბანიაზე“ და არაფერია „ევროპაზე“. საქმე ისაა, რომ „ალბანია“ (და მისი მსგავსი სხვა ბევრი სიტყვა) უშუალო მიზანი იყო ამ შრომის დამუშავებისას. სტრაბონს თუ კი სადმე რამე ჰქონდა მის შესახებ, ყველაფერი გაშოკრებულია. ამის საფუძველზე საძიებელშიც შესაფერი მასალაა წარმოდგენილი. რაც შეეხება „ევროპას“ (და მისთანათ), მის შესახებ სტრაბონს, რა თქმა უნდა, ბევრად მეტი უწერია, ვიდრე „ალბანიაზე“, მაგრამ ჩვენი ტექსტის საფუძველზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით მის შესახებ, ხოლო ზოგადი სტატიების წერა „ევროპაზე“ აქ სრულიად უადგილო იყო.

სტრაბონი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

ბერძენ მწერალთა შორის, რომელთაც საქართველოს შესახებ დაგვიტოვეს ცნობები, სტრაბონი ჩვენში ერთი ყველაზე უფრო პოპულარულთაგანია. რაც მისი ცხოვრების შესახებ ვიცით, სპეციალისტთა მიერ ძალიან დადამტკიცებულია მისივე თხზულებიდან („Geographica“) და, დამატებით, ბიზანტიელი ლექსიკოგრაფების შრომებიდან (იხ. სვიდას ლექსიკონში სიტყვა Παιδύσις და სტეფანე ბიზანტიონელის ლექსიკონში სიტყვა 'Αμαρεια).

მისი ცხოვრების სხვადასხვა თარიღის დადგენა ხდება შრომაში გაბნეული ისტორიული ამბებისა და ცალკეული გამოთქმების მიხედვით.

კერძოდ, დაბადების წლის განსაზღვრაში გვეხმარება ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: ααμ' ἤμαξ, εἰ' ἦσαν, μακρὰ παρ ἡμῶν და სხვ. ამის მიხედვით სტრაბონი დაიბადა ძვ. წელთაღრიცხვის 64/63 წლების ზამთარში ქ. ამასიაში (პონტოში), ხოლო გარდაიცვალა ახ. წელთაღრიცხვის 18 წლის შემდეგ 23/24 წლებამდე. წარმოშობა მას საკმაოდ ბრწყინვალე აქვს, განსაკუთრებით დედის მხრივ. მაგ., დედის მხრივ სტრაბონის დიდედის პაპა ყოფილა დორილაოსი, მითრიდატე პონტოელის სარდალი; ამავე დიდედის ბიძა (უფრო ზუსტად მამის ბიძაშვილი) ასევე დორილაოსი — მითრიდატე პონტოელის (ევპატორის) სარდალი და კომანის ქურუმი; დედის ბიძა მამის მხრიდან, მოაფერნე, — მითრიდატე ევპატორის დიდი მოხელე და მახლობელი. მამის მხრივ პაპა აფნიატე რომაელთა ბატონობის დამკვიდრებამდე 15 ციხე-სიმაგრეს განაგებდა, ხოლო რომაელთა ბატონობის დროს ოჯახი ასევე საკმარის კეთილდღეობაში ყოფილა. ამის შედეგად და ბრწყინვალე ბუნებრივი მონაცემების საფუძველზე, სტრაბონი თავისი დროისათვის მეტად განათლებულ პიროვნებად გვევლინება. მისი მასწავლებლები იყვნენ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას (ნისეში, ალექსანდრიაში, რომში) არისტოტელემ ნისელი — რიტორიკასა და გრამატი-

კაში, პერიპატეტიკოსი ქსენარქოს სელევკიელი კილიკიიდან და გრამატიკოსი ტირანიონ ამისელი, რომელმაც გაუღვიძა აგრეთვე გეოგრაფიისადმი სიყვარული. ძველი წყაროები და თანამედროვე მკვლევრები სტრაბონს იხსენიებენ ფილოსოფოსად, ისტორიკოსად და გეოგრაფოსად. ნამდვილი ფილოსოფოსი ის, რა თქმა უნდა, არ ყოფილა, მაგრამ ჰქონდა საფუძვლიანი განათლება და თვლიდა თავს სტოიკოსად. თავი ფილოსოფოსად მიაჩნდა (და არა ისტორიკოსად ან გეოგრაფოსად).

რომაელთა ლაშქრობების თანამედროვეს, სტრაბონს, თავის სიცოცხლეში ბევრი მოგზაურობა შეხვედრია, ერთი — როგორც მეცნიერ-მკვლევარსა და წარჩინებულ პირთა (მაგ., ელიუს გალუსის) მხლებელს და მეორე — როგორც წარგზავნილ პირს, დესპანს. თავის მოგზაურობათა შესახებ თვით წერს, რომ მოიარა ქვეყნები „ἀπὸ τῆς Ἀρμενίας μέχρι τῶν ἁπᾶν Σαρδόνια τόπων τῆς Τυρηνίας“ და „ἀπὸ τοῦ Ἐβζέσιου μέχρι τῆς Ἀλβανίας ἕρως“ (II, 5, 11). ამ განცხადებათა გარდა, თვით მისი შრომის განხილვიდან ჩანს, რომ სხვადასხვა დროს მას უმოგზაურია მცირე აზიაში, პონტოს სანაპიროებზე, ეგვიპტეში, იტალიასა და მის სანაპიროებზე, კორსიკასა და სარდინიაში, საბერძნეთში (კორინთო), ერთი სიტყვით, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსა და ახლო აღმოსავლეთში.

ამ საკითხების კიდევ უფრო დაზუსტებაც შეიძლება: სავა-რაუდოა, რომ სტრაბონი ყოფილა კოლხიდაშიც. ვფიქრობ, ამის საბუთად გამოდგება შემდეგი ადგილები მისი „გეოგრაფიიდან“.

I, 3, 8 მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რას შვრებიან მდინარეები, შავი ზღვის ნაპირას, როგორ ჩამოაქვთ შლამი, და შემდეგ მოჰყავს ფაზისის მაგალითი: „შლამის დაგროვება ხდება მდინარეთა შესართავებთან, როგორც, მაგალითად, ისტროსის შესართავთან, ე. წ. სტეთოსთან, სკვითების უდაბნოსთან და სალმიდესოსთან, თუმცა ამას სხვა დინებებიც ახდენენ. ხოლო ფაზისის მახლობელი მიდამოები, კოლხიდის სანაპირო, ქვიშიანი, დაბალი და რბილია; ასევეა თერმოდონტთან და ირისთან მთელი თემისკირა, ამჰონთა დაბლობი და სიდენის დიდი ნაწილი“; ან კიდევ II, 1, 11: „სანაოსნო გზა ამისოდან კოლხიდაში რომ აღმოსავლეთისაკენაა, ამას ამტკიცებენ ქარები, წელიწადის დროები, ნაყოფი და თვით მზის ამოსვლა...“.

რა თქმა უნდა, სტრაბონს ეს ყველაფერი შეეძლო სცოდნოდა წერილობითი წყაროების საშუალებით ან სხვათა სიტყვის მიხედვით. მაგრამ რაკი ჩვენ ვიცით მისი მანერა წერისა (ის ჩვეუ-

ლებრივ ასახელებს ავტორებს, ვისი შრომითაც უსარგებლია, და თუ არ ასახელებს, მაინც ამბობს: „ასე ამბობენ“, „ნათქვამია“ და სხვ.¹, ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ ადგილების მხილველი თვითონ არის, ეს ცნობები მას უშუალო დაკვირვებების შედეგად შეუკრებია².

საკითხი, თუ სად დაასრულა სტრაბონმა თავისი სიცოცხლე და სად დაწერა თავისი Geographica, დადგენილი არაა. Niese ფიქრობს, რომ იგი ბოლოს რომში ცხოვრობდა და იქ გარდაიცვალა, Pais-ის აზრით მწერალი ბოლოს თავის სამშობლოში ცხოვრობდა, თავისი შრომა იქ დაწერა და მიუძღვნა პონტოს დედოფალს, პითოდორისს; ე. პონიგმანი და მასზე უწინ პ. მაჯერი სტრაბონის უკანასკნელ საყუდლად ჰიპოთეზურად ნეაპოლს მიიჩნევენ და ა. შ.

სტრაბონის სახელით ორი ნაწარმოები არის ცნობილი: ერთი არის მისი ძირითადი შრომა Ἰστορικῆς Γεωγραφικῆς, შემდგარი 47 წიგნისაგან და დაწერილი დაახლ. 27 — 25 წლებში. აქ მიმოხილულია ალექსანდრე მაკედონელის ეპოქა, ძირითადად კი 144 წლიდან მოყოლებული ამბები, ე. ი. პოლიბიოსის ისტორიის გაგრძელებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ეს შრომა დღესდღეობით მხოლოდ 19 ფრაგმენტის სახით არის წარმოდგენილი. მეორე შრომა არის Γεωγραφικῆς, რომელიც მთლიანად არის ჩვენამდე მოღწეული და, თუ აქა-იქ ტექსტს მკირე რამ აკლია, ეს ცალკეული ხელნაწერების დაზიანებულობის მიზეზით.

შრომის დაწერის თარიღი ცნობილი არ არის, ჩანს, ავტორს მასალა ხანგრძლივად ჟგროვებია და შრომა დაუწერია „ისტორიის“ შემდეგ. „გეოგრაფიის“ დაწერის თარიღის გარკვევა ხერხდება შრომაში დაცული სხვადასხვა რეალიების მიხედვით. მაგ., IV, 6, 9 ნათქვამია: რაც ნორიკების (დუნაისპირეთის ტომია) თავდასხმას ბოლო მოუღეს ტიბერიუსმა და დრუზმა, უკვე 33 წელი გავიდაო. ნორიკის პროვინციის შემოერთება მოხდა ძვ. წ.

¹ მაგ., XI, 14, 13 მდ. არაქსის შესახებ აკრიტიკებს ჰეროდოტეს და ამ საკითხში მის თანამოაზრე კალისტენეს, მოჰყავს სხვა ცნობები უავტოროდ, მაგრამ ამბობს: *φασι, νομιζοισσι* და სხვ.

² გავიმეორებ ხელოვნურად ცნობილ ადგილს (II, 5, 11), სადაც სწერია: „ჩვენ თვით დაგვიკლია დასავლეთის მიმართულებით არმენიიდან ტირენიის ადგილებამდე, რომლებიც სარდინიის პირდაპირ მდებარეობენ, ხოლო სამხრეთისაკენ — ექსინიდან ვითოპიის საზღვრამდე“. აქ ზუსტად არაა დასახელებული ექსინის რა პუნქტებია დავილი, მაგრამ თავისუფლად შეიძლება წარმოდგენა, რომ მას ექსინის აღმოსავლეთი სანაპირო უნაზავს.

15 წელს, ე. ი. ამ ადგილის წერის დროს არის ახ. წ. 18 წ. V, 3, 8 — მწვერვალზე არის ოქტავიანუს ავგუსტუსის ქანდაკება, ხოლო ქვემოთ არის სამარხავები, თვით მისი, მისი ნათესავების და შინაურებისა (ე. ი. ახ. წ. 14 წლის შემდეგაა ეს ადგილი დაწერილი). VI, 4, 2 — ახლა (vsv) მემკვიდრე ოქტავიანუს ავგუსტუსისა, ტიბერიუსი, არის კეისარი და ზრუნავს ქვეყნისათვის (ე. ი. კვლავ ახ. წ. 14 წლის შემდეგი დროის ამბავია). XIII, 2, 3 — მარკუს პომპეუსი ახლაც ითვლება ტიბერიუსის ერთ-ერთ უახლოეს მეგობრად (ჩანს, უკვე ტიბერიუსის კეისრობის ხანაა). XIII, 4, 8 — ჩვენი თანამედროვე ჰეგემონის (კეისრის) ტიბერიუსის შემწეობით ბევრი ქალაქი აღდგა.

ამგვარად, ის ადგილები, რომლებიც რეალურ მითითებას შეიცავენ თარიღზე, ახ. წ. 14 წლის შემდეგ დროს არის დაწერილი, როდესაც სტრაბონი 70 წელზე მეტისა იყო. 18—19 წლები დაწერის თარიღად (როდესაც ყველაზე მეტად არის სავარაუდებელი „გეოგრაფიის“ ტექსტის საბოლოო რედაქცია სტრაბონის მიერ) ჰ. ჯონზს სარწმუნოდ არ მიაჩნია იმ მოსაზრების გამო, რომ 80 წლის მოხუცი (სტრაბონი) ამოდენა მუშაობას ვერ შესძლებდაო¹.

ვფიქრობ, რომ შრომა საბოლოოდ დამუშავდა ტიბერიუსის დროს (სტრაბონის თხზულებაში აშკარად ჩანს ტიბერიუსის განდიდების სურვილი, ე. ი. ტიბერიუსი კეისარია და ეს საჭიროა), მაგრამ მისი ნაწილები ოქტავიანუს ავგუსტუსის კეისრობის დროსაა დაწერილი, რაც დასტურდება სტრაბონის პირადი, მეტისმეტად თავყანისმცემლური, დამოკიდებულების საგანგებო გამოშვლებით.

Γεωγραφικὰ Στελλεβὰ 17 წიგნისაგან და ამ წიგნებში ძირითადად თემატიკა ასეა განაწილებული: I—II წიგნებში ავტორი ეხება ზოგად საკითხებს: ავტორის მიზანი, გეოგრაფიის დანიშნულება, მისი კავშირი ფილოსოფიასა და ასტრონომიასთან, ფიზიკური გეოგრაფიის დებულებები, წინამორბედ და თანამედროვე ავტორთა კრიტიკა. III—X წიგნებში ევროპის ქვეყნებია აღწერილი. XI—XVI წიგნებში — აზიისა. XVII წიგნში კი აფრიკის აღწერილობაა მოცემული.

წინამდებარე შრომის საგანს წარმოადგენს სტრაბონის „გეოგრაფია“, განსაკუთრებით, მისი XI წიგნი. ვისაც საქმე ჰქონია

¹ The Geography of Strabo, vol. I, 1917, p. XXVL

„გეოგრაფიის“ ხელნაწერებთან, აღნიშნავენ: „Если большинство сочинений древности не мало пострадало от времени, от невежества и небрежности читателей, переписчиков и владельцев рукописей, если в большинстве сочинений существуют более или менее значительные пробелы, или позднейшие вставки, или перестановки и искажения отдельных слов, то текст Страбоновой Географии подвергся совокупному разрушительному действию всех этих случайностей“ (Ф. Г. Мищенко, География Страбона... М. 1879, стр. V). მიუხედავად ასეთი განწყობილებისა სტრაბონის ხელნაწერების მიმართ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თვით ხელნაწერთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა და მათი შეჯგერების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამოღენა და ასე გამართული ნაწარმოების აღდგენა და დადგენა. ხელნაწერთა რიცხვი დაახლოებით 30-ს უდრის, აქედან უძველესი ხელნაწერი არის X ს-ის დასასრულისა, ე. წ. epitome Palatina (ჰაიდელბერგური № 398), ე. ი. შემოკლებული რედაქცია მთელი შრომისა. სრულ ტექსტთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია cod. Parisinus, 1397, XII ს-ის ძეგლი, გადატანილი ფლორენციიდან პარიზში მარია მედიჩის მიერ. ეს ხელნაწერი შეიცავს პირველ ცხრა წიგნს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო II ნახევარი შრომისა კვლავ რამდენიმე ხელნაწერთაა წარმოდგენილი, მათ შორის აღსანიშნავია ვენეციის ხელნაწერი, ე. წ. cod. Marcianus, 640, XIV საუკუნისა.

დასასრულ, 1875 წელს, რომის მახლობლად, გროტაფერატის სააბატოში აღმოჩენილ იქნა სტრაბონის „გეოგრაფიის“ შემცველი VI ს-ის პალიმფესესტი, სადაც „გეოგრაფიის“ ტექსტი დაფარულია რელიგიური ხასიათის თხზულებებით. გამოცემებში ეს უძველესი ხელნაწერი გამოყენებული ჯერ არსად არის.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ გამოცემათა შორის აღსანიშნავია A. Meineke-ს გამოცემა 1860—66 წლებისა და შემდეგ არა ერთგზის გადაბეჭდილი. ჩემთვის ცნობილი უკანასკნელი გამოცემაა H. Jones-ისეული, ლონდონი, 1917—1932 წწ.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროები

სტრაბონის თხზულების კითხვის დროს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ იგი არაჩვეულებრივი ხალისით იმოწმებს სხვადასხვა ავტორებს და მოჰყავს ვრცელი ციტატები მათი შრომებიდან, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, საზოგადოდ

ბეტისმეტად კეთილსინდისიერად. იგი აქა იქ ეკამათება კიდევაც ამა თუ იმ მწერალს და მის აზრს უპირისპირებს მეორისას, ან თავის საკუთარს, იძლევა მათ შეფასებას (დადებითსა თუ უარყოფითს). ამდენად, სტრაბონის შესწავლისას ერთ-ერთი საკვანძო საკითხი არის მისი წყაროების საკითხი: ავტორს ბევრი ქვეყანა, რომელსაც აგვიწერს, თვით არ უნახავს, ამიტომ მოჰყავს მის შესახებ სხვათა აზრი, ე. ი. იმისათვის რომ ესა თუ ის ცნობა კარგად გამოვიყენოთ, უნდა ვიცოდეთ თუ ვისია, როდინდელია ის, ე. ი. აუცილებელია პირველი წყაროს დადგენა. ამ საკითხში პირველ რიგში თვით სტრაბონი გვშველის და მასზე დაყრდნობით — სხვადასხვა მეცნიერები. სტრაბონის წყაროების კვლევას დაახლოებით 80 წლის ისტორია აქვს. ყველაზე ვრცელი, საფუძვლიანი გამოკვლევა ე. ჰონიგმანს ეკუთვნის, აქვეა მიმოხილული მისი წინამორბედი მკვლევრების მონაპოვარიც (Pauly-Wissowa's RE IV A, 79—155).

სტრაბონის წყაროთა დაჯგუფება შეიძლება ორად: მისი თანამედროვე ავტორების თხზულებები და მასზე ადრე არსებული მწერლების შრომები.

სტრაბონს თანამედროვე ისტორიკოსთაგან ძირითადად შემდეგი ავტორები ჰყავს გამოყენებული:

1. ტიმაგენე ალექსანდრიელი დამოწმებულია ორჯერ: IV, 1, 13, სადაც გადმოცემულია კეპიონის ასულთა თავდასასვალი და XV, 1, 57-ში, სადაც მოთხრობილია ინდური იგაეები.

ტიმაგენე ალექსანდრიელი ძვ. წ. ა. I საუკუნის მოღვაწეა, დაიბადა დაახლ. 80 წელს, იგი არის ავტორი ოქტავიანუს ავგუსტუსის „ისტორიისა“, „სამეფო წიგნისა“ და „ღიაღობოსების ისტორიისა“. ყოველ შემთხვევაში პირველი ამ შრომათაგანი გამოიყენა სტრაბონმა.

2. I საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე აზინიუს პოლიონი „გეოგრაფიაში“ ერთხელ ჰყავს დამოწმებული სტრაბონს: IV, 3, 3, სადაც ეკამათება აზინიუს პოლიონს რაინის სიფართოვის საკითხში. აზინიუს პოლიონი იყო ავტორი „ისტორიისა“, გრამატიკული თხზულებებისა და ტრაგედიებისა.

3. სტრაბონის თანამედროვე მოღვაწე იყო ნიკოლოზ დამასკელი (დაიბადა ძვ. წ. ა. 64 წელს), რომელსაც იგი ერთხელ ახსენებს: XV, 1, 73 (ნიკოლოზ დამასკელი ანტიოქიაში შეხვედრია ავგუსტუსთან წარგზავნილ ინდოელ დესპანებს). ნიკოლოზ დამასკელს დაუწერია „მსოფლიო ისტორია“, „ავტობიოგრაფია“, ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო შრომები, ტრაგედიები და

კომედიები. სტრაბონი იყენებს ამ თხზულებათაგან ან „მსოფლიო ისტორიას“ ან „ავტობიოგრაფიას“, ან ორივეს ერთად.

4. სტრაბონის ერთ-ერთ წყაროდ მის თანამედროვეთა შორის ასახელებენ კვინტუს დელიუსს, რომელიც იყო ანტონიუსის ლეგატი და ავტორი პართელთა ომის ისტორიისა. ფაბრიციუსი შრომაში — „Theophanes von Mitylene und Quintus Delius als Quellen der Geographie des Strabon“ ასაბუთებს, რომ XI და XVI წიგნებში დელიუსის შრომიდან მოტანილი 11 ფრაგმენტი გვხვდება. ე. ჰონიგმანი იმის გამო, რომ სტრაბონმა ლათინური სუსტად იცოდა, ხოლო კვინტუს დელიუსის შრომა ლათინურადაა დაწერილი, უარყოფს ამ მოსაზრებას და სარწმუნოდ მარტო ის მიაჩნია, რაც უშუალოდ „გეოგრაფიაში“ არის, სახელდობრ: XI, 13, 3-ში დამოწმებულია დელიუსი, როგორც მეგობარი ანტონიუსისა და აღმწერელი ანტონიუსის ლაშქრობისა პართების წინააღმდეგ. ე. ი. ჰონიგმანის აზრით, დელიუსის შრომას სტრაბონი უშუალოდ არ იცნობდა, ისე კი იცოდა მისი არსებობა და სხვათა სიტყვით მისი შინაარსი.

5. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის სტრაბონის უფროსი თანამედროვე თეოფანე მიტილენელი, მონაწილე პომპეუსის ლაშქრობისა და ავტორი საისტორიო თხზულებისა, რომელშიაც აღწერილია მითრიდატეს მესამე ომი 73 წელს. სადაც კი სქირდება სტრაბონს პომპეუსის ლაშქრობათა შესახებ ლაპარაკი მცირე აზიასა და კავკასიაში, იყენებს ხოლმე თეოფანეს. 5-ჯერ ის დამოწმებულიც ჰყავს, ოთხჯერ XI წიგნში (XI, 2, 2; 5, 1; 14, 4; 14, 11) და ერთხელ XII წიგნში (3, 28) („ასევე ფიქრობს თეოფანე მიტილენელი“, „თეოფანე... მოგვითხრობს“, „რომელთაც... თეოფანე უწოდებს ხის (ქიებს)“, „თეოფანეს განსაზღვრით“, „ამიტომ უწოდა მას თეოფანემ სინორია“...).

6. სტრაბონის წინა თაობის მეცნიერთა რიგს ეკუთვნის პოსიდონიოსი (140—56 წწ.), რომელიც ანტიკურ სამყაროში არისტოტელეს მერე უდიდეს მეცნიერად იყო მიჩნეული. იგი იყო ავტორი მრავალი სხვადასხვა ხასიათის თხზულებისა, როგორიცაა: „ისტორია“ (პოლიბიოსის შრომის გაგრძელებას წარმოადგენდა — 144—86 წლების ამბებს შეიცავდა), „Περὶ ἀξέων“, „მეტეოროთების“ და სხვ. პოსიდონიოსს მიაწერენ პომპეუსის ლაშქრობათა აღწერას (და ვისაც ეს ასე მიაჩნია, თვლის, რომ სტრაბონმა ის გამოიყენა კავკასიის გეოგრაფიისათვის). მაგრამ ეს კითხვის ქვეშ არის დაყენებული. მაგ., ე. ჰონიგმანს მიაჩნია, რომ პოსიდო-

ნიოსს ასეთი შრომა არც ჰქონია. აზრი იმის შესახებ, რომ პოსიდონიოსს პომპეუსის ლაშქრობათა აღწერილობა, ჰქონდა, დაფუძნებულია სტრაბონის გამოთქმაზე: „*πιστευει δὲ τῆς αἰῆς τῆς Ἰστορίας συνῆραψε τὴν περὶ αὐτῶν*“ (XI, 1, 6), რაც ბევრ მკვლევარს (Wachsmuth, Jacoby, Honigmann) შემდეგი დროის ჩანართად მიაჩნია. თუ სადავოდაა გამხდარი საკითხი პოსიდონიოსის „პომპეუსის ისტორიის“ არსებობისა, ან კიდევ სტრაბონის მიერ ამ შრომის გამოყენებისა კავკასიის (და საერთოდ მცირე აზიაკავკასიის) ქვეყანათა აღწერილობისას, უდავოდაა მიჩნეული პოსიდონიოსის „*Ἰστορίας*“-თ და „*Περὶ ἀξέσων*“-თი სარგებლობა, განსაკუთრებით III წიგნისათვის, სადაც ესპანელებისა და კელტების ქვეყნებია აღწერილი.

თეოფანე მიტილენელისა და პოსიდონიოსის საკითხს დამატებით კიდევ დაუბრუნდები, როდესაც საკუთრივ XI წიგნის წყაროებზე გვექნება ლაპარაკი.

სტრაბონის წინადროინდელ წყაროთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მის მიერ არა ერთგზის ციტირებული *ერატოსთენე*, რომელსაც იგი საერთოდ დიდი პატივისცემითა და ნდობით ეკიდება, მაგრამ არცთუ იშვიათად ეკამათება და ბევრ პრინციპულ საკითხში (როგორცაა, მაგ., მათემატიკურ-ასტრონომიული კონცეფცია გეოგრაფიაში) არ ეთანხმება.

1. *ერატოსთენე* კვირენელი 284—200 წლებში ცხოვრობდა. იგი ითვლება მეცნიერული გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის შემქმნელად და ავტორად შრომებისა *Γεωγραφικά* და *Περὶ χρονογραφίης*.

სტრაბონის ძირითად წყაროს წარმოადგენენ *პოლიბიოსი* და *არტემიდორე ეფესელი*.

2. *პოლიბიოსი* (III ს. ბოლო — 120 წწ.) ავტორია *Ἰστορίας*-სა, რაც წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას (ერთი დიდი მსოფლიო; მსოფლიოს ცენტრი — რომი. ასეთი კონცეფციით). მისი შრომა დიდი პატივით სარგებლობდა ყოველთვის და მსოფლიო ისტორიოგრაფიაში მისი ავტორი მუდამ თვალსაჩინო ფიგურად ითვლებოდა. სტრაბონის მკვლევართა ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ „გეოგრაფიაზე“ პოლიბიოსის ისტორიის გავლენა მეტიმეტად დიდია, ზოგის აზრით კი გავლენა და ანალოგია უფრო თეორიული ხასიათისაა: პოლიბიოსიცა და სტრაბონიც ისტორიოგეოგრაფიის მათემატიკურ საფუძვლებს არ იცნობენ, იზიარებენ აღწერითსა და სამხარეთმცოდნეო მეთოდებს. ამას გარდა, ერთი წარმოდგენელია მსოფლიო ისტორიისა, მეორე — მსოფლიო გეო-

გრაფიისა, რაც შედეგია იმდროინდელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარებისა.

3. არტემიდორე ეფესელიც ამავე თეორიულ საფუძველზე დგას: იგი სამეცნიერო მიზნებით ბევრს მოგზაურობს და სწავლობს ქვეყნებს. მისი კვლევის შედეგი იყო შრომა, რომელიც იწოდება Γεωγραφικῆς ἀληθείας (შემდგარი 11 წიგნისაგან). ეს არის ცნობილი გეოგრაფოსი II—I სს-ისა და მას 50-ჯერ მაინც იხსენიებს სტრაბონი III—XVII წიგნებში. აღსანიშნავია ის, რომ I—II წიგნებში მისი სახელი არ გვხვდება, რადგან აქ თეორიული ფიზიკურ-გეოგრაფიული საკითხებია განხილული, რაც, ჩანს, არც თუ ისე ემარჯვებოდა არტემიდორეს.

4. საბერძნეთის აღწერილობის მოცემისას სტრაბონმა გამოიყენა აპოლოდორე ათენელის (ცხოვრობდა 180—109 წწ.) Ἐπιπέδου, რომელიც იამბიკური ტრიმეტრიითაა დაწერილი და გადმოგვცემს საბერძნეთის ისტორიას XII—II სს-ისას.

5. მცირე აზიის ქვეყნების აღწერილობისას სტრაბონი ეყრდნობა დემეტრიოს სკეპსისელის (III—II სს. მოღვაწე) თხზულებას, რომელსაც ეწოდება Τριπέδος Διόχομου.

6. XI წიგნის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს აპოლოდორე არტემიტელის Ἰατρικῆ, რომელიც ბევრგან არის დამოწმებული და გამოყენებული ჰირკანიისა და ბაქტრიის აღწერისას და აზიის სკვითების დასახასიათებლად (XI, 7, 3; 9, 1; 11, 1; 11, 7; 13, 6 და ა. შ.).

სტრაბონის წყაროებად ასახელებენ ერატოსთენეზე ადრინდელ ავტორებსაც, მაგრამ სპეციალისტთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ ყველა ამ მწერალს უშუალოდ არ იცნობს სტრაბონი: ეს მრავალრიცხოვანი შრომები თავის დროზე გამოიყენა ერატოსთენემ, ხოლო ერატოსთენეს თხზულებით შემდეგ ისარგებლა სტრაბონმა.

კიდევაც რომ უშუალოდ გამოყენებინოს სტრაბონს ერატოსთენეზე ადრინდელი ავტორები, ამისი მტკიცება და კვლევა ქირს, რადგან ისინი თვით ფრაგმენტულად არიან მოღწეული. ასეთ ავტორებად ჩანან: არისტობულე, ნეარქოსი, ონესიკრიტოსი, მეგასთენე, დეიმაქე, კტესია, დიკაჰარქე, ევდოქსე, სკილაქს კარიანდელი, ეფორე, თეოპომპე, თეოფრასტე და ძველი ფილოსოფოსები, ლოგოგრაფოსები, დანარჩენი ცნობილი და ნაკლებ ცნობილი ისტორიკოსები და ა. შ.

რაც შეეხება საკუთრივ XI წიგნს, რომელსაც საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იქ შემდეგი ავტორების ციტირებასა და დამოწმებას ვხვდებით:

ერატოსთენე (1, 1; 2, 15; 6, 1; 7, 3; 7, 4; 8, 8; 8, 9; 12, 5; 14, 7; 14, 8).

აპოლოდორე არტემიტელი (7, 3; 9, 1; 11, 1; 11, 7; 13, 6 — აქედან პირველ ორ შემთხვევაში არის მართო სახელი, დანარჩენ შემთხვევებში კი სადაურობაც აღნიშნულია).

თეოფანე მიტილენელი (2, 2; 5, 1; 14, 4; 14, 11).

პოსიდონიოსი (1, 5; 9, 1; 9, 3).

III ს-ის მმართველი კასპიის მხარეებისა პატროკლე (7, 1; 7, 3; 11, 5; 11, 6).

ჭეროდოტე (6, 3; 14, 13; 14, 16).

არისტობულე (7, 2; 7, 3; 11, 5).

აპოლონიდე (13, 2; 14, 4).

არტემიდოროსი (2, 14) (ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსი).

კლიტარქოსი (1, 5; 5, 4).

დელიუსი (13, 3).

ჰიპარქე (14, 8).

პოლიკლიტე (7, 4).

კალისტენე (14, 13).

მეტროდორე სკეპსისელი (5, 1).

კტესია (6, 3).

ჰელანიკე (6, 3).

ევდოქსე (7, 5).

ჰიფსიკრატე (5, 1).

კირსილე ფარსალიელი (14, 12).

მედიოს ლარისელი (14, 12).

ეპიკოსები: ჰესიოდე (6, 3), ჰომეროსი (1, 6; 6, 3, დასახელებითა და დაუსახელებლად); დრამატურგი ევრიპიდე (2, 17; 11, 8).

პოლიბიოსის ხსენება არის ასეთ კონტექსტში: „*μεταξὺ δὲ τῶν μετὰ Πισάκων*“ (9, 3) ე. ი. აქ იგულისხმება პოსიდონიოსის შრომის II წიგნი (ხოლო პოსიდონიოსის ეს შრომა, როგორც ცნობილია, პოლიბიოსის „ისტორიის“ გაგრძელებას წარმოადგენდა). ზოგი ავტორის დასახელება მხატვრულ ხერხად შეიძლება

მივიჩნით (ჰომეროსი, ჰესიოდე, ევრიპიდე...), ზოგი კი მართლაც წყაროდ გვეჩვენება.

ამას გარდა საკმაოდ ხშირია ასეთი გამოთქმები: „ზოგიერთები ფიქრობენ“, „ამბობენ“, „ბევრი მწერალი“ და ა. შ., სადაც არაა დასახელებული კონკრეტული ავტორი, მაგრამ მართებდაა სხვათა აზრსა თუ შრომაზე. ასეთი ადგილებია: 1, 5; 2, 2; 2, 12; 4, 8; 5, 4; 5, 5; 6, 2; 7, 1; 8, 5; 9, 1; 13, 6; 14, 14 და შეიძლება ზოგი სხვა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ამ წიგნის მე-3 თავში არსად არის რაიმე წყარო დასახელებული. ხოლო ამ თავის მე-5 პარაგრაფში ავტორი ასეთ ცნობას იძლევა: „*τὰς ταῖς δὲ ἐχρήσατο ταῖς εἰσβολαῖς πρότερον Πομπήϊος ἐκ τῶν Ἀρμενίων ἑρμῆεις, καὶ μετὰ ταῦτα Κανίδηος*“ („ამ შემოსასვლელებით ისარგებლა პირველად პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო ამის შემდეგ კანიდიუსმა“. — ლაპარაკია იბერიაში შემოსასვლელ გზებზე საერთოდ და კერძოდ არმენიიდან მომავალ გზაზე მტკვრის ვიწროებით არაგვის შესართავამდე). ე. ი. სტრაბონი ამ ქვეყნებს რალაცანაირად პომპეუსის ლაშქრობასთან კავშირში იცნობს. ეს ადგილი ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

ხოლო ამავე წიგნის 2, 14 ასე იკითხება: „*οἱ δὲ τὰ Μιθριδάτικὰ συγγραψάτες, οἷς μάλιστα προσεχτήσιν, Ἀχαιοὺς λέγουσι πρώτους, εἶτα Ζυγούς, εἶτα Ἠνιόχους, εἶτα Κερκέτας καὶ Μόσχους καὶ Κόλχους καὶ τοὺς ἑπὲρ τοῦτων Φθειροφάγους καὶ Σιάνους καὶ ἄλλα μᾶρξ ἕμῃ τὰ περὶ τὸν Κανίχασον*“, („ხოლო მითრიდატეს ამბების აღმწერნი, რომელთაც მეტი დაეჯერებათ, ამბობენ, რომ ჯერ არიან აქელები, შემდეგ ძიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ ფთეაროფაგები, სიანები და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან“. ეს ადგილი დაპირისპირებულია არტემიდორეს ცნობასთან). ეს ადგილი გვაფიქრებინებს, რომ კავკასიის შესახებ ცნობები სტრაბონს მითრიდატეს ომების აღმწერელთაგან (მრავლობით რიცხვშია სახელი მოცემული — *συγγραψάχωντες*) მოუტანია.

როგორც ზემოთაც იყო თქმული, მითრიდატეს ომები და პომპეუსის ლაშქრობათა ამბები აღწერილი ჰქონდა თეოფანე მიტილენელს, სტრაბონის უფროს თანამედროვესა და მთელი ამ სამხედრო ოპერაციების თანამონაწილეს. ამას გარდა, თუმცა ე. პონიგმანი ექვ ქვეშ აყენებს, მაგრამ მაინც არის ცნობა, რაც ხელნაწერთა ტრადიციიდან მოდის (თუნდაც რომ ხელნაწე-

რებში ეს ჩანართი ადგილი იყოს), რომ ასეთი რამ პოსიდონოსსაც ჰქონია. ის ავტორები, რომლებიც არ ცნობენ პოსიდონოსს XI წიგნის წყაროდ, იმოწმებენ ხოლმე XI წიგნიდან 1, 5—6 ადგილს, სადაც ლაპარაკია შავსა და კასპიის ზღვებს შორის მანძილზე და გაკრიტიკებულია სტრაბონის მიერ პოსიდონოსი: „οὐκ οἶδ᾽ αὖ πᾶς ἄν τις περὶ ἀβήλων ἀπὲρ πιστεύσειε μηδὲν εἰκὸς ἔχοντι εἰπεῖν περὶ ἀπ᾽ αὐτῶν, ὅταν περὶ τῶν φανερώων οὕτω παραλόγως λέγῃ, καὶ ταῦτα φίλος Πομπηΐῳ γέγον᾽... πισοστῆσι δὲ τούτοις ὅτι καὶ τῆν ἰσθμῶν συνέγραψε τῆν περὶ ἀπ᾽ αὐτῶν“... („არ ვიცი, როგორ უნდა დაუჯეროს მას ვინმემ, როდესაც ის უცნობი ამბების შესახებ ლაპარაკობს და როდესაც სარწმუნო არაფერი აქვს სათქმელი; მაშინ, როდესაც ცნობილი ამბების შესახებ ის ასეთ უაზრობას ამბობს, მით უმეტეს, რომ ის მეგობარი ყოფილა პომპეუსისა... უმატებენ ამას იმასაც, რომ მის [ე. ი. პომპეუსის] შესახებ მან ისტორია დაგვიწერა“).

ე. ი. ამ ადგილით ერთი ხელის მოსმით პოსიდონოსი არა სანდო წყაროდ არის გამოცხადებული (რა დაეჯერება მას საკამათო საკითხებში, როდესაც ის, პომპეუსის მეგობარი და ისტორიკოსი, მის შესახებ ბევრ სისულელეს წერს), მაგრამ ამავე პოსიდონოსის ავტორი „გეოგრაფიის“ სხვა ადგილებში ხალისით ასახელებს, და ასე ექცევა სტრაბონი სხვა ავტორებსაც სხვადასხვა კალკულ შემთხვევაში. ვფიქრობ, პოსიდონოსის აქ ასე უდიდრად მოხსენიება გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ მისი ცნობა არ მოსწონს: სტრაბონის აზრით, ზღვიდან ზღვამდე არის 3000 სტადიონი, პოსიდონოსის აზრით — 1500 სტადიონია, კლიტარქოსი კი მთლად ავიწროვებს ამ ყელს და აცხადებს, რომ „ზოჯერ ორივე ზღვის წყლით იფარება ის ხოლმე“.

მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად პოსიდონოსის ამ ადგილას ასე მკაცრი კრიტიკისა, სტრაბონი მაინც იყენებს მას (შეიძლება ასე კრიტიკულად) კავკასიის აღწერილობისათვის. თუ არა და სხვა ავტორი არის კიდევ საძებნი, რადგან იგი პირდაპირ ამბობს: „συγγράψαντες, οἷς μάλλον ἰσοσχετέον“ „აღმწერნი, რომელთაც მეტი დაეჯერებათ“ — რომ მარტო თეოფანე მიტილენელი ჰყავდეს ამ საკითხებში წყაროდ, მაშინ გვექნებოდა: „συγγράψατε, ᾗ μάλλον ἰσοσχετέον“.

შესაძლებელია კიდევ სხვა ავტორებიც ჰყავდა მას (იხ. ზემოთ მოტანილი სია), მაგრამ ეს ორი, თეოფანე და პოსიდონოსი, ეკვიპოტანლად მეჩვენება XI წიგნის ჩვენთვის ყველაზე საპირ-

ბოროტო ადგილებსათვის. მ. როსტოვეცევის აზრით, მიტრიდატეს ისტორიკოსთაგან სტრაბონის წყარო იყო ჰიფსიკრატე (Скифия и Боспор, 1924, გვ. 140).

სტრაბონის „გეოგრაფიის“ სპეციალურად XI წიგნის წყაროების კვლევა ევროპელ მეცნიერთა შორის Karl Johannes Neumann-ს აინტერესებდა. მან ამ საკითხზე დაწერა ორი შრომა: „Strabons Landeskunde von Kaukasien“ (1884 წ.) და „Strabons Quellen im elften Buche“ (1881 წ.), სადაც აკეთებს დასკვნას, რომ თეოფანე მიტილენელი იყო წყარო კავკასიის ქვეყნების აღწერისას. მსგავსი დასკვნა გააკეთა არნოლდმა („Untersuchungen über Theophanes von Mitylene und Posidonius von Apamea“ — 1884 წ.) და ფაბრიციუსმა („Theophanes von Mitylene und Quintus Delius als Quellen der Geographie des Strabon“ — 1887 წ.).

დასავლეთ ევროპის მეცნიერთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ მეტი არაფერი დაუწერიათ. მათ აინტერესებდათ საქართველოს გეოგრაფია და არა სახელმწიფო წყობის ისტორია. ა. ბოლტუნოვა წერილში „Описание Иберии в „Географии“ Страбона (XI, 3, 1—6)“ (ВДИ, 1947, 4 стр. 142—160) XI წიგნის წყაროთა შესახებ წერს: „Таким образом имеются достаточные основания считать, что описание Иберии в „Географии“ Страбона разбивается на две части, в основном базирующихся на двух различных источниках: XI, 3, 1—5 базируется на сочинении Феофана, с использованием Эратосфена, а может быть, косвенно в § 3, и Посидония, что же касается VI, 3, 6, то эта часть отрывка восходит к „Истории“ Посидония“ (стр. 159).

აქ არის მოტანილი მხოლოდ დასკვნა, რაც ა. ბოლტუნოვამ ვრცელი მსჯელობის შედეგად გამოიტანა. პოსიდონიოსი, როგორც წყარო, მას იმდენად ეჩვენება სარწმუნოდ, რამდენადაც: ეს არის სირიიდან, სელევკიდთა სახელმწიფოს უდიდესი ცენტრიდან, აპამეიდან, რასაც ყველაზე ადრე და ყველაზე მკიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოს სინამდვილესთან. გარდა ამისა, პოსიდონიოსი დაინტერესებული იყო ეთნოგრაფიით, ისე რომ მის შრომებში ცოტა ადგილი არ ექირა ხალხთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების გადმოცემას. ამას გარდა ტერმინოლოგია და ზოგი გამოთქმაც კი საერთო აქვთ პოსიდონიოსსა და სტრაბონს. მაგ., პოსიდონიოსის ფრაზა: ἔξ ἄν ἀμφοῖν τοῖς βῆσιλῆας ἁμῖ:σταφαι, ხოლო სტრა-

ბონს, როგორც ცნობილია, აქვს: ჰქონდა იმ რაღაც წამსი და ახალი იქნა. ე. ი. ა. ბოლტუნოვას აზრით, იქ სადაც ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიაა მოცემული, სტრაბონი ეყრდნობა თეოფანეს და იშველიებს ერატოსთენეს, ხოლო სადაც საზოგადოების სტრუქტურაა აღწერილი, იქ მას წყაროდ ჰქონდა პოსიდონიოსის შრომა, ისტორია (ის, რომლითაც მან პოლიბიოსის ისტორია განაგრძო და რაც დღეს ფრაგმენტების სახით არის მხოლოდ). პოსიდონიოსის საკითხი ამ ასპექტში თითქმის ყოველთვის იდგა, შეიძლება უფრო ხშირად უარყოფითად, მაგრამ მაინც. ევროპელ მეცნიერებს საქართველოს წარსული ნაკლებად აინტერესებდათ, თუ აინტერესებდათ, ისიც მხოლოდ გეოგრაფია. XI, 3, 6 ჩვეულებრივ უყურადღებოდ იყო ხოლმე დატოვებული. ამ პარაგრაფით დაინტერესდნენ საქართველოს ისტორიის ქართველი მკვლევრები, რომლებმაც მრავალმხრივ დაამუშავეს და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს მას. დღემდე ამ პარაგრაფის წყაროს ძიება ა. ბოლტუნოვას გარდა არავის უწარმოებია, ამდენად მისი მასალა და დაკვირვებები, თუ ბოლომდე სარწმუნო არ არის, მაინც საინტერესოა.

ამგვარად, კავკასიის გეოგრაფია ძვ. წელთაღრიცხვის I ს-ის პირველი ნახევრის ცნობების მიხედვითაა სტრაბონთან მოცემული, ხოლო იბერიის საზოგადოებრივი წყობილება — II ს-ის 40—30-იანი წლების მონაცემების მიხედვით (პოსიდონიოსი კი 140—57 წლებში ცხოვრობდა, მაგრამ მისი „ისტორიის“ ის ნაწილი, სადაც პართელთა ამბები არის აღწერილი, — და თუ იყო, აქ იქნებოდა იბერიის შესახებაც ცნობები, — დათარიღებულია ფრაგმენტების ცნობილი გამომცემლის იაკობის მიერ ამ დროით).

ცნობები საქართველოს შესახებ

როგორც ცნობილია, საქართველოს შესახებ ცნობები სტრაბონს უპირატესად თავისი „გეოგრაფიის“ XI წიგნში აქვს თავმოყრილი, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სხვა წიგნებში არ გვხვდება ჩვენთვის საინტერესო მასალა.

რა საკითხებს ეხება სტრაბონი „გეოგრაფიის“ XI წიგნში და რა ცნობები აქვს დაცული აქ საქართველოს შესახებ? პირველსავე თავში ევროპა-აზიას შორის საზღვრის დადების შემდეგ ასახელებს კავკასიას და მსჯელობს კავკასიის ყელის სიგანის შესახებ (აქაა კამათი პოსიდონიოსთან), მე-2 თავში ჩამოთვლის კავკასიაში მცხოვრებ ტომებს: ძიგებს (ჯიქებს?), ჰენიოხ კერკეტებს (ჩერქეზებს?), ფთეგროფაგებს, შემდეგ უფრო დაწვრილებით ჩერდება კიმერიის

ბოსფორის აღწერილობაზე, ხოლო მე-14 §-დან ასახელებს შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებლებს და დიდ დასახლებულ პუნქტებს: პიტუნტს, დიოსკურიას, ფაზისს, ტრაპეზუნტს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დიოსკურიასა და ფაზისს (§§ 16 და 17). კოლხიდის აღწერისას იძლევა პატარა ისტორიულ ექსკურსს: მითრიდატეს დაცემა, კოლხიდის მფლობელი პოლემონი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ დედოფალი პითოდორისი — გამგებელი, სხვათა შორის, კოლხიდისაც. § 19-ში იძლევა სოანებისა (სვანების) და ფთეაოფაგების დახასიათებას და საინტერესო დაკვირვება აქვს: „ამას გარდა ამბობენ, რომ ზამთრის დასასრულს ნიაღვრებს ჩამოაქვთ ოქრო, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ მას დახვრეტელი ვარცლებითა და ბანჯგელიანი ტყავებით, აქედან წარმოიშვა მითი ოქროს საწმისის შესახებ“. ე. ი. უკვე სტრაბონის დროს კრიტიკულად განწყობილ ინტელიგენციაში იყო აზრი ოქროს საწმისის თქმულების გენეზისზე.

XI წიგნის მე-3 თავი სპეციალურად იბერიაზე არის: I §-ში მოცემულია კუთხის გეოგრაფია, დასახლებულობა, შეიძლება ითქვას საზღვრები, შემოსასვლელი გზები. ამ გზებზე ძდებარე ციხესიმაგრეებისა და ქალაქების სახელწოდებები. მე-6 §-ში დახასიათებულია იბერიის მოსახლეობა, რომელიც ოთხგვარი ხალხისაგან შედგება.

მე-4 თავი ძირითადად ალბანიის აღწერილობის შემცველია, გეოგრაფიის გარდა ზოგი ეთნოგრაფიული ამბავიც არის მოტანილი. ყურადღებას იპყრობს § 7: „Μεῖς δὲ τιμᾶμεν Ἡλίον καὶ Δία καὶ Ξελήγην, δευτερόντως δὲ τὸν Ξελήγην“ — (მანეეკს 1915 წლის გამოცემაში სამივე სახელი პატარა ასოთია დაწერილი), ეს ნიშნავს: „ღმერთებად მიიჩნევენ ჰელიოსს (მზეს), ზევსს და სელენეს (მთვარეს), განსაკუთრებით კი სელენეს (მთვარეს)“ — მზისა და მთვარის თაყვანისცემა და კულტი სავსებით მისაღებია ამ დროის ალბანიისათვის. რაც შეეხება Δία-ს (ე. ი. ზევსს), ეს ცოტა გაუგებარია ასეთ ანსამბლში. თუ ხელნაწერის შეცდომა არ არის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სტრაბონს ზუსტი ცნობა არ ჰქონია. ან შესაძლებელია Δία ზევსს კი არ ნიშნავდეს, არამედ საერთოდ „ღმერთს“.

საინტერესო მასალაა დაცული სტრაბონის თანამედროვე ბერძნულ წარწერებში. მაგ., აკადემიკოსმა ვ. ლატიშევმა გამოსცა ანაპის 41 წლის წარწერა, რომელიც ასე ბოლოვდება: „ἐφ' ἧ ἀνεπαφός καὶ ἀνεπηρέστος ἀπὸ παντὸς κληρονομίου ὑπὸ Δία, Γῆν,

“*Ἥλιον*” (მისივე თარგმანით: „С тем, чтобы была она неприкосновенна и необижается от всякого наследника под попечением Зевса, Земли и Солнца“ — ეხება მონა ქალს, ქრისესს)¹. რ. კანდას გამოქვეყნებული აქვს ავგუსტუსის დროით დათარიღებული წარწერა ვალატიიდან, სადაც არის ასეთი ადგილი: *Ἰουῦα Δία, Ἰῆν, Ἥλιον, θεοὺς πάντας καὶ πάσας*² („ვეფიცავ ზევსს, მიწას, მზეს, ყველა ღმერთებსა და ღმერთქალებს...“). ჩანს, ზევსისა და ჰელიოსის (მზის) მოხსენება ჩვეულებრივი იყო. სელენე (მთვარე) განსხვავებით სტრაბონსა აქვს ალბანიისათვის, საფიქრებელია, რეალური ვითარების აღსანიშნავად.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ადგილის რუსულ თარგმანს, რომელიც ჯერ ვ. ლატიშევმა გამოსცა, ხოლო შემდეგ პ. პროზოროვმა შეამოწმა, ასეთი შენიშვნა აქვს დართული: „Под видом Луны надо понимать какое-либо женское божество плодородия типа греко-мало-азиатской Гекаты“ (ВДИ, 1947, 4, გვ. 221). ეს შენიშვნა ერთგვარად ელინოფილურია; რას გულისხმობდა სტრაბონი, ამის თქმა ძნელია, მაგრამ ამ ცნობაში (იხ. ქვემოთ გაგრძელება ამავე პარაგრაფისა) უძველესი ჩვეულებები და რელიგია ჩანს ჩვენი, ხოლო ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ეს ცნობა კიდევ ერთი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი უძველესი ღვთაება იყო მთვარე, მამაკაცი ღმერთი, რის გაგრძელებასაც ქრისტიანობის დროს ქართული წმ. გიორგი წარმოადგენდა, ხოლო სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 4, 7 და შმდ. აღწერილი ამბები შეიძლება ხდებოდა დღევანდელ კახეთში, სადაც ეხლა სოფ. აწყურია თავისი ცნობილი წმ. გიორგის ტაძრითა და მთელს აღმოსავლეთ საქართველოში განთქმული დღეობით (ქართველი ერის ისტორია, 1913 წ., I, გვ. 92—145)³.

V თავში მოთხრობილია ამორძალთა ამბავი: ამორძალები, სტრაბონის თქმით, ალბანიის ზემოთ მდებარე მთებში (ე. ი. ეხლანდელ დაღესტანში?) ცხოვრობდნენ. აქვე V §-ში არის გაკრიტიკებული ცნობები ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფებისა.

¹ B. Latyshev, *Inscriptiones antiquae...* II, 1890, № 400.

² R. Cagnat, *Inscriptiones graecae ad res Romanas pertinentes*, III, 1906, № 137.

³ ნ. ხოშტარიას ზეპირი მითითებით, უძველესი ღვთაება, ისევე როგორც სხვა ხალხებისათვისაც, ქართველთათვისაც იქნებოდა მდებარეობითი სქესის (ე. წ. ღმერთების უდიდესი ღვდა), მთვარე უკვე შემდეგი საფეხურია ამ მხრივ.

სტრაბონის აზრით, ალექსანდრემ ილაშქრა ჩვენი კავკასიაში, მაგრამ რადგან მეტი პატივია შორეულ ქვეყნებში ლაშქრობა და მათი დაპყრობა, ამიტომ პირმოთნე ბიოგრაფებმა ჩვენი კავკასიონი ინდოეთის კავკასიონად წააშობადგინეს. ქართველი ისტორიკოსები არ იზიარებენ ალექსანდრეს საქართველოში ყოფნას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ცნობა სტრაბონის კრიტიკული განწყობილების ილუსტრაციაა. VI—VIII თავები კასპიის ზღვის მიდამოში მდებარე ქვეყნების აღწერისთვისაა დათმობილი. VIII თავის ბოლოს IX §-ში დართული აქვს მანძილების გამოანგარიშება ერატოსტენეზე დაყრდნობით (კასპიის ზღვიდან მტკვრამდე; მტკვიდან კასპიის ბქემდე, შემდეგ ალექსანდრიამდე და ა. შ.). IX—XIV თავებში პართია, ბაქტრიანა, მედია და არმენია არის აღწერილი, მაგრამ აქა-იქ საქართველოს ხსენებასაც ვხვდებით. მაგ., სულ ხშირად ახსენებს იბერიასა და ალბანიას, როგორც მეზობელ ქვეყანას, ანდა მათ მდინარეებსა და ცალკეულ კუთხეებს (12, 4; 14, 1, 4, 5, 7, 14, 15). გახსენებულნი არიან კიდევ ერთხელ მედია და იაზონი (13, 10).

ასეთია სტრაბონის ცნობები საქართველოს შესახებ მისი „გეოგრაფიის“ XI წიგნში.

როგორც უკვე ითქვა, გარდა XI წიგნისა ცნობები საქართველოს შესახებ შრომის სხვა ადგილებშიც ვხვდებთ. ერთი ჯგუფი ამ ცნობებისა გეოგრაფიული ხასიათისაა და ეხება წმინდა ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებს (ზღვის დონე, ზღვის სიღრმე, მერიდიანები და პარალელები, რომლებიც საქართველოზე გადადიან), ან შეიცავს პოლიტიკური გეოგრაფიის მონაცემებს. მეორე ჯგუფშია სხვადასხვა თქმულებები, რომლებიც ავტორის მიერ საკუთარი მოსაზრებების დართვით არიან ხოლმე წარმოდგენილი. მესამე სახის ცნობებში მოცემულია ცალკეული ტომების დახასიათება.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ აღძრულ საკითხთა შორის საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოდ შიმაჩნია შემდეგი:

1. არგონავტთა შესახებ მითი ბერძნულ თქმულებათა შორის ერთ-ერთი უძველესთაგანია. სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერესი მის მიმართ ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ მისი რეალური ისტორიული საფუძვლის შესახებ ყოველთვის ერთი და იგივე აზრი არ ყოფილა.

დღესდღეობით ისევე, როგორც ტროის ომის შესახებაც, აროგონავტთა მიმართაც თამამად შეიძლება განცხადება იმისა, რაც ჯერ კიდევ სტრაბონმა იცოდა: ჯერ ფრიქსემ და შემდეგ იაზონმა ილაშქრეს აფაში, ქალაქ ფაზისთან რომ არის, იმიტომ რომ ქვეყანა ძალიან მდიდარი იყო სხვადასხვა ლითონებით („გეოგრაფია“, I, 2, 39). თუ ფრიქსე და იაზონი შემდეგ დამკვიდრებული სახელებია, ბერძენთა (თესალიელთა) კოლხიდაში ლაშქრობა ამ მიზეზით რეალური ამბავი უნდა იყოს. ლეგენდა ოქროს საწმისზე ოქროს საბადოების გამოძახილი ჩანს. განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენება ერთი გარემოება, რაზედაც მეცნიერებაში აქამდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული: სტრაბონის აზრით (I, 2, 38), აქილევსი და იაზონი ნათესავეები არიან. ამიტომაც, რომ აქილევსმა ააოხრა მრავალი ქვეყანა, ლემნოსს კი ხელი არ ახლო, რადგან ლემნოსს ფლობდა ევენონი, იაზონის ძე. ლემნოსზე კი, მეორე ცნობით (VII წიგნის ფრაგმენტები 45 (46)), ცხოვრობს თრაკიული მოდგმის ხალხი — სინტები, იგივე სინტიები¹.

თუ დავდგებით ჩვენ კლასიკური ფილოლოგიის ძველი სკოლების თვალსაზრისზე, მაშინ ამ ცნობაში საინტერესოს ვერას დავინახავთ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართული საბჭოთა ფილოლოგიების მიღწევებს ამ დარგში, აქილევსის ნათესაობა იაზონთან კიდევ ერთი პატარა ფაქტია სხვა ფაქტების გვერდით ჩენი თეორიის გასამაგრებლად:

ჩვეულებრივ, ბერძენთა სახალხო გმირად გამოცხადებული აქილევსი ჰომეროსის პოემებისა და სხვა ბერძნული ძეგლების (პოეტ ბიონის ლექსები, მხატვარ ათენონის ნახატი, ანტიკური ბარელიეფი დაცული პიო-კლემენტინის მუზეუმში) ანალიზის საფუძველზე არ ჩანს ტიპიურ ბერძენ ბასილევსად.

აქილევსს არ სურდა ტროის ომში მონაწილეობა. ქალურად გადაცმულმა, მან თავი შეაფარა თავის ბიძაშვილ-გოგონებს და სანამ ოდისევსმა და დიომედემ არ ამხილეს, მანამ არც წასულა საბრძოლველად. გმირთა-გმირია აქილევსი, იმიტომ, როგორც კი ბრძოლის ველზე მოხვდა, თავიც ისახელა და ისინიც, ვის მხარეზედაც იბრძოდა. მაგრამ, როგორც კი მიეცა მას საბაბი, მაშინვე გამოთქვა მან თავისი გულისნადები: ტროელებს არაფერი დაუშავებიათ ჩემთვის და მე მათთან საბრძოლველად ჩემი მიზეზით

¹ სინტიები კოლხურ ტომად მიიჩნია აკ. ურუშაძეს. იხ. მისი „კოლხეთისა და კუნძულ ლემნოსის ურთიერთობისათვის“; უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXVII, 1949, გვ. 241—249.

არ მოესულვარ. შენი (ეუბნება აგამემნონს) გულისთვის წამოვედი და შენ საამებლად, შენი ძმის, მენელაეს, სახელის გასაპატიოსნებლად... (ილიადა I, 150—161).

ილიადის II სიმღერის ცნობილ ნაწილში *Κατάλοιπος ἄστυ γεῖν*, რომელიც ძირითად ტექსტზე უფრო გვიან შეთხზული ადგილია, აქილეესი ბერძენთა ბანაკში კი არ იხსენიება, არამედ „პელაზგიკურ არგოსში“, ამ კატეგორიაში მოთავსებული არიან ისინი, ვინც წინაბერძნული მოსახლეობის კატეგორიას უნდა ეკუთვნოდნენ. ყველაფერი ამის საფუძველზე კეთდება დასკვნები: „1) აქილეესი ბერძენების მიერ დაპყრობილი არაბერძნული მოსახლეობის ერთ-ერთი მეფეა; 2) მან დაჰყარა იარაღი, დაემორჩილა დამპყრობლებს, მაგრამ მათ მხარეზე ომში მონაწილეობის მიღება არ სურს და შორს გადაიქარგა; 3) როგორც არაბერძენი, იგი ჰომეროსის სიაშიც არ არის „აქაველთა“ რიცხვში მოხსენებული. აქილეესი, რასაკვირველია, მის შემდეგ, რაც მან ომში მონაწილეობა მიიღო, იცავდა ბერძენთა საქმეს და კიდევაც ასახელა ბერძენები. ამგვარად მოხდა შერიგება დამპყრობელისა და დაპყრობილისა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ბერძენებმა აქილეესი თავის საკუთარ გმირად აქციეს და კიდევაც პირველს სწორედ მას უმღერეს, და უმღერეს იმავე ლექსითა და ისეთივე სიმღერით, როგორითაც იმავე აქილეესს უმღეროდნენ მისივე თანამემამულენი“¹.

იაზონი თესალიელია, თესალია კი პელაზგების ძირითადი სამშობლოა. ამას გარდა იაზონი არგონავტია. არგონავტების კავშირი აჰა-კოლხიდასთან ბევრი ძეგლით დადასტურებული ამბავია. იაზონისა და აქილეესის ნათესავებად გამოცხადება აქილეესის (და მაშასადამე ძველი ბერძნული ეპოსის, საერთოდ ლიტერატურის და ბოლოს კულტურის) წმინდა ბერძნული (ევროპული) წარმომავლობის ერთი უარმყოფელი ფაქტთაგანია.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ არა ერთგზის გვხვდება სახელი *Κύταριος* სხვადასხვა ვარიანტით: *Κύταριος*, *Κύταριον*, *Κύταρα*, *Κοτύρα* და სხვ. ეს არის ფრიქსეს შვილის სახელი და შემდეგ მის მიხედვით წოდებული ქალაქი პატლაგონიაში (XII, 3, 10; 3, 17). სტრაბონს გარდა ეს სახელები სხვა ძეგლებითაც არის ცნობილი.

სხვა საქმეა, ჯერ ქალაქის სახელი იყო და მერე იქიდან დაარქვეს გმირსაც ეს სახელი (როგორც მაგალითად, მცხეთიდან

¹ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია I², გვ. 89. ამავე საკითხების შესახებ იქვე, გვ. 35, 46, 88.

არის გაკეთებული მცხეთოსი), თუ პირიქით, როგორც სტრაბონი ამბობს, ერქვა გმირს ეს სახელი და ამის მიხედვით ეწოდა პუნქტ-საც. საქმე ისაა, რომ სიტყვა *Κῶσαριος* უნდა შეიცავდეს იმავე ძირს, რასაც *Κῶσαι* (ვარიანტებით — *Κῶσαι*, *Κῶσαι*, *Κῶσαι*), ბერძნულ წყაროებში დაცული ფორმა „ქუთაისისათვის“. და შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სწორედ ფრიქსეს შვილს და მასთან დაკავშირებულ ქალაქს ჰქვია ეს სახელი. *Κῶσαριος* სახელი, ალბათ, ასე უნდა დაიშალოს: *κωσ* — ძირი, *ορ* || *ωρ* სუფიქსი, რომლის ფუნქციაცაა სადაურობისა და რაიმე ხელობა-საქმიანობის აღნიშვნა და -*ος* ჩვეულებრივი დაბოლოება ბერძნული მამრობითი სქესის სახელებისათვის.

სტრაბონი „გეოგრაფიაში“ კალიმაქეს დამოწმებით ორჯერ ახსენებს „პოლას“ (I, 2, 39; V, 1, 9), რაც მისი განმარტებით არის „კოლხური სიტყვა“ და ბერძნულად კი ეწოდება ის ლტოლვილთა ქალაქს: მედეას დასაბრუნებლად წასულმა კოლხებმა, რაკილა ვერ მოიპოვეს ის, ვერ გაბედეს უკან, კოლხიდაში, დაბრუნება და დარჩნენ ისტრიელებში (სტრაბონთან შეცდომით არის „ილირიელებში“), სადაც ააგეს ქალაქი და თავის ენაზე „პოლა“ უწოდეს. თუ ამ სიტყვას არა აქვს კავშირი ბერძნულ *πολεως*, *πολεως*-სთან (ნიშნავს: შემოვბრუნდები, ვმოძრაობ), მაშინ საინტერესო იქნებოდა დაძებნა იმ ქართველური სიტყვისა, რომელიც ჯერ კიდევ კალიმაქემ იცოდა ძვ. წ. III საუკუნეში და რომელიც შემოგვინახეს ძველმა ბერძნულმა და ადრე-ბიზანტიურმა ძეგლებმა.

2. საგულისხმოა სტრაბონის მსჯელობა XII, 3, 19—24: ეხლანდელი ქალდეები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ. ხალიბებს ჰომეროსი უწოდებს ალიძონებს ალიბედან. სახელები ხშირად იცვლება, ისე რომ თამამად შეიძლება ხალიბებს უწინ ალიბები რქმეოდათო. საინტერესოა სტრაბონის მსჯელობა და კამათი ჰომეროსის ამ ადგილის სხვადასხვა ინტერპრეტაციებთან.

იგივე საკითხი წარმოქრილია XIV, 5, 22, 24, 28 და სხვა ადგილებშიც. ე. ი. ჯერ კიდევ სტრაბონმა (და მასზე ადრე მოლვაწე მეცნიერებმა) იცოდნენ ის ამბავი, რომ *καταλιος* *των* *αδων*-ში ტროის მოკავშირეთა შორის იხსენებიან ხალიბები¹. ხალიბები,

¹ სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ადგილს ყურადღება მიაქცია ს. ყაუხჩი-შვილმა: ჰეროდოტეს „ისტორიის“ I. 2—3 და ჰომეროსის ხომალთა კატალოგი: უნივერსიტეტის შრომები, XXXIV a - b, 1948, გვ. 369.

მცირე არმენია და ევფრატი ერთ მერიდიანზე მდებარე ადგილებად მიაჩნია გეოგრაფოსს.

3. საგულისხმო ცნობები აქვს სტრაბონს სხვათაშორის კავკასიის ხალხების წარმომავლობისა და ადგილსამყოფელის შესახებ: I, 3, 21 ლაპარაკია ხალხთა გადასახლებაზე და სხვათაშორის ნათქვამია: დასავლეთის იბერიელები (ე. ი. ესპანეთის იბერიელები) თავისი სამშობლოდან გადასახლდნენ ადგილებში, რომელიც არის პონტოსა და კოლხიდის ზემოთ და არმენიისაგან დაშორებული არიან ისინი მდ. არაქსით (ან მტკვრით) და მოსხური მთებით. ეგვიპტელები კი გადასახლდნენ ეთიოპელებთან და კოლხებთან (ეს ყველაფერი აპოლოდორეს ცნობების მიხედვით). ამ ცნობის ქეშმარიტებას არავენ იცავს, მაგრამ ის მაინც საინტერესოა: ეგვიპტელთა, ეთიოპელთა და კოლხთა ურთიერთობის შესახებ სხვაგანაც გვხვდება. II, 5, 28 ჩამოთვლილია კავკასიის ხალხები და აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კოლხები ალბანია-იბერიის გაყოლებაზე კი არ არიან მოხსენებული, არამედ უფრო სამხრეთით, არმენიის გასწვრივ. VI, 4, 2-ში ალბანელები და იბერიელები კოლხებს ზემოთ მცხოვრებლებად არიან გამოცხადებული.

VII, 4, 3-ში ნახსენებია ქალაქი და მთა ტრაპეზუნტი, რომლებიც ტიბარანიასა და კოლხიდასთან მდებარედ არიან ჩათვლილი. ყველა ეს ცნობა იძლევა სტრაბონის დროისათვის ცალკეული ტომების ლოკალიზაციის მასალას.

4. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ხშირადაა რომის პოლიტიკა შექებული. მოხსენებული არიან ხალხები, რომლებიც ავტორის აზრით რომს ჰმორჩილებენ (მაგ., VI, 4, 2: არმენიელები, ალბანელები და იბერიელები ჰმორჩილებენ რომაელ მმართველს, მაგრამ აჯანყდებიან ხოლმე მაშინ, როდესაც რომაელები სხვა საქმეებით არიან გართული. ე. ი. რეალური ვითარება. მაინც იჩენს თავს ავტორის აღწერილობაში). XVII, 3, 24-ში არის ცნობა იმის შესახებ, რომ რომს უპყრია აზიის მთელი სანაპირო, გარდა აქეელებისა, ძიგებისა და ჰენიოხებისა.

ასეთია ძირითადად სტრაბონის ცნობები საქართველოს შესახებ გაფანტული შრომის სხვადასხვა ადგილას.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ და განსაკუთრებით კი XI წიგნში დაცული ცნობები გამოიყენეს საქართველოს ისტორიის სპეციალისტებმა.

ივ. ჯავახიშვილმა ძირითადად ამ შრომაზე დაყრდნობით დაწერა მონოგრაფია „Государственный строй древней Грузии и

древней Армении“ (1905 წ.), ხოლო აქ მიღებული დასკვნები დააზუსტა „ქართველი ერის ისტორიასა“ და „ქართული სამართლის ისტორიაში“. ზემოჩამოთვლილ შრომებში ივ. ჯავახიშვილი ატარებს იმ აზრს, რომ სტრაბონის მიერ აღწერილ იბერიაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილა დამყარებული, და ეს გვაროვნული წყობილება მეტად მაღალ საფეხურზე ყოფილა ასული. ამას გარდა „ქართველი ერის ისტორიის“ I თავში (გვ. 20.—73) გარკვეულია ქართველ ტომთა ბინადრობის საკითხი სხვადასხვა დროს და სხვა ცნობათა შორის სტრაბონის „გეოგრაფიის“ მონაცემების მიხედვითაც.

ს. კაკაბაძე შრომაში „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“ (საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 1—120) ისეთ აზრს ადგას, რომ ადრე საქართველოში მეგრულ-ქანურ-აფხაზური ფენები იყო გავრცელებული. იგი უხვად მიმართავს სახელების ხუნძურ, სვანურსა და ქანურ ეტიმოლოგიებს და მიაჩნია, რომ შემდეგ, უფრო გვიან, შავშეთ-კლარჯეთიდან გავრცელდა ტომთა გამაერთიანებელი პროცესიცა და ქართული ენაც. შრომაში განსაზღვრულია იბერიის ტერიტორია (გვ. 29—52, ლიხიდან იორამდე, სამხრეთით — მტკვრამდე) და დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ძველი ქართლის წყობილებას“ (გვ. 78—120). ამ ვრცელი გამოკვლევებიდან ისეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ ს. კაკაბაძეს სტრაბონისეული იბერია გვაროვნული წყობის ქვეყნად მიაჩნია. რაც შეეხება ცნობილ ტერმინებს, იგი მათ ქართულად ასე თარგმნის: γένος — წარმოშობა (გვ. 78), ტომი (85 გვ.), ἔρα: χῆραι — საკულტო ადგილები, ἑρῆμῶσι — საკულტო ყმები (გვ. 92), λαός — ხალხი (გვ. 79), συγγένεια — გვარეულობა (გვ. 79) და ა. შ.

ს. ჯანაშია შრომაში — „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (და ზოგან სხვაგანაც) სპეციალურად ეხება სტრაბონის ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ.

ს. ჯანაშიას გამოკვლევით, სტრაბონის დროის იბერია (და კოლხიდაც) ჩამოყალიბებული სახელმწიფოა, ძირითადში მონათმფლობელური ფორმაციით. სვანები და სხვა ქართველი მთიელი ტომები კი გვაროვნულ წყობილებაში იმყოფებიან.

ს. ჯანაშია ეხება სტრაბონის მიერ ხმარებულ ტერმინებს. მაგ., πατριάρχης-ს, რომელიც ერთ შემთხვევაში არის ტომის მეთაური (მაგ., სვანებთან), მეორე შემთხვევაში (მაგ., იბერიაში) — მეფე.

„მესამე გენე ... თავისუფალ წვრილ მწარმოებელთა წოდებაა. მი სი ადგილობრივი, ქართული, სახელწოდება, ჩვენი აზრით, „ერია“ (ხალხი—ჯარი) და არსებითაც იგი ... ძველი „ერის ნაშთია“ — (გვ. 150), *λαοί*! „დამოკიდებული, ექსპლოატირებული, სოფლის „მდაბიო ხალხია“, გლეხია და არა მონები (გვ. 154)¹, *δυναστος* მონა კი არ არის (მონების შესახებ ცალკე არ იქნებოდა ლაპარაკი, საზოგადოების სწორუფლებიან წევრად მათ არ ჩათვლიდა სტრაბონი), არამედ „მსახური“ (150 გვ. და შმდ.), *εργουσι* — ტაძრის მსახური (გვ. 157) და ა. შ.

ი. მანანდიანის სტატია „Заметки о феоде и феодальном войске Парфии и аршакидской Армении“, 1932, როგორც სათაურიდანაც ჩანს, უშუალოდ მიზნად ისახავს პართიისა და არშაკიდთა არმენიის ფეოდალისა და ფეოდალური ლაშქრის საკითხების გარკვევას. ამისათვის მას უხდება პლუტარქოსისა და იუსტინუსის ცნობების კრიტიკული გადასინჯვა, უმთავრესად კი ექვის შეტანა ზოგი ტერმინის (მაგ. *δυναστος*, *εργυ*) გააზრებაში. ამ საკითხებზე მსჯელობასთან დაკავშირებით იგი ეხება ჩვენთვის საინტერესო ცნობებსაც სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ (იხ. მისი შრომის გვ. 15—17).

ი. მანანდიანის აზრით სტრაბონის ცნობაში მოცემულია ფეოდალური იბერიის აღწერილობა, ცალკეული ფეოდალებით (მთაწმინდებით) სათავეში. ეს ფეოდალი რაღაცა საშუალო მოჩანს მონარქსა და მამასახლისს შორის.

ი. მანანდიანის მსჯელობის მიმართ ზოგი შენიშვნის გაკეთება გვიხდება: მართალია, სტრაბონი ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ცხოვრობდა, მაგრამ ყოველთვის არსებობდა აზრი, რომ იგი უფრო ძველი წყაროებით სარგებლობდა (პოსიდონიოსის სახელი ლიტერატურაში ყოველთვის ჩანს, თუნდაც ნეგატიურად, მაგრამ მაინც). ამდენად, ავტორის ორგზის განცხადება „к началу первого века нашей эры“, სწორი არ არის. ცნობები, რომელიც აქვს სტრაბონს იბერიის საზოგადოების დასახასიათებლად ძვ. წ. ა. II ს-ისაა. ამას გარდა, საფუძველს მოკლებულია მკვლევრის აზრი (გვ. 17): „социальный строй древней Грузии, казавшийся примитивным и первобытным, на самом деле, оказывается довольно сложной феодальной формацией...“

¹ *οι λαοί* „გლეხად“ ესმის ვ. ბარდაველიძესაც: ხევსურული თემი. სტრუქტურა და ჯვარისუფობის ინსტიტუტი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 500.

ი. მანანდიანის მოსაზრებები სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ადგილის შესახებ ივ. ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნულ შრომათა საფუძველზე ჩანს. ივ. ჯავახიშვილის შრომებში კი იბერიის სოციალური წყობის ასეთი შეფასება (приимитивный და первобытный) არსად არის. პირიქით, ივ. ჯავახიშვილი სტრაბონის ცნობებში ხედავს მეტისმეტად განვითარებულ საზოგადოებას, რომელიც მას გვაროვნული წყობის თავისებურ სახედ მიაჩნია. მართალია; კლასობრივი საზოგადოება თავისთავად უფრო მაღალი განვითარების შედეგია ვიდრე გვაროვნული, მაგრამ ეს ბრალდება სტრაბონისა და ივ. ჯავახიშვილის მიმართ ი. მანანდიანისაა. რაკილა ივ. ჯავახიშვილს სტრაბონისეული იბერიის საზოგადოება გვაროვნული წყობის საფეხურზე მყოფად მიაჩნია, მაშასადამე პრიმიტიულადაც, ასე იმსჯელა მან.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მკლევართა აზრები სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ერთი პარაგრაფის შესახებ მეტისმეტად სხვაობენ ერთმანეთისგან.

ა. ბოლტუნოვა ორ წერილში ეხება სტრაბონის ცნობებს იბერიის შესახებ. ესაა: „Иберия и римская экспансия в Азии“ (ВДИ, 1938, 4/5, стр. 161—173)¹ და „Описание Иберии в „Географии“ Страбона (XI, 3, 1—6)“ (ВДИ, 1947, 4, стр. 142—160).

პირველი წერილის შენიშვნის მიხედვით (გვ. 163) ჩანს, რომ, ა. ბოლტუნოვას აზრით, სტრაბონის მიერ აღწერილ იბერიაში რღვევის გზაზე დამდგარი გვაროვნული წყობა გვაქვს.

ა. ბოლტუნოვა მეორე წერილში ძირითადად ორ საკითხს ეხება. პირველი, რომლის შესახებ ზემოთაც იყო ლაპარაკი, ესაა XI წიგნის წყაროები. ამ მიმართებით მას სტრაბონის წყაროების კვლევაში გარკვეული ნაბიჯი აქვს წინ გადადგმული. მეორე საკითხი ეს არის თვით ცნობების გააზრება, კვლავ წყაროს დადგენის მიზნით. საინტერესოა ტერმინოლოგიის საკითხი, რომელიც ავტორს ასე ესახება: „автор отрывка пользовался обычной терминологией, взятой им из окружавшей его, ему современной среды“ — (გვ. 157), ე. ი. პოსიდონიოსი, რომელიც მიაჩნია ა. ბოლტუნოვას ამ ცნობის წყაროდ, აღზრდილი ბერძნულ-ელისტურ ტრადიციებზე, იბერიის საზოგადოების სტრუქტურის

¹ ამ წერილში ბევრი რამ არის მიუღებელი ჩვენი თვალსაზრისით (მაგ., რომელთა რაოდენი გაზვიადება საქართველოსთვის, საქართველო-რომის ურთიერთობის არასწორად გაშუქება), მაგრამ ეს ჩვენს თემას უშუალოდ არ ეხება.

გადმოცემისას ხმარობს იმ ტერმინოლოგიას, როპელიც მაშინ მიღებული იყო (და, მაშასადამე, არ უფარდებს მას ამ შემთხვევაში ქართულ სინამდვილეს).

ქართველი ისტორიკოსების გამოკვლევები და არქეოლოგიური გათხრები ნათელჰყოფენ იბერიის ტერიტორიაზე ისეთი ცხოვრების არსებობას ამ 20 საუკუნის წინ, როგორც ამას სტრაბონი აგვიწერს და თუ ტერმინოლოგია საზოგადოა, ტრაფარეტულია, ამ კერძო შემთხვევაში მან კარგად აგვისახა არსებული მდგომარეობა.

წერილში ტერმინოლოგიის საკითხი ასეა წარმოდგენილი: სიტყვა *γένος* სოციალური ჯგუფისათვის პირველად გვხვდება პლატონთან და არისტოტელესთან. პლატონისაგან გადაიღო პოსიდონიოსმა. გარჩეულია ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები: *ζυγχαεια* და *σαγγειαια*, I — როგორც გამომხატველი კანონიერი, უახლოესი ნათესაობისა, რის საფუძველზეც ერთი შეიძლება მეორის მემკვიდრე გახდეს, II — უფრო გავრცელებული სიტყვა *σαγγειαια* ჩვეულებრივ ნათესაობას აღნიშნავს.

Δμοί — თარგმნილია რუსული „народ“ და „люди“-თ და აღნიშნულია, რომ ელინისტურ პერიოდში ეს სიტყვა, ადრე *δημοί*-ისაგან გამოძევებული, ისევ მკვიდრდება ენაში.

სტრაბონის ტერმინოლოგია

სტრაბონის „გეოგრაფიის“, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, შესწავლისას ერთ-ერთ ძირითად საკითხად მიმაჩნია ტერმინოლოგიის საკითხი.

მთელი აზრთა სხვადასხვაობა, რაც მკვლევართა შორის არის XI, 3, 6-ის გაგებისას, დაფუძნებულია იმაზე, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში სხვადასხვა სპეციალისტები სხვადასხვა შინაარსს სდებენ.

მაგ., ივ. ჯავახიშვილს *γένος* ესმოდა, როგორც *род*, გვარი, საგვარეულო. ს. ჯანაშია სტოვებდა ბერძნულ *γένη*-ს, ხოლო კონტიქსტში „საგვარეულოდ“ გადმოჰქონდა (მაგ., სამეფო საგვარეულო). ს. კაკაბაძე მას „წარმოშობად“ და „ტომად“ სთარგმნის. თ. მიშჩენკო და ვ. ლატიშევი *κλασ*-ად, პ. პროზოროვი *род*, ი. მანანდიანი — *род*. ა. ბოლტუნოვა პირველ წერილში წერს „4 группы“, ხოლო მეორეში — 4 *рода*, კ. კერხერი — Vier Menschensklassen, ჯონზი — castes.

I. ΠΕΝΟΣ. სტრაბონის მიერ ხმარებულ ტერმინთა შორის საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის *γένοϋς-ი*. *Γένος* ბერძნული ენის ლექსიკის ძირითადსა და უძველეს ფონდს ეკუთვნის; *γευ-*ძირისაგან უამრავი სიტყვაა წარმოებული თვით ბერძნულში და მას მოეპოვება პარალელური ფორმები სხვადასხვა ევროპულ ენებში. ვრცელ ბერძნულ ლექსიკონებში დადასტურებულია სიტყვა *γένοϋς-ის* რამდენიმე მნიშვნელობა: გვარი, ოჯახი, შტო, ჩამომავალი, თაობა, შვილი, ტომი, ჯიში, სახე, რაოდენობისა და დროის გამოხატვა, სქესი (გრამატიკული), გვარი სახე, კავშირი (როგორც ფილოსოფიური ტერმინები) და სხვ.

ბერძნული *γένοϋς-ის* შესატყვისი ქართული სიტყვა არის „გვარი“. ილ. აბულაძის გამოკვლევის თანახმად გვარი წარმოშობით ქართული სიტყვაა. იგი დადასტურებულია X ს-ის 30-ანი წლების ერთ კლარჯულ ხელნაწერში „გოვარ“-ის სახით. „შინა-არსი ამ სიტყვისა... აღნიშნავს ადამიანთა მოდგმას, რომელსაც ერთი მამაა უყისა და ერთისა გუამისაგან მოაქუსა“¹.

სტრაბონი სიტყვა *γένοϋς-ს* ხმარობს სხვადასხვა მნიშვნელობით²: 1. *ჯიში, სახეობა* (რასაც ენაცვლება ხოლმე ზოგჯერ *τὸ εἶδος*): მაგ., VIII, 8, 1: *ἔστι δὲ καὶ τὸ γένος τῶν Ἰππῶν ἀριστον τὸ Ἀρχαδικόν* ხოლო საუკეთესოა *ჯიში* ცხენებისა არის არქადიული.

2. ამ პირველ მნიშვნელობასთან ახლოსაა მეორე — „*მოდგმა*“, რომელიც ჩვეულებრივ ეხება ადამიანებს. მაგ., XV, 1, 32... *Φησὶ τοῦ μακλίου ἰσχυρῶς ἔχει ὑψεροῦς* ცხოველთათვის არის საცხოვრებელი, ვიდრე ადამიანთა *მოდგმისათვის*.

VIII, 6, 23 — *πέμψαντος τοῦ ἀπελευθεριστοῦ γένους πλεῖστους*. გაგზავნა განთავისუფლებულთა *მოდგმიდან* მრავალი.

X, 3, 9... *καὶ τῆ μαντικῆ γένει* პლესიძეის უახლოვდება მისანთა *მოდგმას*.

X, 3, 19 *ἐξέγειντο ... καὶ γένος ὀνιδανῶν Σατρῶν* წარმოიქმნა... არაფრის მაქნისი სატირების *მოდგმა* (ციტატა ჰესიოდედან, ფრაგმ. 198).

¹ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან. 1. გოვარი — გუარი: თვისები, თსუ, სამეცნიერო სესია მიძღვნილი ი. ბ. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ გამოსვლის ორი წლისთავისადმი 1952 წ. 20—22 ივნისს, გვ. 11—12.

² დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. თ. ყაუხჩიშვილის წერილი „Γένος — ტერმინის მნიშვნელობისათვის სტრაბონთან“ („მომომხილველი“, ტ. III).

ყველა ამ შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება „ადამიანთა მოღვმის“ მაგივრად გვეხმარა „კაცობრიობა“; „განთავისუფლებულთა მოღვმა“ — ე. ი. „განთავისუფლებულები“, „მისანთა მოღვმა“ — „მისნები“, „სატირების მოღვმა“ — „სატირები“.

3. ტომი. გარდა სიტყვისა ზე *γῆρας*, ტომი გადმოცემულია ხშირად სიტყვით ზე *ἔθνος*. მაგალითად:

VII, 3, 17 *καὶ ἀπὸ τοῦ Γερμανισμοῦ γένους ὄντες* ისინი გერმანული ტომისა არიან.

XIII, 1, 46 *τὰ περὶ τὸν Κύνιον, Θρᾷα καὶ γένος* კიკნოსის შესახებ, რომელიც ტომით თრაკიელი იყო.

4. ტერმინი ზე *γένος* იხმარება გვარის (საოჯახო გვარის) მნიშვნელობით. რაოდენობის თვალსაზრისით სტრაბონთან ამ სიტყვის ასეთი ხმარება ყველაზე ხშირია. გვაქვს ერთი ჯგუფი მაგალითებისა, სადაც ისტორიულ პირთა გვარებზე (ოჯახებზე) არის ლაპარაკი, მაგ:

XI, 9, 3 *ἀπὸ τοῦτων δ' οὗν ἔλαυν φασι* ზე *γένος* *τὸν Ἀρσάκη* ამბობენ, რომ ამათგან მომდინარეობს არსაკეს გვარი.

ერთი ჯგუფი შემთხვევებისა ეხება მითოლოგიის მიხედვით ცნობილ გმირებსა და მათ გვარებს (ოჯახებს), მაგ.:

XIII, 1, 53 *ἡφαιστέμενος* *τὸν τῶν Πριάμοθεν γένους* როდესაც გაქრა პრიამიდთა გვარი.

ხშირად გვხვდება *γένος* მეორე სიტყვასთან (*βασίλειος*) ერთად „სამეფო გვარის“ აღსანიშნავად. აქაც *γένος* გადმოსცემს გვარს, ოჯახს, ჩამომავლობას. მაგალითად:

XV, 3, 24 *κατέστησε Δαρείου οὐκ ὄντα* *τὸν γένους* *τῶν βασιλέων* დასვეს (მეფედ) დარიოსი, რომელიც არ იყო სამეფო გვარისა.

გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც *γένος* უკავშირდება სიტყვას *τετραρχίης* (ტეტრარქი, მეოთხედ-მთავარი), ე. ი. გვაქვს „მეოთხედმთავართა გვარი“. რა თქმა უნდა, გვარი აქაც საოჯახო გვარის მნიშვნელობითაა (ტეტრარქთა გვარი ვერ იქნება საზოგადოებრივი წოდება).

XIII, 4, 3 *Μισριδάτης τε Μησιόδοτος* *σὺν καὶ Ἀδισίφω* *αὐτοῦ* *τὸν τετραρχίαιον* *τῶν Γαλατῶν γένους*. მითრიდატე ძე მენოლოტესი და აღობოგიონისისა, რომელიც იყო გალატელების ტეტრარქთა გვარი დან.

იმავე სტრაბონს XII, 5, 1-ში აღწერილი აქვს გალატიის ყოფა წინათ და მის დროს: გალატელები სამი ტომისაგან შედგე-

ბიან; ესენი არიან ტროკმები, ტოლისტობოგები და ტექტოსაგები. სამივე ტომი ლაპარაკობდა ერთ ენაზე და მათ შორის განსხვავება არ იყო. თითოეული ტომი იყოფოდა ოთხ ნაწილად (εξ... μέρ' ἕξ), თითოეულ ნაწილს ერქვა ტეტრარქია. თითოეულ ტეტრარქიას ჰყავდა საკუთარი ტეტრარქი, მოსამართლე და ლაშქრის უფროსი (—? στρατοφύλαξ). ესენი ემორჩილებოდნენ ტეტრარქს. ამ 12-სავე ტეტრარქს ჰყავდა საბჭო შემდგარი 300 კაცისაგან. საბჭო მკვლევლობის საქმეებს განიხილავდა, ხოლო ყველა დანარჩენს — ტეტრარქები და მოსამართლეები. ასე იყო ძველად.

სტრაბონის დროს ჯერ სამი უფროსი ჰყავდათ გალატელებს, შემდეგ ორი და ბოლოს ერთი, ეს იყო დეაოტარე (ძვ. წ. ა. 41 წლამდე)¹, შემდეგ ამინტა (41—25 წწ.), ხოლო შემდეგ ოფიციალურადაც რომის პროვინციად იქცა გალატია².

ბოლოს, γένος ნახმარია გვარის (ოჯახის, ჩამომავლობის) მნიშვნელობით:

XVI, 4, 18 *προεστῆχασιν δὲ τῶν ἄλσιουσ ἀνῆρ καὶ ὑσνῆ δὲ γένους ἀποδεδειγμένοι δερματιφόροι* ქალას იცავენ მამაკაცი და ქალი, ტყავებით მოსილნი, გვარიდან (ე. ი. ერთი და იმავე გვარიდან, მახლობლები. ლაპარაკია აქ არაბებზე).

5. γένος-ის ამ მნიშვნელობასთან (ე. ი. გვართან) ახლოს არის „წარმოშობა“. ამ შინაარსით ტერმინი γένος-ის ხმარება არც თუ ისე იშვიათია, მაგ.,

VIII, 7, 1 [*Ἰωνες*] *ἐξ Ἀθηναίων τὸ γένος ὄντες* იონიელები ათენელთაგან არიან წარმოშობით.

6. γένος იხმარება მსაზღვრელად, ე. ი. ქართულად უნდა გადმოვიღოთ სიტყვებით: ამნაირი, ამისთანა, ამგვარი. მაგ.,

XV, 1, 59 *Ἄλλην δὲ διαίρειον ποιεῖται περὶ τῶν φιλοσόφων, ὄντι γένη φάσχαν, τὸν τοῦ μὲν Βραχυμάχου καλεῖ, τοῦ δὲ Γερμάχου (მეგასთენე) სხვა დაყოფასაც ახდენს ფილოსოფოსებისას; ამბობს, ორგვარი არიანო, მათგან ერთთ უწოდებს ბრახმანებს, ხოლო მეორეთ — გარმანებს.*

¹ დეაოტარე ერთ-ერთი ტეტრარქის ჩამომავალი იყო თვით: XII, 3, 13 *καὶ τοῦτ' αὖ ἀπέδειξεν αὐτὸν βασιλέα, ἔχοντα καὶ τὴν πατρῶαν τετραρχίαν τῶν Γαλατῶν, τοῦς Τολιστοβαγίους.* „(პომპეუსმა) დააყენა მეფედ (დეაოტარე), რომელსაც ჰქონდა გალატელებზე, ტოლისტობოგებზე, მამეული ტეტრარქია“.

² შტრ. A: Р а н о в и ч, Восточные провинции... стр. 103.

7. გვაქვს ერთი შემთხვევა, როდესაც γένος; გაღმოსტეშის „ლარგს“, „სტეროს“.

X, 3, 23 ბ: τῶν θειολογικῶν γένους; ἐφάπτεται: τὰ παράμυθα τῶντα რადგან ეს საქმეები ეხება თეოლოგიურ სფეროს (ე. ი. თეოლოგიას),

8. გვაქვს ერთი შემთხვევა, როდესაც სტრატონი ტერმინს γένος-ს ხმარობს მეორე ტერმინთან, εἰδω-თან, შეპირისპირებით. I, 2, 31 ὅ γὰρ ἂν τὸ γένος παρθεῖ; τὸ εἶδος; ἐπίγειον რადგანაც (ჰომეროსს) არ დაუსახელებია გვარი და სახე მოიყვანა.

9. გვაქვს ერთი ჯგუფი მაგალითებისა, სადაც ტერმინი γένος; აღნიშნავს საზოგადოების ფენას, ერთგვარად მონათესავეს, მაგრამ არ ჩანს, რომ ეს ნათესაობა იყოს სისხლით (როგორც ზემოთ გვქონდა):

XI, 3, 6 Τέτταρα δὲ καὶ γένη τῶν ἀνθρώπων οἴκει: τὴν χύραν· ἔν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὗ τὸν βλαπτικὸν καμψαζῶν κατ' ἀρχισταίαν τε καὶ ἡλικίαν τὸν παραψύτατον, ὃ δὲ δεύτερον δ:κακοδοτεῖ καὶ στρατηλατεῖ. δεύτερον δὲ τὸ τῶν ἱερέων ὃ: ἐπιμελοῦνται: καὶ τῶν παρὸς τὸν δμῆρους δ:καίων· τρίτην δὲ τὸ τῶν στρατευομένων καὶ γεωργούτων· τέταρτον δὲ τὸ τῶν λαῶν, αἱ βλαπτικοὶ δ:σῆλοι: εἶσι καὶ πάντα διακοοῦνται: τὰ παρὸς τὸν βίον. καὶνα! ὃ' εἶσιν ἀποσι: αἱ κησεί: κατὰ συγγένειαν, ἄρχαι: δὲ καὶ ταμείαι: ἐχάστην ὃ παραψύτατος.

„აღადმიანთა ოთხი გვარი (ე. ი. ოთხგვარი აღადმიანები) მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთია და პირველი, რომლისაგანაც შეფეებს სხამენ, მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა, რომლებიც საშეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც სიციცხლისათვისაა საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულ (ნათესაობას) უხუცესი“.

ამ საკითხის ირგვლივ ვრცელი ლიტერატურა არის ზემოთ მოყვანილი. სტრატონის კვლევა ჩვენში თუ წარმოებდა, წარმოებდა ამ ადგილის ანალიზთან დაკავშირებით.

XII, 2, 3 (ლაპარაკია კამადოკიასზე): Ἐν δὲ τῷ Ἀντιπαρῶ τούτῳ βλαπτικὸν καὶ στενοῖ: εἶσιν ἀβλῶνες, ἐν οἷς ἴδρωται: τὰ Κόμματα καὶ τὸ τῆς Ἐνυσοῦς ἱερὸν ἦν ἐκείνοι Μᾶ ὀνομάζουσι· πόλις δ' ἔστιν ἀξιόλογος, πλειστον μέντοι τὸ τῶν θεοφορήτων πληθὺς: καὶ τὸ τῶν

ἱεροδοῦλων ἐν αὐτῇ. Κατάοινοι δὲ εἰσὶν οἱ ἐγοικοῦντες, ἄλλως μὲν ὑπὸ τῷ βασιλεῖ τεταγμένοι, τοῖς δὲ ἱερέως τὸ σπασκόνοντες πλέον. ὁ δὲ τοῖς θ' ἱεροῦ κύριός ἐστι καὶ τῶν ἱεροδοῦλων, οἱ κατὰ τὴν ἡμετέραν ἐπιδημίαν πλείους ἦσαν τῶν ἐξακισχιλίων, ἀνδρες ἄλλοι γυναιξί. πρὸς κείνους δὲ τῷ ἱερῷ καὶ χώρα πολλή, καρποῦται ὁ δὲ ἱερεὺς τὴν πρὸς ὁδόν, καὶ ἔστιν οὗτος δεύτερος κατὰ τιμὴν ἐν τῇ Καππαδοκίᾳ μετὰ τὸν βασιλεῖα ὡς ὁ ἐπὶ τὸ πᾶν τοῦ αὐτοῦ γένους ἦσαν οἱ ἱερεῖς τοῖς βασιλεῦσι.

თარგმანი იქნება: „ანტიტავროსში არის ღრმა და ვიწრო ხეობები, რომლებშიც არის კომანა და ენიუსის ტაძარი, რომელსაც (ე. ი. ენიუსს) ზოგი მას უწოდებს. ქალაქი მნიშვნელოვანია, მასში მეტი წილი მოსახლეობისა არის ღვთივშემოსილთა და ტაძრის მონათა (ἱερόδοσλοι). ხოლო მცხოვრებლები არიან კატაონები, რომლებიც თუმცა მეფის მიერ იმართვიან, მაგრამ უფრო მეტად ქურუმს ემორჩილებიან. ქურუმი არის უფალი ტაძრისა და ტაძრის-მონათა, რომლებიც ჩვენი იქ ყოფნის დროს 600-ზე მეტი იყვნენ, კაცები ქალებიანად. ტაძარს ეკუთვნის დიდი მიწა, რომლის შემოსავლითაც სარგებლობს ქურუმი. იგი პატრივის მიხედვით კაპადოკიაში მეფის შემდეგ არის მეორე. რადგანაც მეტწილად ერთი და იმავე გვარიდან არიან ქურუმები მეფეებთან...“.

უფრო დაწვრილებითი აღწერილობა კაპადოკიის საზოგადოებისა არ არის, მაგრამ ამ აღწერილობის მიხედვითაც ჩანს, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენები არსებულა, ამ ფენებისათვის სტრატონს აქვს ტერმინი γένος და ერთი ფენიდან ყოფილან მეფე და ქურუმი (ეს უკანასკნელი ტაძრის მამულების შემოსავლით სარგებლობს). რუსულ თარგმანში გვაქვს: род, ინგლისურში — family, გერმანულში — Geschlecht. γένος-ი სოციალური მნიშვნელობის სიტყვა ჩანს. კაპადოკიის ყოფა რთული (და იბერიის მსგავსი) საზოგადოების შთაბეჭდილებას ახდენს.

XV, 1, 49 მოთხრობილია ინდოეთის საზოგადოების შესახებ: ὅς ἐστι ὁ ὄντε γαμειν ἐξ ἄλλου γένους ὄντ' ἐπιτῆδευμα... μεταπλαμῆσθαι ἄραვის შეუძლია იქორწინოს სხვა გვარის (წარმომადგენელზე), არც გამოიცვალოს საქმიანობა.

შესაძლებელია მარტო ამ ციტატის მიხედვით არაა დამაჯერებელი, რომ γένος გამოხატავს საზოგადოების ფენას, ამიტომ განვიხილოთ ტექსტი უფრო დაწვრილებით. XV 1, 39—52 გადმოგვცემს მეგასთენეს ცნობებს ინდოეთის საზოგადოების შესახებ: ინდოეთის ხალხი იყოფა 7 ნაწილად (εἰς ἑπτὰ μέρη). აქედან I არის

ფილოსოფოსები, II — მიწათმოქმედები, III — მწყემსები და მონადირეები, IV — ხელოსნები და ვაქრები, V — მხედრები, VI — ე. წ. ზედაზნეველები (უფრო ზუსტად — მეთვალყურენი, აგენტები), VII — მეფისმრჩეველნი და თანაშემწენი (ე. ი. მოხელენი და მსახულნი). როგორც ვხედავთ, ეს მქრავ არც გვარია და არც კლასი. აქ ხალხი დაყოფილია ნაწილებად, გვარებად პროფესიის მიხედვით. ცალკეა ლაპარაკი ქაჯალეს მფევეზე და ამ ნაწილების (შვიდივეს) დამოკიდებულებაზე მასთან (§§ 39, 40, 46, 47, 48, 49).

XV, 1, 49 თავში გადმოგვცემს VII ფენის დახასიათებას და შემდეგ შვიდივე ფენისათვის დასკვნაა გაკეთებული:

“Επίδομοι δ' οί σὺμψοισι καὶ σὺνεῖροι τῶν βασιλέωσ, ἐξ ἄν τὲ ἀρχεῖα καὶ διῶαστήρια καὶ ἡ διοικησις τῶν βλαγ. οὐκ ἔσσι δ' οὐτε γαμεῖν ἐξ ἄλλου γένουσ οὐτ' ἐπιτήδεσμα οὐτ' ἐργασιῶν μεταλαμψάνειν ἄλλην ἐξ ἄλλης, οὐδὲ πλείουσ μεταχειρίζεσθαι τὸν αὐτόν, πλὴν εἰ τῶν φιλοσόφων τις εἴη· ἐξεσθαι γὰρ τοῦτον δὲ ἀρετῆν.

თარგმანი იქნება: „მეშვიდე (ნაწილს) ეკუთვნიან მრჩეველნი და თანაშემწენი მეფისა, აქედან ირჩევენ მოხლეებსა და მოსამართლეებს, რომელთაც ევალებათ. მართვა (შემდეგ, რომ ყოფილიყო დღევანდელი წესები პუნქტუცია-მართლწერისა, იქნებოდა აბზაცი — თ. ყ.). არავის შეუძლია იქორწინოს სხვა გვარის (წარმომადგენელზე), არც გამოიცვალოს თავისი საქმიანობა არც ხელობა მეორეზე, გარდა ფილოსოფოსთა, რომელთაც ამისი ნება აქვთ თავისი მაღალი ღირსებების გამო“.

როგორც ვხედავთ, ეს ბოლო ეხება ზემოთ დასახელებულ შვილდავე მქრავს-ს, ე. ი. თუ თავში ავტორი ხმარობს ტერმინს — მქრავ (ნაწილი), ბოლოში მას ცვლის *γένος*-ით, ე. ი. ერთი მქრავ || *γένος*-ის წარმომადგენელს არ შეუძლია იქორწინოს მეორე მქრავ || *γένოს*-ის წარმომადგენელზე, თითოეულ მქრავ || *γένოს*-ს აქვს თავისი საქმიანობა, ხელობა, რისი დატოვებაც არ შეიძლება. ეს არ ეხება მარტო პირველ მქრავ || *γένოს*-ს — ფილოსოფოსებს.

ეს უკანასკნელი შენიშვნა რომ არ ყოფილიყო (ფილოსოფოსების შესახებ), შეიძლებოდა კიდევ გვეფიქრა, რომ მქრავ-ი არის საზოგადოების დიდი ერთეული, რომელშიც შიგნით არის *γένოს*-ები (ე. ი. გვარები, სოციალური გაგებით) და ამ გვარებს შორის იკრძალება საქორწინო ურთიერთობა, მაგრამ ცნობა ფილოსოფოსთა შესახებ ხსნის ამ ექვს. ცხადია, ამ ადგილას *γένოს*-ი იხმარება მქრავ-ის პარალელურად, მის მაგივრად, ე. ი. საზოგადოების ფე-

ნების აღსანიშნავად, ცალკეული პროფესიებისათვის. თარგმანებში ამ ობიექტებისათვის არის: *κλασς; Kaste.*

XVI, 4, 25 მოცემულია არაბეთის საზოგადოების დახასიათება. მოვიყვან მას მთლიანად: *τήν μὲν οὖν ἀρωματοφόρον διαίρουσιν εἰς τέτταρας μερίδας... κατ' ἄλλην δὲ διαίρουσιν σύμπασαν τὴν ἐνδύμιονα πενταχῆ σχίζουσι εἰς βασίλειας, ὧν ἡ μὲν τοὺς μαχίμους ἔχει καὶ προαγωνιστὰς ἀπάντων, ἡ δὲ τοὺς γεωργοὺς παρ' ὧν ὁ σῆτος εἰς τοὺς ἄλλους εἰσάγεται, ἡ δὲ τοὺς βαναυσοτεχνούστας, καὶ ἡ μὲν σμυρνοφόρος, ἡ δὲ λιβανωτοφόρος παρ' ἄλλήλων δ' οὐ μεταφοιτᾷ τὰ ἐπιτηδῆματα, ἀλλ' ἐν τοῖς πατρίοις διαμένουσιν ἕκαστοι. ἀδελφοὶ τιμιώτεροι τῶν τέκνων κατὰ πρεσβυγένειαν καὶ βασιλεύουσιν οἱ ἐκ τοῦ γένους καὶ ἄλλας ἀρχὰς ἄρχουσι. κοινήν κτήσιν ἄπασιν τοῖς συγγένεσι, κύριος δὲ ὁ πρεσβύτατος. μία δὲ καὶ γυνὴ πᾶσιν, ... οὗ καὶ πάντες ἀδελφοὶ πάντων εἰσίν. μίγνυται δὲ καὶ μητράσιν. μοιχῶν δὲ ζῆμίαν θάνατος· μοιχὸς δ' ἐστὶν ὁ ἐξ ἄλλου γένους.*

თარგმანი: „(ქვეყანას), რომელშიც სურნელოვანი ნივთიერებები მოღის, ჰყოფენ 4 ნაწილად... მეორე დაყოფის მიხედვით მთელი ეს ბედნიერი (ქვეყანა) 5 საგვარეულოდაა დაყოფილი, რომელთაგან ერთში არიან მებრძოლნი და დამცველნი ყოველთა, მეორეში — მიწათმოქმედნი, რომელთაგან პური მიღის სხვებთან, მესამეში — ხელოსნები, მეოთხეში (მოჰყავთ) მური, ხოლო მეხუთეში — საქმეველი... საქმიანობა არ გადადის ერთი-მეორე (ნაწილებში); თითოეული რჩება მამულ (საქმიანობას)... ძმები უფრო დიდ პატივში არიან, ვიდრე შვილები დაბადებით უფროსობის გამო (ბერძნულ გამოცემაში წერტილია, ჩემის აზრით, უადგილოდ „შვილების“ შემდეგ, ვფიქრობ *κατὰ πρεσβυγένειαν* ამას ეკუთვნის და არა მომდევნო წინადადებას. თ. ყ.¹). მეფობენ და სხვადასხვა თანამდებობები უჭირავთ მათ, ვინც ამ გვარადან არის. საერთო აქვს ქონება მთელ ნათესაობას, ხოლო უფალი არის უხუცესი. ყველას ჰყავს ერთი ცოლი... ამიტომ ყველა ძმა ყველასი. ურთიერთობა აქვთ დედებთანაც, გარყვნილი ისჯება სიკვდილით: გარყვნილი არის სხვა გვარადან“...

სიტყვა *βασίλεια*, ἡ „სამეფო ხელისუფლება“, აქედან „სახელმწიფო“. ლექსიკონებში დამოწმებულია პირველად ჰეროდოტეს-

¹ ინგლისურ თარგმანში (ჯონსისეულში) არის ისევე, როგორც ბერძნულ დედანში. რუსულად, მიშჩენკოს თარგმანში, 1 ნაწილი კი ისევეა, როგორც მე მაქვს, მაგრამ შემდეგ სხვაგვარად არის.

თან (ჰომეროსი ამ სიტყვას არ ხმარობს), აღნიშნულია, რომ უფრო ხშირად გვხვდება ის თუქიდიდესთან და პლატონთან და შემდეგი ხანის ავტორებთან. ჩვეულებრივ ამ სიტყვას თარგმნიან „სახელმწიფოდ“, „სამეფოდ“. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ჰაზაღაძე პირველად ნიშნავდა „გვარის უფროსს“. „შამასახლისს“, მაშინ იმავე ძირიდან წარმოებული სიტყვა ოქსიპონი იქნება ამ ჰაზაღაძის ძალაუფლების გავრცელების არე, ე. ი. „გვარი“. ამიტომ ამ კონტექსტში ოქსიპონი ოქსიპონი ვთარგმნე როგორც „საგვარეულო“, „გვარი“.

ამ ნაწყვეტში თბილისი (თარგმანებში: ποδ. Familie) ოჯერ არის ნახმარი და, ვფიქრობ, გვაროვნული ყოფის გამოსახატავად. ქვეყანა 5 საგვარეულოდ (ჰაზაღაძე) არის დაყოფილი. ეს საგვარეულო სოციალური ერთეული არაა, ესაა წოსახლეობის დიფერენციაცია საქმიანობის მიხედვით (თანაც, თითოეულ ჯგუფს აქვს საკუთარი, ლამის მემკვიდრეობითი, მამაკაპეული საქმიანობა და ის მას არ იცვლის, ერთი „საგვარეულოს“ წევრი მეორეში არ გადადის). ამას გარდა, თითქოს უფრო პრიმიტიული ყოფაა, ვიდრე იბერიაში (თუმცა იბერიის ცხოვრების ეს მხარე ნაჩვენებია არაა ამ შრომაში); ყველა ყველას ძმაა, ნათესაობას თუ გვარს ჰყავს საერთო ცოლი, დედა ამავე დროს შეიძლება იყოს ცოლი. ძმა მეტ პატივშია, ვიდრე შვილი (დაბადებით უფროსობის გამო). რამდენადაც ერთი ნათესაობის (ე. ი. გვარის) ფარგლებში სქესობრივი ურთიერთობა რეგლამენტირებული არ არის, იმდენად ის აღკვეთილია სხვა გვარის წევრთან (სიკვდილით ისჯება გარყვნილი, და იქვეა ახსნილი, თუ ვინ არის გარყვნილი). ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ადგილი: ჰაზაღაძის თბილისი ოქსიპონი და ოქსიპონი (რომელიც გარეგნულად ჰგავს იბერიის საზოგადოების აღწერილობას), ვფიქრობ უნდა გავიგოთ ასე: მეფობენ (ე. ი. მართავენ) გვარს და უქირავთ სხვადასხვა თანამდებობები ამავე გვარის წევრებს (სხვა, გარეშე, უზენაესი ხელისუფლება არ ჩანს), ქონება გვარს საერთო აქვს, უფალი (სხვა ტერმინით ჰაზაღაძის) არის უზუცესი.

ვფიქრობ, სტრაბონის დროინდელი (ან ცოტა მასზე ადრინდელი) არაბეთისათვის, უფრო ზუსტად, ერთ-ერთი არაბი ტომისათვის, ასეთი დასკვნა მიუღებელი არ უნდა იყოს. არის გვაროვნული წყობილება, მაგრამ იმ საფეხურზე, რომ საზოგადოებას თავისი გარკვეული, მემკვიდრეობითი კი, საქმიანობა აქვს.

XVII 1, 12 წარმოადგენს პოლიბიოსის დროინდელი ეგვიპტის დახასიათებას (ყოველ შემთხვევაში მისი ცნობების მიხედვით) ოქსიპონი

Πολύβιος γειγώνως ἐν τῇ πόλει βδελύττεται· τὴν τότε κατάστασιν καὶ φησι τρία γένη τὴν πόλιν οἰκεῖν, τὸ τε Ἀγύπτιον καὶ ἐπιχώριον φθλον, δὲ καὶ ἀπολιτικόν¹, καὶ τὸ μισθοφορικὸν βάρυ καὶ πολὺ καὶ ἀνάγωγον· ἐξ ἔθους γὰρ παλαιὸς ξένους ἔτρεφον τοὺς τὰ ἦπλα ἔχοντας, ἄρχειν μᾶλλον ἢ ἀρχεσθαι· δεδιδαγμένους δὲ τῆν τῶν βασιλέων οὐδέναίχον· τρίτον δ' ἦν γένος τὸ τῶν Ἀλεξανδρέων, οὐδ' αὐτὴ εὐκρινῶς πολιτικὸν διὰ τὰς αὐτὰς αἰτίας, κρεῖττον δ' ἔκείνων ὅμως· καὶ γὰρ εἰ μὴ γὰρ δες. "Ἐλλήγες ὅμως ἀνέχοντο ἦσαν καὶ ἐμέμνητο τῶν κοινῶν τῶν Ἑλλήγων ἔθους. „პოლიბიოსი, რომელიც ყოფილა ქალაქში (ალექსანდრია იგულისხმება — თ. ყ.) აღშფოთებულია მასინდელი მდგომარეობით და ანბობს: ქალაქში მოსახლეობს სამი გვარი, ერთია ადგილობრივი ეგვიპტური მოღვა, ფიცი და სახელმწიფოს მმართველობისათვის გამოუსადეგარი, მეორე — დაქირავებულია, რომლებიც არიან მძიმე, მრავალრიცხოვანი და უხეში: ძველი ჩვეულების მიხედვით (ალექსანდრიელები) ინახავდნენ უცხოელებს, რომელთაც იარაღი ჰქონდათ და იმიტომ რომ მეფეები არაფრის მაქნისები იყვნენ, თვითონ (ეს ჯარისკაცები — თ. ყ.) უფრო მართავდნენ, ვიდრე იმართვოდნენ მათგან. მესამე გვარი იყო ალექსანდრიელთა, თვით არც მთლად კარგად განწყობილი სახელმწიფო საქმიანობის მიმართ იმ მიზეზების გამო, მაგრამ მაინც უმჯობესი მათზე (პირველ ორ გენოს-ზე?), რადგანაც, თუმცა შერეულნი. მაგრამ მაინც ელინები იყვნენ და ახსოვდათ ელინური საზოგადოებრივი წყობილების ჩვევები“.

თარგმანებში ამ ნაწყვეტის გენოს თარგმნილია: класс, Volk-რა თქმა უნდა, ეს გენოს — გვარი, ოჯახის ან გვაროვნული წყობის ერთეულის აღმნიშვნელი არაა. თუ პირველი და მესამე გენოს-ი რამენაირად ტომის, ეროვნების მნიშვნელობისაა. მეორე, დაქირავებული ჯარისკაცების შემცველი, უკვე სხვას ნიშნავს, ესაა საზოგადოების ჯგუფები. ამიტომ ტრია გენი უნდა ვთარგმნოთ „სამგვარი“, „სამნაირი“.

სტრაბონი საზოგადოების კლასიფიკაციის დროს ერთგან უფრო გარკვეულად სახავს საკლასიფიკაციო ნიშანს: VIII, 7, 1 ἔ δὲ πρῶτον μὲν εἰς τέτταρα φυλάς διείλε τὸ πλῆθος, εἶτα εἰς τέτταρα βίους· τοὺς μὲν γὰρ γεωργοὺς ἀπέδειξε τοὺς δὲ δεμισοργοὺς τοὺς

¹ ἀπολιτικόν არის კრამერის კონექტურა. ხელნაწერებში არის პოლიτικόν, რაც კონტექსტის მიხედვით გამართლებული არაა.

ბჭ ზეპოთი:იანჯ, ზეზეჰრთიჲ ბჭ ზაიჯ ფანჯაჯჯჯ „(იონმა) პირველად ხალხი ოთხ ფილედ დაჰყო, ხოლო შემდეგ ოთხად ყოფაცხოვრების მიხედვით: ერთნი გამოაცხადა მიწათმოქმედებად, მეორენი — ხელოსნებად, მესამენი — მსხვერპლშემწირველებად, ხოლო მეოთხენი — მცველებად“.

ე. ი. როგორც ვხედავთ, აქაც ოთხგვარი, ოთხნაირი ხალხია წარმოდგენილი, ხოლო გარკვეულად არის ნათქვამი, რომ საქმიანობის ნიშანია საკლასიფიკაციო.

საზოგადოების დიფერენციაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც იოსებ ფლავიოსი იმოწმებს სტრაბონს სულას დროისათვის: „Четыре рода жителей было в городе Кирене: граждане, земледельцы, метэки и иудеи“ (А. Ранович, Восточные провинции Римской империи в I — III вв. 1949 г. стр. 214). ეს ადგილი „გეოგრაფიიდან“ არ არის. კვირენელი მოსახლეობა დაყოფილია ოთხად საქმიანობის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ეროვნების მიხედვით.

ამგვარად, ეს უკანასკნელი მაგალითები სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ სხვადასხვა ქვეყნების (კაპადოკიის, ინდოეთის, ეგვიპტის) საზოგადოების დახასიათებას იძლევიან. ყველგან არის ცდა საზოგადოების დიფერენციაცია — კლასიფიკაციისა. კაპადოკიის მიმართ ტერმინი *γένοϋ* უნდა იყოს სოციალური ტერმინი, ეს უნდა აღნიშნავდეს საზოგადოებრივ დაჯგუფებას სოციალური ნიშნით. ინდოეთის *γένοϋ* არის *მქეძ-ის* („ნაწილის“) პარალელურად ნახმარი სიტყვა. იგი, ისევე როგორც *მქეძ-ი*, აღნიშნავს საზოგადოების ფენას, გამოყოფილს პროფესიის ნიშნით. არაბეთში ძირითადად მოცემულია საზოგადოების დიფერენციაცია პროფესიითა, საქმიანობის სახეობის მიხედვით (ამისათვის არის ტერმინი *βασίλειον*), მაგრამ ამის გვერდით გვაქვს გვარი, *γένοϋ*-ი, სიტყვა გამოყენებული რეალური გვაროვნული წყობისათვის. ეგვიპტის საზოგადოების მიმართ ტერმინი *γένοϋ* გამოყენებულია მსაზღვრელად. ის გადმოსცემს რავგარობას, ნაირობას. თავისუფლად შეიძლება მისი *მქეძ-ით* („ნაწილით“) შეცვლა.

ტერმინი *γένοϋ*-ის ხმარება ყველაზე უფრო საინტერესო არის იბერიის შემთხვევაში. ფეიქრობ, თავისუფლად შეიძლება თარგმნისას ვიხმაროთ სიტყვა „გვარი“, იმიტომ კი არა, რომ ამით მაინცდამაინც ხაზი გავუსვავთ ამ სიტყვის სოციალურ მნიშვნელობას. ქართული სიტყვა „გვარი“ თავისთავად შეტისმეტად მრავალმნიშვნელოვანია (გვარი — სოციალური, გვარი — ოჯახი, გვარი —

ადამიანისა, გვარი — სახეობასთან შეპირისპირებით და სხვ.). სტრაბონის დროინდელი იბერიის მიმართ, სტრაბონის თარგმნის დროს, სიტყვა „კლასის“ ხმარება (მაშინაც კი, როდესაც დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ტერმინი *κλῆσις*-ით „კლასის“ ცნებაა გადმოცემული) ისტორიის მოდერნიზაციად მეჩვენება. ტერმინი „კლასი“ ამ შემთხვევისათვის უნდა ვიხმაროთ კომენტარში, ინტერპრეტაციის დროს და არა თარგმნისას. სტრაბონი, თუ ავტორი მისი წყაროსი, ხედავს იმას, რომ იბერიაში ოთხნაირი ხალხია, ისევე როგორც ეგვიპტეში — სამნაირი, არაბეთში — ოთხნაირი, ინდოეთში — შეიღნაირი, ხოლო საფუძველი კლასიფიკაციისათვის მას ყოველთვის ერთნაირი არა აქვს: ზოგან მოსახლეობის საქმიანობა არის ნიშნად აღებული, ზოგან ავტოხთონობა თუ არაავტოხთონობა. მართალია, ტერმინი *κλῆσις* თავისთავად „კლასს“ (ჩვენი გაგებით) არ ნიშნავს, მაგრამ იგი იბერიის შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც სოციალური ფენის აღნიშვნელი სიტყვა.

იბერიაში, რომელსაც აგვიწერს სტრაბონი, მკლევართა აზრით, ან უმაღლეს საფეხურზე მდგომი გვაროვნული საზოგადოებაა, ან ახალგაზრდა სახელმწიფო. უმაღლეს საფეხურზე მყოფი გვაროვნული საზოგადოება, სადაც უკვე არის ამ საზოგადოების რღვევის ელემენტები, ასახულია ძველ ბერძნულ საგმირო ეპოსში, „ილიადასა“ და „ოდისეაში“. ამ პოემებში ხშირად გვხვდება სიტყვა *κλῆσις*, მაგრამ *κλῆσις*-ზე კიდევ უფრო ხშირად იმავე მნიშვნელობით არის ხოლმე სიტყვა *γενεή*¹.

ჰომეროსი სიტყვა *κλῆσις*-ს ხმარობს შემდეგი მნიშვნელობით: ჯიში (როდესაც ეს ეხება ცხოველებს) და მოდგმა (ადამიანების, ღმერთებისა და ფანტასტიკური ცხოველების შესახებ), თაობა, წარმოშობა და გვარი (დაფუძნებული ნათესაობაზე). სტრაბონთან შედარებით აქ რამდენიმე მნიშვნელობა გვაკლია: როგორობის აღნიშვნა (ამნაირი, ასეთი და ხალხის კლასიფიკაცია რაიმე ნიშნით), დარგის ან სფეროს გადმოცემა და ტომი. ტომის ცნების გამოსახატად ჩვეულებრივია ბერძნული სიტყვა *τῆσις*. ჰომეროსი ხმარობს სიტყვას *τῆσις*; მაგრამ სიმრავლის, კრებითი ცნების აღსანიშნავად (*τῆσις* *μελίσσας*, *λαῶν* *τῆσις* და სხვა). მხოლოდ

¹ მართალია, ქრონოლოგიურად ჰომეროსი და სტრაბონი დიდად არიან დაშორებული ერთმანეთს, მაგრამ ჰომეროსის გამოყენება პარალელურ მასალად უადგილოდ არ მეჩვენება იმის გამო, რომ ჰომეროსიც რღვევის გახზე დამდგარ გვაროვნულ წყობილებას აგვიწერს.

ორჯერ გვაქვს ხალხის სახელთან ეს სიტყვა: „ილიადა“, XII, 130 Δακίαν... ἔμυος და XVI 522 Ἀγαῶν ἔμυος. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ნახმარია სიტყვა δῆμος (Βοιωτοί, Λακίης, Φαιήκων). დაბალი ხალხისათვის, ხალხის მასისათვის, ნახმარია სიტყვა λαός (ყოველგვარი ეთნიკური გაგების გარეშე), სიმრავლის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა τὸ πλῆθος (სინონიმი ἀμφοιπομός, ἔχλοος-ისა), რომელთანაც არასოდეს გვხვდება რომელიმე ტომის სახელი.

ჰომეროსის შემდეგ სიტყვა ἔμυος-ის მნიშვნელობა გამრავალფეროვანებულია.

II. ΒΑΣΙΛΕΥΣ. ეს სიტყვა სტრაბონთან გვხვდება საკმაოდ ხშირად და სხვადასხვა მნიშვნელობით. βασιλεύς რთული აღნიშვნის და საკუთრივ ბერძნული ეტიმოლოგიისა ჩანს. ყველაზე უფრო გავრცელებული ეტიმოლოგიის მიხედვით (βα + λαίος) იგი ნიშნავს „ხალხის წინამძღოლს“¹.

ბერძნული ენის ვრცელ ლექსიკონებში (პაპე, ლიდლ-სკოტი, დიმიტრაკი), დადასტურებულია ამ სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები: მეფე (საერთოდ, მემკვიდრეობითი მეფე; შემდეგ კერძოდ — სპარსეთის მეფე, რომის იმპერატორი, ბიზანტიის კეისარი...), მთავარი, ერთ-ერთი არქონტი (ათენში), ზოგჯერ „ტირანი“, უფლისწული, უფროსი, მეთაური, მამასახლისი, პირველი, ან ყველაზე მეტად გამოჩენილი თავის წრეში და სხვა. სტრაბონი გარდა βασιλεύს-ისა ცნებებისათვის: მეფე, გამგებელი, დინასტი, მმართველი, ხმარობს სიტყვებს: χείρας, ἡγεμῶν და სხვ.

სტრაბონი ამ ტერმინს ხმარობს შემდეგი მნიშვნელობებით:

1. „უხუცესის“, „გვარის უფროსის“ აღსანიშნავად². მაგ., I, 2, 15 μάλιστα τε και ἱεροσχοπισμῆνους ἀποδείκνυσθαί βασιλέα „(დანაე და ატრევსი) გამოცხადებული იყვნენ მისნებად და მსხვერპლზე დამკვირვებელ ბასილეესებად“.

V, 3, 2 ἀπελθόντα δὲ Ἀατῖνον τὸν τῶν Ἀβριγῖνων βασιλέα τῶν οἰκούντων τὸν τόπον τῆστων... „მოვიდა ლატინე, ბასილეესი აბორიგინთა, რომლებიც იმ ადგილას მოსახლეობდნენ“.

X, 5, 10 οὐ αὐτῆν Πόλυδῆατος δὲ βασιλεύς ἀκούσαν ἄγεσθαί ποσειδετο πρὸς γάμον... „რადგანაც ბასილეეს პოლიდექტეს უნდოდა მისი (პერსევსის დედის) მის უნებურად ცოლად წაყვანა“.

¹ არის სხვა ეტიმოლოგიები: βα + λαίης; βόσχω + λαίος, შდრ. É. Boisacq, Dictionnaire étymologique de la langue grecque, 1916.

² ჰომეროსის ეპოსში „გვარის უფროსისათვის“ გარდა βασιλεύს-ისა ხშირად იხმარება: ἀναξ და κοσμήτωρ.

XIII, 1, 13 *φησὶ δὲ Καλλισθένης ἀπὸ Ἀδράστου βασι-
λέως ... καλεῖσθαι Ἀδράστειαν* „კალისტენე ამბობს, რომ ბასი-
ლევს ადრასტეს მიხედვით დაერქვა (ამ ადგილს) ადრასტეა“.

XIII, 3, 1 (ეხება ლელეგებს) *ἄτε τὸν βασιλέως ἀντὼν ἔτι πε-
ρὶόντις* „როდესაც მათი ბასილევსი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო“...

XVI, 4, 25 *Μισυάτης* δὲ τὼν βασιλέων *τιςδὲ Μισυατῆ* τὸ
κάλλις „ერთი რომელიღაც ბასილევსის ასული საოცარი სი-
ლამაზისა იყო“¹...

XI, 9, 3 პოსიდონიოსის სიტყვებია, ეხება პართიას: *συνέθ-
ρισον... εἶναι... διετόν*, τὸ μὲν *συγγενῶν* τὸ δὲ *σοφῶν* *καὶ μάγων*, *ἐξ*
ὧν ἀμφοῖν τὸν *βασιλέως* *καμίστασθαι* „(პართელებს) აქვთ ორ-
ნაირი საბჭო, ერთი (შემდგარი) ნათესავთაგან, ხოლო მეორე
ბრძენთაგან და მოგვთაგან, რომელთაგან, ორივედან, ბასილევ-
სები ისმებნიან“².

ასეთი მაგალითები არის მრავლისაგან მრავალი. ქვემოთ მო-
ვიყვანთ მხოლოდ იმათ, რომლებიც ეხება საქართველოს წარ-
სულს:

XI, 2, 13 *οἱ γόνυ Ἡνίοχαι τέταραξ* *εἶχον* *βασιλέως* „ამ-
გვარად ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ“. მხოლოდ ამ
ნაწყვეტის მიხედვით არ ჩანს, რატომ არის ჰენიოხების ბასილევ-
სი გვარის უფროსი, მაგრამ ის გვარის უფროსად მოგვეჩვენება,
თუ მიხედვლობაში მივიღებთ XVII, 3, 24, სადაც სწერია: *εἰ μὴ*
τις τὰ τῶν Ἀχαιῶν *καὶ Ζαγῶν* *καὶ Ἡνίοχων ἐν λόγῳ* *τίθεται*, *ληστ-
ρῶν* *καὶ νομᾶν* *καὶ Ζῶντων ἐν στενοῖς* *καὶ λυπεροῖς* *χάρσις* „... თუ

¹ მართა ამ ამონაწერით არ ჩანს, რომ ეს „ბასილევსი“ მაინცდამაინც
გვარის უფროსია, მაგრამ მთელი ეს ადგილი ავიწიერს ერთ-ერთ არაბ ტომს,
რომელიც გარკვეულად გვაროვნული საზოგადოებაა: თითოეულ საგვარეულოს
თავისი საქმიანობა აქვს. ძმებს მეტი პატივი აქვთ, ვიდრე შვილებს, უფროსო-
ბის გამო; ქონება ნათესავებს საერთო აქვთ, მათ შორის უფროსი უფროსობს.
ჰყავთ საერთო ცოლი. ამიტომ ყველა ყველას ძმაა. ამ ლამაზ ასულს ჰყავდა 15
ძმა. ამდენად, *βιαιόεσθαι*-ი ამ პირობებში არის გვარის უფროსი.

² პართია, როგორც ჩამოყალიბებული სახელმწიფო, ამ დროისათვის უკვე
ცნობილია, მაგრამ შესაძლებელია პოსიდონიოსის ეს ცნობა ეხება რომელიმე
შედარებით ჩამორჩენილ ნაწილს. მართა ამ ნაწყვეტის მიხედვით ასეთი დას-
კვნის გაკეთება შეიძლება: ძლიერ გვარს, ალბათ საკმაოდ მოზრდილს, ჰყავს ორი
საბჭო, ერთი შემდგარი ნათესავთაგან (ე. ი. ბასილევსის ნათესავთაგან) და მეო-
რე რჩეულთაგან—რჩეულნი არიან თავისი გონებრივი მონაცემების მიხედვით; ბა-
სილევსს, გვარის უფროსს, ირჩევენ როგორც ერთი საბჭოდან, ასევე მეორიდან.
ის გვაროვნული საზოგადოება, რომელიც ამ ეიტატშია აღწერილი, საკმაოდ
განვითარებული ჩანს.

არ მივიღებთ მხედველობაში აქველთა, ძიგთა და ჰენიოხთა მხარეს, ესენი ვიწრო და ღარიბ ადგილებში ცხოვრობენ ყაჩაღობითა და მომთაბარეობით“.

XI, 2, 12 სწერია, რომ აქველებს, ძიგებს და ჰენიოხებს უქირავეთ ზღვის ნაპირი და რომ ამ ნაპირის მოსახლეობა (ე. ი. აქველები, ძიგები და ჰენიოხები) ცხოვრობენ მეკობრეობით.

ჰენიოხებს სტრაბონი რამდენჯერმე ახსენებს, მაგრამ მათი ყოფის დახასიათება მხოლოდ აქ აქვს.

XI, 2, 13 სწერია, რომ მითრიდატე ევპატორმა ძიგებზე კი არ გადაიარა, არამედ ჰენიოხებზე, რადგან მათი მხარე შედარებით უფრო იოლად სავალი (πιρρυσυμιας) იყო. ეს, ვფიქრობ, არ ნიშნავს კიდევ იმას, რომ ჰენიოხების იოლად სავალ მხარეში მოსახლეობას განვითარების მაღალი დონე ჰქონდა.

XI, 2, 19 ეხება სუანებს: βασιλέα ὁ ἔχουσι καὶ συνέριον ἀνδρῶν τριακοσίων „ჰყავთ ბასილეესი და 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო“. ამავე პარაგრაფშია დახასიათებული სუანთა ტომი: ყველაზე ძლიერი მეზობელ მთის მოსახლეთა შორის, ყველა კაცი მეომარია (ამიტომ 200000 კაცის გამოყვანა შეუძლიათ ომიანობის დროს), ამავე დროს ჰყავთ მათ უხუცესთა საბჭო (300 კაცისაგან შემდგარი) და უხუცესი — ბასილეესი.

გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნების შესახებ ლაპარაკი, სამუშაოა, არ არის.

ცალკე მინდა გამოვეყო ორი შემთხვევა სიტყვა βασιλέα-ის ხმარებისა, ესაა ერთი ეთიოპიის შემთხვევაში, ხოლო მეორე — ინდოეთთან დაკავშირებით.

XVII, 2, 2—3 დახასიათებულია ეთიოპელთა ყოფა: ეთიოპელები იკვებებიან მარცვლეულით, რომლისაგან სასმელებსაც იმზადებენ. მცენარეული ზეთის მაგივრად ხმარობენ ცხოველის ცხიმს. ხეხილი არა აქვთ, გარდა იმ მცირე ფინიკებისა, რომლებიც ბასილეესების (βασιλειαις) ბალებში იზრდებიან. ზოგიერთები სქამენ ბალახს, ლოტოსს, ლერწმის ფესვებს, აგრეთვე ხორცს, სისხლს, რძესა და ყველს. ბასილეესებს (βασιλειαις) პატივს სცემენ ღმერთების მსგავსად და ესენი (ბასილეესები) მეტწილად სახლში არიან ჩაკეტილი. მათი უდიდესი რეზიდენცია (βασιλειον) არის მეროე, ქალაქი, რომელსაც იგივე ეწოდება, რაც კუნძულს. ამ კუნძულის მოსახლეობის ნაწილი არის მომთაბარე, ნაწილი მონადირე და ზოგიც — მიწათმოქმედი. აქ მოიპოვება რკინის, სპილენძისა და ოქროს საბადოები და სხვადასხვა სახის პატიოსანი თვლე-

ბი. ეთიოპელები შეიარაღებული არიან ოთხი წყრთის სიგრძე ხის მშვილდებით. აიარაღებენ ქალებსაც, რომელთა შორის მეტ წილს ტუჩში სპილენძის რგოლი აქვს გაყრილი. ესენი ტყავებში არიან ჩაცმულები, რადგანაც მატყლი არ მოეძვეებათ. ზოგიერთები სულაც ტიტვლები დადიან, სხვებს კიდეც მცირე სარტყელი აქვთ გაკეთებული ტყავისაგან ან ბალნისაგან მოწნული. ღმერთთაგან ერთი მიაჩნიათ უკვდავად (და ეს არის მიზეზი ყოვლისა), ხოლო მეორე — მოკვდავად. მაგრამ ეს უსახელო და გამოუცხადებელია. „მეტწილად ღმერთებად მიაჩნიათ კეთილისმყოფელნი და მეფის კარზე მყოფნი, ხოლო ამათგან ბასილევსები მიაჩნიათ ყველას საზოგადო მხსნელებად და დამცველებად, ხოლო კერძო პირები¹ — მხოლოდ მათ (მხსნელებად და დამცველებად), ვისაც ისინი კარგს რასმე გაუკეთებდნენ“ (ὁς δ' ἐπὶ τὸ πῶς τοῖς εὐεργέταις καὶ βασιλεῦσι τὸς εὖεργέταις καὶ φιλῶσι, καὶ τούτων τοῖς μὲν βασιλέας κιοῖσις ἀπάντων σῶτηρας καὶ φιλῶντας, τοῖς δ' ἰδιώταις¹ ἰδιῶς τοῖς εὖ παθόντων ἢ ἀντων) ... მეროეს მცხოვრებლები პატივს სცემენ რომელიღაცა ბარბაროსული ღმერთის გარდა ჰერაკლეს, პანსა და იზიდას. გვამებს ერთნი მდინარეში ყრიან, ხოლო მეორენი შინ ინახავენ მინაგადასხმულებს, ზოგიერთები კი თიხის ქურკლებში ასაფლავებენ სალოცავების ირგვლივ, იფიცავენ ამ მიცვალებულებს და ეს ფიცი ყველაზე უფრო წმინდაა. „ბასილევსებად სხამენ სილამაზით გამორჩეულებს, ან ცხოველების მოვლაში (განთქმულებს), ან სიამაყით, ან კიდეც სიმდიდრით (გამორჩეულებს)“ (βασιλέας τε αἰμεισταις τοῖς ἀλλεῖ δ' αἰμεισταις ἢ ἀρετῇ αἰθιοπῶν ἢ ἀνδρείῃ ἢ πλοῦται). მეროეში ძველად ქურუმებს ჰქონდათ ყველაზე მეტი უფლებები (αἰρωταῖτην ἰσχύ), ისინი ბასილევსსაც კი უგზავნიდნენ კაცს და უბრძანებდნენ, რომ თავი მოეკლა, მის მაგიერ კი ბასილევსად სხვას სვამდნენ. შემდეგში ერთმა ბასილევსთაგანმა მოსპო ეს ჩვეულება: შეიარაღებული შეიქრა ტაძარში და ყველა ქურუმი ამოხოცა. ეთიოპელებს კიდეც ერთი ჩვეულება აქვთ: თუ ბასილევსს სხეულის რომელიმე ნაწილი დაუსახიჩრდებოდა, იგივე უნდა განეცადათ მის მახლობლებსაც, რომლებიც მასთან ერთად კვდებოდნენ კიდეც. ამიტომაა, რომ რაც კი შეიძლება უფლიან ბასილევსს.

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტში მრავალმხრივ არის დახასიათებული ეთიოპიის ყოფა და კერძოდ ეთიოპელი „ბასილევსი“.

¹ შეპირისპირება: ბასილევსის და კერძო პირის (βασιλέας—ιδιώτης) შდ. P a p e. (Griechisch-deutsches Handwörterbuch, ... ιδιώτης, ὁ — der Privatmann im Gegensatz des Staatsmannes...

ეთიოპელი „ბასილევსი“, ჩემის აზრით, არის რალაცა საშუალო გუარის მეთაურსა და მეფეს შორის: ბასილევსად ირჩევა რალაცა ნიშნით გამორჩეული კაცი (ე. ი. ბასილევსობა მემკვიდრეობითი არაა), იქნება ეს სილამაზე (ეს ყველაზე არასოციალური ნიშანია), სიმამაცე, სიმდიდრე თუ ცხოველების მოვლის უნარი. ცხოველების მოვლისათვის ამოდენა მნიშვნელობის მინიჭება იმას ნიშნავს, რომ ეთიოპელებს ჯოგი ჰყავთ და მეჯოგეობა მათთვის მნიშვნელოვანი დარგია. ასე არჩეული ბასილევსი ღმერთითი პატივცემულია და სახლში ჩაკეტილი ჰყავთ¹. დრო ყოფილა, რომ ქურუმები მეტად ძლევამოსილნი ყოფილან, მაგრამ ჩვეულებრივი ამბავი დატრიალეზულა: თეოკრატისა შებრძოლებია მოლონივრებული ბასილევსი, რომელსაც ახალი უფლებები მოუპოვებია და დაუმარცხებია.

ინდოეთის აღწერილობა სტრაბონს საკმაოდ ვრცელი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ თვით არ ყოფილა იქ და. სარგებლობდა სხვადასხვა ავტორების ცნობებით. ძირითადი სურათი, რომელსაც იგი აგვიწერს, არის კლასობრივი საზოგადოებისა, მაგრამ აქა-იქ გვხვდება სხვა რიგის ცნობებიც. მაგალითად:

¹ შტრ. კსენოფონტი, ანაბაზისი, V, 4, 26: მოსინიკების ბასილევსი ხის ხის კოშკში და ხალხი თავის ხარჯზე ინახავს მას. ამასთან დაკავშირებით მ. მაქსიმოვა წერს: „Между тем „цари“ моссинников имеют близкие аналоги среди царей - жрецов или царей - богов других племен. Как показывает обширный, этнографический материал, собранный Фраэсером, в основе здесь лежит представление о сверхъестественных свойствах „царей“ и их способности влиять на явление природы, а тем самым и на зависящее от природы благополучие людей. Поэтому цари - жрецы окружаются особой заботой и почитанием своих поданных. Поэтому их жизнь регламентируется иногда до мелочей..., причем предполагается, что нарушение этих правил влечет за собой гибельные последствия для всего племени и в таких случаях царь подвергается наказанию, а иногда и казни...“

Проводи всю свою жизнь затворниками в башне, они фактически не могли выполнять многие функции вождей, например, предводительствовать на войне или вести переговоры с врагами или союзниками. И действительно, согласно Ксенофону, при заключении союза с одним из племен моссинников греки имели дело не с базиливсом, а с „архонтом“ этого племени (Анаб., V, 4, 3): „Местное население юговосточного Причерноморья по „Анабасису“ Ксенофонта: Дрилы и моссинники“: ВДН. 1951, № I. стр. 250—262. მ. მაქსიმოვას აზრით, მოსინიკები რლევვის გზაზე მდგარი პირველყოფილი თემური ურთიერთობის მქონე ტომია. ფეიქრობ, ეთიოპიის ბასილევსის მიმართაც თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მ. მაქსიმოვას შრომის ზემოთ მოყვანილი ადგილი.

XV, 1, 30 ἐν δὲ τῇ Καθάρσει καιρότατον ἰστορεῖται τὸ περὶ τοῦ ἀλλήλου βίβηται: διαφερόντως, ὡς ἱππῶν καὶ κύνων· βασιλέα τε ἄρ' τὸν ἀλλήστον αἰρεῖσθαί φησιν Ὀνησίφρατος, ... „კათადაში უჩვეულო რასმე მოგვეთხრობენ სილამაზის შესახებ, რომლის გამორჩევით დაფასებულია, როგორც ცხენებისა და ძაღლებისა, რადგან ონესიკრატე ამბობს, რომ ბასილეესად ირჩევენ ულამაზესსა“.

კათადაის დაბასიათება, უფრო დაწვრილებითი, ამ შრომაში სხვაგან არ გვხვდება, მხოლოდ ამ ნაწყვეტების მიხედვით სავარაუდებელია, რომ რაკილა ბასილეესის არჩევა ხდება სილამაზის ნიშნით, ჯერ სადიფერენციაციო სხვა ნიშნები ძალაში არ არის.

2. *ბათალენს-ი* გადმოგვეცემს ცნებას „მეფე“.

ასეთი მაგალითი მრავლისაგან მრავალია. სტრაბონის თხზულებაში *ბათალენს-ი* ეწოდება: ალექსანდრე მაკედონელს, მის დიადოხოსებსა და დიადოხოსების ჩამომავლებს, დარიოს სპარსთა მეფეს, კიროს სპარსთა მეფეს, მითრიდატე ევპატორს, პოლემონს, გიგესს¹ —ლიდიის მეფეს, პეროდეს და სხვათ. ამას გარდა „ბასილეესობით“ მოიხსენიებიან: ეგვიპტის, ფინიკიის, სირიის, სპარსეთის, მიდიის, პართიის, ბაქტრიის, კილიკიის, არმენიის და სხვა სახელმწიფოთა მეფეები¹.

ამ მაგალითებიდან მოვიყვან რამდენიმეს:

IX, 5, 10 ... καὶ Λεονάτος ὁ Ἀλεξάνδρου τῆς βασιλέως ἑταῖρος „ლეონატე, ალექსანდრე მეფის მეგობარი“ (ალექსანდრე მაკედონელს ეხება).

XI, 2, 3 γεσσωτὶ μὲν οὖν ἐξεπέρθησαν αὐτῶν Πολέμων ὁ βασιλέως ἀπειθοῖσσαν „ეხლახან დაანგრიო ეს (ქალაქი) პოლემონ მეფემ ურჩობისათვის“ (სტრაბონის თანამედროვე ამბავია).

XII, 13, 4 ὁ τῶν Ἀρμενίων βασιλέως Ἀρταξασδοῦς „არმენიელთა მეფე არტავაზდე“ (ანტონიუსის დროს).

XI 3, 1 τὸν δὲ Πόντου καθίστατο μὲν Μιθριδάτης ὁ Εὐπάτωρ βασιλέως „პონტოში იჯდა მეფე მითრიდატე ევპატორი“.

XII, 1, 22 ... Γύγου τῆς Ἀσδῶν βασιλέως „გიგესი, ლიდიელთა მეფე“...

XIV, 5, 18 (ეხება კილიკიას) καὶ βασιλέως ἵππο Φωμαῖον ὀνομάσθη δὲ τὰς ἀσπραγμίας Ταρχονδῆμοτος „რომაელთა მიერ მეფედ იქნა წოდებული ტარკონდიმოტე მისი სიკველის გამო“.

¹ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმპერატორების შესახებ „ბასილეესი“ არსად სწერია. სტრაბონი მათ უწოდებს ὁ θεὸς καὶσσε (ღვთაებრივი კვისარი).

XV, 3, 7 τῆς Ἀσίας βασιλεύς „აზიის მეფე (კროსი)“.

XVI, 1, 3 ἐν οἷς ἦν καὶ ἡ θειαστραφῆ τῆ βασιλείῃ „სადაც ჰქონდა საზროლო მეფე (დარიოსი)“.

XI, 13, 5 καὶ νῦν ἔτι τοῖς Παρθυσίαιον βασιλεύσιν τῆν ἀντήν παρέρχεται χρεῖαν τε καὶ ἀποφάσειαν „ეხლაც პართელთა მეფეებს აქვთ იგი (ეკბატანა), გამოსაღები და საიმელო“.

XVII 1, 5 οἱ τε γὰρ ἄπὸ τῶν Πτολεμαίου βασιλείῃς Ἰαχασαν τοσοῦτον „პტოლემეს შემდეგი მეფეები იმდენად გაძლიერდნენ“... (ეგვიპტის შესახება).

XV, 3, 22 (ეხება სპარსეთს) ἦν δὲ τὸν πλοῦτον εἰς τραφῆν ἐξέπεσον οἱ βασιλεῖς „მეფეებმა სიმდიდრის გამო თავნებობა დაიწყეს“.

ბევრი ქვეყნის შესახებ აქვს სტრატონს დაწვრილებითი ცნობები, მაგრამ განსაკუთრებით უხე მასალას გვაწვდის კაპადოკიასა და პონტოზე. კაპადოკიის ბასილევსის შესახებ სწერია:

XII, 2, 3 Κατάθονες δὲ εἶσιν οἱ ἑνοικοῦντες, ἄλλως μὲν ἦπὸ τῆ βασιλείῃ τεταγμένοι, τὸν δὲ ἱερέως ἡπαρχοῦντες τὸ πλέον... ἔστιν οὐτως [ἱερέως — თ. ყ.] δέσπορος κατὰ τῆν ἐν τῇ Καππαδοκίῃ μετὰ τὸν βασιλέα ὡς ἦν! τὸ πᾶν τὸν ἀντὸν ἴσους ἦσαν οἱ ἱερεῖς τοῖς βασιλεύσιν... „ხოლო მცხოვრებლები არიან კატაონები, რომლებიც თუმცა მეფის მიერ იმართვიან, მაგრამ უფრო მეტად ქურუმს ემორჩილებიან... (ქურუმი) პატრიის მიხედვით მეორეა კაპადოკიაში მეფის შემდეგ. რადგანაც მეტწილად ერთი და იმავე გვარიდან არიან ქურუმები მეფეებთან“. ეს არის ჩემგან არა ერთგზის დამოწმებული ადგილი, სადაც წარმოდგენილია კაპადოკიის ვითარება. მას ტაძარი და მისი მიდამოები ქურუმის განკარგულებაში არის. საერთოდ თეოკრატია საკმარისად ძლიერი ჩანს, მეფე ოფიციალურად მაინც პირველ კაცად ითვლება სახელმწიფოში, თუმცა რეალურად ქურუმს მასზე მეტი უფლებები უჩანს.

კაპადოკიის მსგავსი მდგომარეობაა პონტოშიც. აქაც ქურუმი „მეორე (კაცია) პატრიის მიხედვით მეფის შემდეგ“ (XII, 3, 32: καὶ ἦν δέσπορος κατὰ τῆν μετὰ τὸν βασιλέα). პონტოს შესახებ ცნობებში ამ ადგილას (XII, 3, 32) ყურადღება გამახვილებულია ქურუმსა და საერთოდ მღვდელმსახურებაზე, ხოლო სხვა ადგილებში პონტოს სხვადასხვა მეფეების შესახებ ცნობები

უხვად არის¹. ვფიქრობ, პონტოს პირობებში, დაახლოებით სტრაბონის თანამედროვე ეპოქაში, თავისუფლად შეიძლება სახელმწიფოს შესახებ ლაპარაკი.

უფრო დაწვრილებით მინდა შევეხო „გეოგრაფიის“ ტექსტის იმ ადგილებს, სადაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ერთეულების „ბასილევსები“ არიან მოხსენებული.

ალბანელთა βασιλευς-ი იხსენება ორ ადგილას: XI, 4, 6 და XI, 4, 7.

XI, 4, 6—7 Διαφέρουσι δὲ καὶ οἱ βασιλεις· οὐκ μὲν οὖν εἰς ἀπάντων ἄρχει, πρότερον δὲ καὶ καὶ ἑκάστην γλῶτταν ἰδίᾳ ἐβασίλευοντο ἕκαστοι. γλῶτται δ' εἰσὶν ἕξ καὶ εἰκοσὶν αὐτοῖς διὰ τὸ μὴ εὐεπιμικτον πρὸς ἄλληλους ... ἑρᾶται δ' ἀνηρ ἐντιμῶτατος μετὰ γὰρ τὸν βασιλέα, προεστῶς τῆς ἑρᾶς χάρας, πολλῆς καὶ εὐάνδρου, καὶ αὐτῆς καὶ τῶν ἑροδοσίλων ἄν ἐνθουσιῶται πολλοὶ καὶ προφητεούσους... „(მათი) ბასილევსები გამოირჩევიან: ეხლა ერთი განაგებს ყველას, ხოლო უწინ ცალკეულები მეფობდნენ ცალკეული საკუთარი ენის მიხედვით. მათ აქვთ 26 ენა, იმიტომ რომ ერთმანეთს არ ერევიან. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი ბასილევსის შემდეგ. იგი მეთაურობს წმინდა მიწას, რომელიც არის დიდი და კარგად დასახლებული, და ტაძრის მონათ, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე“.

ამ ამონაწერთა მიხედვით ჩანს, რომ ბასილევსის ძალაუფლება გაზრდილია — უწინ თუ 26 სხვადასხვა ბასილევსი იყო, ეხლა ერთია ყველა ამ ტომის მეთაური. მეორე კაცი ქვეყანაში არის ქურუმი, რომელსაც ექვემდებარება დიდი და ხალხმრავალი მამული ტაძრის მონებითურთ.

ეს კლასობრივი საზოგადოების სურათია, მაგრამ იმავე სტრაბონთან გვაქვს სხვა ცნობებიც ალბანიის შესახებ: XI, 4, 1: „ალბანელები უფრო მწყემსები არიან და ახლოს დგანან მომთაბარულ (ცხოვრებასთან), მაგრამ არ არიან ველურები; ამის გამო ისინი ზომიერად შემოარი ბუნებისა არიან“... XI, 4, 4: „ადამიანები სილამაზით და ახოვანებით გამოირჩევიან, ისინი უბრალოები არიან და არა ვაქრული ბუნების. არც მონეტებს ხმარობენ მეტწილად, არც რიცხვები იციან ასზე მეტი, არამედ ეწევიან საქონ-

¹ პონტოელი ქურუმების ძლევა მოსილების შესახებ სხვაგანაც არის საუბარო. მაგ., XII, 3, 37 პირდაპირაა ნათქვამი, რომ დანარჩენი ტერიტორია დღოფალ პითოლორისსა და ქურუმ დიტევტეს უჭირავთ.

ლის გაცელა-გამოცელას და საერთოდ ცხოვრების საქიროების მიმართ გულგრილად არიან. არ იციან ზომისა და წონის სიზუსტე, ომის, სახელმწიფო წყობილებისა და მიწათმოქმედების საქმეებში გულგრილობა ახასიათებთ, ხოლო იბრძვიან იზინი როგორც ქვეითად, ასევე ცხენებზე შემსხდრები. მსუბუქად შეიარაღებულიცა და აბჯრით (შეჭურვილებიც), როგორც არმენიელები“. XI, 4, 5: „ამათ გამოჰყავთ იბერიელებზე მეტი ლაშქარი. რადგან ესენი აიარალებენ 60.000 ქვეითს, 22.000 ცხენოსანს... ამათ შევლიან ომის დროს მომთაბარეები, გარეშეების წინააღმდეგ, ისევე როგორც იბერიელებს, იმავე მიზეზების გამო. თუმცა (მომთაბარეები) ხშირად თავს ესხმიან მოსახლეობას, ისე რომ უშლიან ხელს მიწათმოქმედებაში. (ალბანელები) არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ აბჯრები და ფარები და ცხოველთა (ტყავის) მუზარადები იბერიელების მსგავსად“.

აქ წარმოდგენილი ცნობების მიხედვით ვითარება ასეთი ჩანს: ხალხი არ ხმარობს ენოქებს, გაცელა-გამოცელას აწარმოებს, არც მთლად ველურები არიან, მაგრამ მაინც მომთაბარეებთან ახლოს დგანან თავისი ბუნებით. ამავე დროს მიწათმოქმედებასაც ეწევიან. ეს ცნობები ერთგვარად ეწინააღმდეგებიან ზემოთ მოყვანილ ციტატებს, სადაც ბასილევსი განაგებს 26 ენაზე მოლაპარაკე ხალხს და ქურუმს დიდი ადგილი უჭირავს სახელმწიფოში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ან სხვადასხვა დროის ცნობებია XI, 4, 1— და XI, 4, 6—7 პარაგრაფებში, ანდა მომთაბარეთა ყაიდაზე მცხოვრები უმოწიკო მოსახლეობა მთის მოსახლეობაა, რომელსაც განვითარების უფრო დაბალი დონე ჰქონდა, ვიდრე ბარის ალბანელებს.

იბერიის „ბასილევსს“ ეხება ადგილი:

XI, 3, 6 *Εν μὲν καὶ παρωτων, εἰς οὖν τοῖς παταλῆαζ ααμ:αααα ααα' ἀρχισειααυ τε αα! ἡλαλααυ τὸν παρσπῆαατων* „ერთი (გვარია) და პირველი, რომლიდანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს“.

ჯერ მხოლოდ ამ ნაწყვეტის მიხედვით ჩანს, რომ იბერიის ბასილევსობა მემკვიდრეობითი ყოფილა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იბერიის მთელ სურათს, რომელსაც სტრაბონი წარმოგვიდგენს, იბერიისთვის ტერმინი „ბასილევსი“ მეფედ უნდა გავიგოთ. XI, 3, 1 და შმდ. სწერია, რომ მდიდარი ქვეყანა იბერია კარგად არის დასახლებული, დაბებით და ქალაქებითაა სავსე, სახ-

ლები კრამიტით არის გადახურული¹. არის სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები. იბერიის ძირითადი საზოგადოება მხედრებისა და მიწათმოქმედებისაგან შედგება: დაბლობის იბერიელები მიწათმოქმედები არიან, მთის მცხოვრებნი, მართალია, მიწათმოქმედებასაც ეწევიან, მაგრამ უფრო კი მეომრები არიან. ქვეყანას სათავეში უდგანან ბასილევსი და მოსამართლე-მხედართმთავარი. ქურუმები საკმაოდ ძლიერნი ჩანან (აღბათ, აღბანელებისა და კაპადოკიელებისა არ იყოს, მათაც აქვთ ტაძრის მამულები და მათაც ექვემდებარებიან ტაძრის მონები). საგარეო საქმეების მოგვარებაც ქურუმების ფუნქციებში შედის.

მეფეებს ჰყავთ ე. წ. სამეფო მონები.

ასეთ პირობებში „ბასილევსი“ გვარის უფროსი ვერ იქნება; იგი მეფე ჩანს.

დასავლეთ საქართველოს — კოლხიდის ბასილევსებზეა შემდეგი ადგილები:

XI, 2, 18 τὸ μὲν γὰρ παλαιὸν ἄστυ ἐπιφάνειαν ἔσχεν ἢ χῶρα ἀστυ, ἠηλοῦσιν οἱ μὲν οἱ, τὴν Ἰάττωνος στρατείαν ἀνιττόμενοι: προσελθόντες μὲχρι καὶ Μηδίας, ἔτι δὲ πρῶτερον τὴν Φιρῖζου. μετὰ δὲ ταῦτα διαδέξανμενοι βᾶσιλεῖς εἰς σκηπτουχίας διηρημένην ἔχοντες τὴν χῶραν μέσως ἔπραττον· ἀστυθέντος δὲ ἐπὶ πᾶσι Μιθριδάτου τῶν Πιπάττορος, εἰς ἐκείνον ἢ χῶρα περιέσθη... „თუ როგორ იყო ძველად ეს ქვეყანა სახელგანთქმული, ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე. ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეები ფლობდნენ სკეპტუხიებად დაყოფილ ქვეყანას და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება. ბოლოს, როდესაც მითრიდატე ვეპატორი მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა...“.

XI, 2, 13 ἡυσαστεῖσιντα: δὲ καὶ ὄνται: ἴππ τῶν καλοσμήνων Σκηπτουχῶν· καὶ ἄνται: δὲ ὄνται: ἴππ ταραννοῖς ἢ βᾶσιλεῦσιν εἴσιν.

¹ აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ილიონის შესახებ ადგილი სტრაბონის „გეოგრაფიიდან“. რომელიც დემეტრიოს სკფსისელის მიხედვით არის მოყვანილი: XIII, 1, 27 „οὕτως ἀλεξάνδρου καὶ ἰδὲν τὴν κατοικίαν ὥστε καὶ ἐξομοιωτὰς ἔχειν τὰς στρατίας“ („დემეტრიოსმა“) ნახა ეს ახალშენი ისე დაქვეითებულს, რომ კრამიტის სახურავებიც კი აღარ ჰქონდათ (სახლებს)“. შთაბეჭდილებაა, რომ კრამიტის სახურავები გაჭირებისა ყოფილა. თუმცა შეიძლება ეს მხოლოდ ილიონის მიმართ ითქვას მის ძველ დიდებასთან შედარებით.

of γουυ 'Ηνίοχα: τέταραξ ελγαν βχασέαξ; ἦνίαξ Μ:φρ:βχλγ: ἰ
Εὐπείταρ... δι:ἦει τῆν γάρων χάνων. „განაგებენ მათ ეგრეთწოდებულ
სკეპტუხები, ხოლო ეს უკანასკნელები ტირანთა ან მეფეთა
გამგებლობაში იმყოფებიან. ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ,
როდესაც მითრიდატე ევპატორმა... მათ ქვეყანაზე გადაიარა“...

ორსავე შემთხვევაში მოცემულია დასავლეთ საქართველოს, შავი ზღვის სანაპიროს ხალხების ყოფა მითრიდატე ევპატორის დროს თუ უწინარეს. კოლხიდის ბასილევსები (მეფეები) ფლობენ სკეპტუხიებად დაყოფილ ქვეყანას, სკეპტუხები ემორჩილებიან ტირანსა თუ ბასილევსს (მეფეს). ასეთ შემთხვევაში ბასილევსი მეფე უნდა იყოს. ჰენიოხების ბასილევსების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, ეს ბასილევსი გვარის უფროსად მიმაჩნია, უბრალოდ ტერმინი იგივეა გამოყენებული.

3. βχასέαξ-ი გამოხატავს ძალას, ძლევამოსილებას, ხელისუფლებას.

ასეთი მნიშვნელობით სიტყვის ხმარება ხშირი არაა.

XII, 8, 7 of δὲ Τρῶες οἴσασθε ἔχ μαχρὸν ἀντίφθίνουτε τῶσε καὶ βχασέαξ βχασέαξ ελγαν: „ტროელები მცირეთაგან ისე გაიზარდნენ, რომ მეფეთა მეფეები გახდნენ“.

ამავე კატეგორიისაა XII, 1, 32 ἰ Ηρῆαιος... βχასέαξ βχასέαξ „პრიამე... მეფეთა მეფე“.

ცხადია, პრიამე ჩვენი გაგებით მეფე ვერ იქნებოდა. იგი სუსტი იყო და მოლონივრდა, მეფეთა მეფედაც კი იქცა (ე. ი. ძლევამოსილად).

როდესაც XV, 3, 7 კიროსი მეფეთა მეფედაა წოდებული (Κηραξ βχასέαξ βχასέαξ), ეს მარტო მისი ძლევამოსილების აღსანიშნავად კი არაა, არამედ სპარსთა მეფეების ტიტულის გამოორებაა (მით უმეტეს, რომ სტრაბონს ეს ცნობა არისტობულეს მიერ გადმოცემული წარწერის მიხედვით მოჰყავს).

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ გვხვდება ტერმინი βχასέαξ, რაც არის მდებარეობითი სქესის ფორმა βχასέαξ-ისათვის. ამავე მნიშვნელობისაა უფრო ადრე ხმარებული (მაგ. ჰომეროსთან) და გავრცელებული βχასέαξ; ასევე βχასέαξ-ზე გვიანდელი βχასέαξ. βχასέαξ-ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს; იგი არის: დედოფალი; მთავარი; არქონტ-ბასილევსის მეუღლე. βχასέαξ βχასέაξ-ზე უფრო გვიანდელია. იგი ყველაზე ადრე ალკეოსთან, შემდეგ ქსენოფონტთან გვხვდება. იგი შექმნილი და დამკვიდრებულია მონათ-

მფლობელური საბერძნეთის პირობებში სხვა ტერმინების მსგავსად -*σφα* წარმოებით (წარმოება არა ატიკურად არის მიჩნეული). ამიტომაც, რომ სტრაბონთან იგი გვხვდება მხოლოდ „დედოფლის“ მნიშვნელობით.

„ბასილისობით“ მოხსენებულია: კლეოპატრა (VII, 7, 6 *τῆς Αἰγυπτῶν βασιλίσσης Κλεοπάτρας*; ასევე XIV, 6, 6); სტრაბონის თანამედროვე ეთიოპელი კანდაკე (XVII, 1, 54 *τοῦ τῶν δ' ἡσων καὶ οὐ τῆς βασιλίσσης σεραυγῆς τῆς Κανδακῆς, ἣ καὶ ἡμῶν ἡμῶν ἡμῶν τῶν Αἰθιοπῶν* „მათ შორის იყვნენ მხედართმთავრები კანდაკე დედოფლისა, რომელიც ჩვენ დროს მართავდა ეთიოპელებს“) და სხვ.

რადგანაც სტრაბონის ეს შრომა („გეოგრაფია“) გარკვეულად გეოგრაფიული ხასიათისაა, ბუნებრივია, ჩვენთვის საგანგებო ინტერესის მქონე, საზოგადოებრივი ყოფისათვის დამახასიათებელი, ტერმინები ისე ხშირად არ იქნება ხმარებული, როგორც თუნდაც *γῆσις* და *βασίλεις*, რომელთაც, როგორც ვნახეთ, შინაარსის მხრივ მრავალფეროვანება ახასიათებთ. ტექსტის შესწავლა სხვა ტერმინების თვალსაზრისით ასეთ სურათს გვიჩვენებს:

III. ΑΑΟΣ — იშვიათად ხმარებულ ტერმინთაგანია. მისი ეტიმოლოგია ბერძნული ენის ავტორიტეტულ მკვლევართა მიერ უცნობად არის გამოცხადებული¹. სიტყვის მნიშვნელობაა: ხალხი, მასა, ადამიანები, მეომართა კრებული, მეომრები, ვაჟაკები, ქვეშევრდომები, მშვიდობიანი მოსახლეობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიტყვის ეს სხვადასხვა მნიშვნელობა ჯერ კიდევ ჰომეროსთან გვხვდება. ბერძნულიდან თარგმნილ ქართულ ტექსტებში *λαῖ-ს* შესატყვისად არის ხოლმე „ერი“.

სტრაბონთან დადასტურებული სულ რამდენიმე შემთხვევიდან ზოგი ისევ ციტატს წარმოადგენს:

XIII, 1, 35 (ესაა ციტატი „ილიადიდან“ VI, 433) „*λαῖ ὅς σῆσιον παρ' ἐριέου*“ „დააყენე ხალხი ლელვის ხესთან“ ეუბნება ანდრომაქე ჰექტორს. რა ხალხზეა ლაპარაკი? ცხადია, მეომარ ხალხზე, მეომრებზე.

VII, 7, 2 არის ციტატი ჰესიოდეს თხზულებიდან: „*ἦτοι γὰρ Λοιγρὸς Δελῆγαν ἡγήσασθαι λαῶν*“ „ლელეგთა ხალხებს წინ უძ-

¹ ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით მას *λαῖς-ს* (ქვა, კლდე) უკავშირებენ, თავისთავად ეს უკანასკნელიც არაა გარკვეული.

ლოდა ლოკროსი“ — ტექსტიდან სრულიად გასაგებია, რომ ეს ხალხი მეომარი ხალხია, ლაძს — ჯარია და სხვა არაფერი.

ასეთივე ვითარებაა იქ, სადაც ცნობა ჰეროდოტეს დამოწმებითაა მოყვანილი (შდრ. ჰეროდოტე, ისტორია, VII, 91): τῶν Παμφύλους τῶν μετὰ Ἀμφιλόχου καὶ Κάλχαντος εἶναι λαὸν ἰσχυρῶν τινῶν ἐκ Τροίας συγκαλοισθησάντων“. „პამფილიელები არიან იმ რაღაცა ნარევე ხალხთაგანნი, რომლებიც ამფილოქესა და კალქანტთან ერთად იყვნენ და თან ახლდნენ (მათ) ტროიდან“ (XIV, 4, 3),

ტროასთან მეომარი ხალხი იყო, ე. ი. ლაძს აქაც ნიშნავს მეომრებს, ჯარს. მთელი კონტექსტის შესწავლის შემდეგ ასეთივე ვითარება ჩანს ეფორეს ცნობაშიც:

X, 3, 4 τὸ μὲν πλεῖστον τοῦ λαοῦ τοῦ διαμένοντος ἐν τοῖς Ἀττάλοισι τοῦτο εἶναι τὸ τῶν Ἐπειῶν... „მეტი წილი ხალხისა, რომელიც დარჩა ეტოლიელებში, არიან ეპეელები“. ლაძს — აქაც ჯარს ნიშნავს.

ე. ი. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ერთი მნიშვნელობა ლაძს-ისა არის „ჯარი“, მეორე მნიშვნელობა არის „ახალმოშენები“, „გადასახლებულნი“ (რუს. переселенные), ე. ი. არა ის ხალხი, რომელიც ერთ ადგილზეა, მკვიდრია, არამედ, რომელიც „მოსულია“, „ახალმოშენია“, რომელიც ადგილობრივი მკვიდრი არაა. მაგ.,

XIV, 1, 3 εἰθ' ἴσμερον Φιλῶταξ ἐκ Θηβῶν λαθὺν ἀγαγὼν „ხოლო შემდეგ ფილოტამ მოიყვანა ხალხი თებდან“.

XIV, 1, 3 τοῦτον δὲ πάλιν τὸν λαὸν μετὰ τῶν Ἰώνων κοινῶς στείλαι τὴν ἀποικίαν „მთელმა ამ ხალხმა (პილოსელებზეა თქმული — თ. ყ.) იონიელებთან ერთად მოაწყვეს ახალშენი“.

XVI, 2, 5 ἔχοντά τινας τῶν σὺν τῷ πατρὶ λαῶν εἰς τὴν Γορδυσίαν ἀποικίῃσιν „ჰყავდა ზოგიერთები იმ ხალხთაგან, რომლებიც მის მამასთან ერთად იყვნენ და გადასახლდა გორდიაში“ (ეხება ტრიპტოლემოსის ძეს, გორდიოსს).

XVII, 3, 15 καί σμα δ' ἔσσι Διῶνς ἀγαγούσης ἐκ Τύρου λαὸν „დააფუძნა დიდონამ (იგულისხმება კართაგენი — თ. ყ.), რომელმაც ტიროსიდან მოიყვანა ხალხი“.

ყველა ამ შემთხვევაში ეს „ხალხი“ საიდანღაც არის მოსული. ამგვარად, ტერმინ ლაძს-ს სტრაბონი ხმარობს ორი მნიშვნელობით: „ჯარი“ და „ახალმოშენი“. არაა სავალდებულო, რომ ეს მოსული ხალხი თავისი ნებით იყოს აყრილი და გადასახლებული.

XI, 3, 6 არის $\tau\acute{\epsilon}\tau\alpha\rho\tau\omicron\nu\ \delta\epsilon\ \tau\omicron\ \tau\acute{\omega}\nu\ \lambda\alpha\delta\upsilon\ \mu\epsilon\omicron\tau\omicron\beta\eta$ (გვარი) არის ხალხისა.

რა „ხალხზეა“ აქ ლაპარაკი? იქ $\beta\alpha\sigma\iota\lambda\epsilon\upsilon\sigma\iota\ \delta\omicron\sigma\lambda\iota\varsigma\ \epsilon\iota\sigma\iota\ \chi\alpha\iota\ \pi\acute{\alpha}\nu\tau\alpha\ \delta\iota\alpha\chi\omicron\nu\omicron\sigma\upsilon\gamma\tau\alpha\ \tau\acute{\alpha}\ \pi\epsilon\rho\delta\epsilon\ \tau\omicron\nu\ \beta\iota\omicron\nu$ „რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც სიცოცხლისათვის არის საჭირო“. ამის მიხედვით $\lambda\alpha\delta\acute{\epsilon}$ -ი ესმით ხოლმე, როგორც „მდაბიო ხალხი“. უნდა ითქვას ის, რომ საერთოდ ტერმინი „ხალხი“ ნიშნავს საზოგადოებას, სიმრავლეს, რაც თავისთავად ქრელი შემადგენლობის შეიძლება იყოს. წარჩინებულ საზოგადოებას, მხოლოდ რჩეულთ, ამ სიტყვით არ აღნიშნავენ ხოლმე, მაგრამ სტრაბონს არ ეტყობა, რომ სიტყვა $\lambda\alpha\delta\acute{\epsilon}$ ჰქონდეს მინცლამინც დაბალი საზოგადოებისათვის.

სტრაბონი ჩამოთვლის გვარებს: I — ბასილევსთა; II — ქურუმთა; III — მოლაშქრეთა და მიწისმოქმედთა.¹ ვფიქრობ, სწორედ ეს III გვარი არის „ხალხი“, ვინდა რჩება ქვეყანაში? IV — არის სწორედ $\lambda\alpha\delta\acute{\epsilon}$. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სტრაბონი ამ სიტყვას ორი მნიშვნელობით ხმარობს: „ჯარი“ და „ახალმოშენე“, „მოსული ხალხი“ (პირველი მნიშვნელობა უფრო ძველ ციტატებში გვხვდება), ჯარი კი მას სწორედ III გვარში ჰყავს, უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საინტერესო ადგილის $\lambda\alpha\delta\acute{\epsilon}$ არის „ახალმოშენე“, „მოსული ხალხი“ (ნებით თუ უნებლიედ); ახალმოშენეთა გვარია IV და ესენი არიან სამეფო მონები, რაც სრულიად ლოგიკური ჩანს¹.

¹ ა. რანოვიჩი წერს: „Термин $\lambda\alpha\delta\iota$ (III—I სს-ისათვის,—თ. ყ.) следует переводить „музепки“, „люди“, „люди“, как именуются непосредственные производители на земле у многих народов“: „Эллинизм и его историческая роль“, М.-Л., 1950, стр. 156 (სხვა სპეციალისტთა აზრი ამ ტერმინის შესახებ იხ. ზემოთ). ა. რანოვიჩის ამავე შრომაში, (გვ. 150—151) ძვ. წ. ა. III ს-ის ერთი დოკუმენტის მიხედვით სწვრია: „ $\lambda\alpha\delta\iota\ \dots$ переселились в другие места“ ე. ი. გადასახლების, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის, ამბავი აქაც ძალაშია. ავტორი $\lambda\alpha\delta\iota$ -სა და $\gamma\epsilon\alpha\delta\epsilon\gamma\omicron\iota\ \beta\alpha\sigma\iota\lambda\epsilon\upsilon\sigma\iota$ -ს აიკვივებს.

ს. ჯანაშიას $\lambda\alpha\delta\iota$ ჩვეულებრივად გლენებად, მდაბიოებად მიაჩნია, როგორც ზემოთაც ვთქვი. ერთგან იგი ამ მეოთხე „გვარის“ შესახებ წერს: „მისი გაჩენა შესაძლებელი იყო სამი გზით: 1) სოციალური დიფერენციაციის შედეგად „ყოველი ერთიდან“ გამოყოფა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასახელებულ გზას უარყოფთ, ვინაიდან ამ პროცესის შედეგად „მდაბიო ხალხი“, უწინარეს ყოვლისა, ტადრების ყმებდა უნდა ქცეულიყო, და არა მარტო სამეფო სახლისა... 2) მეფის მონების მიწაზე დასმა. ეს სახესებით შესაძლებელია, მხოლოდ არ მოგვეპოვება საკმაო საბუთი. 3) უცხო თემების დაპყრობა კლასობრივად საკმაოდ დიფერენცირებულ საზოგადოების ხელისუფლების მიერ, დაპყრობილ თემთა მიწების სა-

სტრაბონი „ხალხის“ აღსანიშნავად ხშირად ხმარობს სიტყვას თბ *πληθός* — „სიმრავლე“.

XVI, 4, 19 არაბეთის შემთხვევაში ეს კიდევაც უპირისპირდება *βασίλειος*-ს, ისე რომ სოციალური ნიუანსი თბ *πληθός*-ს უფრო აქვს, ვიდრე *δ λαός*-ს.

ცნება „ხალხის“ აღსანიშნავად სტრაბონი ხმარობს ტერმინ *δημιός*-საც¹, მაგრამ ჩვეულებრივ *δημιός*-ი იხმარება *βασίλειος*-თან ან წარჩინებულებთან შეპირისპირებით; სოციალური გაგება ამ სიტყვას მეტად აქვს, ვიდრე *λαός*-ს, მაგალითად:

I, 1, 18 *ἄλλος γὰρ νόμος τὸν βασιλέως πρὸς ταγμα, ἄλλος δὲ τὸν τῶν ἀρίστων καὶ τὸν τῶν δήμου* „რადგან სხვაა კანონი, რომელიც მეფის ბრძანებაა, სხვაა წარჩინებულთა და სხვაა ხალხისა“ (მსჯელობა ზოგადია). ან კიდევ —

IX, 3, 4 „... *φιγαυροὶ οἱς καὶ δήμοι καὶ δυνασταὶ κατεσχεύασαν* „საგანძურები, რომლებიც მოაწყვეს ხალხებმაცა და დინასტიებმაც“...

XIV, 2, 5 (როდოსის შესახებ): *συναρχεῖται δὲ ὁ δῆμος καὶ οἱ ἐπιποροὶ τοὺς ἐνδεεῖς ὑπολαμπάουσαις ἔμφει τινί πατριῷ* „ხალხს ურიგდება პური და მდიდრები ღარიბებს ეხმარებიან მამეული წესის თანახმად“.

XVI, 4, 26 (ნაბატეელთა შესახებ): *πολλάκις δὲ καὶ ἐν τῷ δήμῳ ἐνδασιν ἐμφύατος* „ხშირად (ბასილევის) ხალხის წინაშე აგებს პასუხს“.

მეფო ფონდში გადარიცხვა და ამ ნიადაგზე თვით დაპყრობილთა ჩაყენება ყმურ მდგომარეობაში მეფის, როგორც სამხედრო ხელისუფლების უხეანესი წარმომადგენლისა და დასახლებული მიწის ფონდის უხეანესი პატრონის, მიმართ. ჩვენ უფრო ამ შესაძლებლობისაკენ ვიხრებით, მაგრამ საბოლოოდ ამ საკითხს მომავალი კვლევა გადაწყვეტს. რა უნდა რქმეოდათ ქართულად „მეოთხე გენეს“ წვერებს? თუ მერმინდელი, ფეოდალური საზოგადოების, ტერმინოლოგიიდან ამოვალთ — „გლეხები“, მაგრამ ზოგიერთი მოსახრება ჯერ კიდევ ამ საკითხის გარშემო დამატებითს კვლევა-ძიებას მოითხოვს“ („ადრეული ფეოდალიზმი“, ს. ჯანაშიას შრომები, II, გვ. 166—167).

ამრიგად, ს. ჯანაშიას აზრით *λαός* წარმოიშვა დაპყრობილი უცხო თემებისაგან, ე. ი. ეს არაა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა.

¹ *δημιός*-ის პირველი მნიშვნელობა ჩანს: მიწა, ქვეყანა, მხარე, დასახლებული პუნქტი — (ე. ი. რაღაცა სოფლის მსგავსი, დემი, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ ხალხე). სტრაბონი ამ „დემებისათვისაც“ ხმარობს ამ სიტყვას, შდრ. VI, 3, 2; VIII, 3, 2; IX, 1, 13; 1, 14; 1, 21; 1, 22; 2, 31; 5, 10 და სხვ. მეორე მნიშვნელობაა „ხალხი“, უუკველად დაკავშირებული ამ პირველთან (მხარე, დასახლებული პუნქტი; ის, ვინც სახლობს, ე. ი. ხალხი).

XVII, 3, 25 *δὲ γὰρ διείλε πᾶσαν τὴν χάραν καὶ τὴν μὲν ἀπέ-
δειξεν ἔαυτῷ τὴν δὲ τῷ δῆμῳ* „(ავგუსტუსმა) მთელი ქვეყანა ორად
გაჰყო, (ერთი ნაწილი) თავისთავს განუკუთვნა, მეორე — ხალხს“.

აქვეა რამდენიმე შემთხვევა *δῆμος*-ის ამავე მნიშვნელობით
ხმარებისა. ამ ნიმუშებში *δῆμος*-ი ნაკლებად ჩანს დიფერენცირე-
ბული ფენა საზოგადოებისა, ვიდრე ზემოთ: აქ ერთ მხარეს არის
ოქტავიანუს ავგუსტუსი, მეორე მხარეს „ხალხი“ (შესაძლებელია პატ-
რიციებიც ამაში იგულისხმებიან — შდრ. იქვე *εἰς δὲ τὰς δῆμοισίαι
δ ῆμος στρατηγὸς ἦ ὑπάτου* „სახალხო პროვინციაში ხალხი
(ავზავნის) სტრატეგოსებს ან იპატოსებს“).

IV. ΔΟΥΛΟΣ: მონობის ცნების გადმოსაცემად ბერძნებს არა
ერთი ტერმინი მოეპოვებათ. ეს ტერმინები ორი კატეგორიისაა.
ერთი — რომელსაც თავიდან არავითარი კავშირი მონობის ცნებასთან
არ ჰქონდა (*μαγ.*, *σῶμα*, *μειράπων*, *παῖς*, *μυρεπτός* და სხვა), და მეო-
რე — რომელიც იმთავითვე ან ზოგადად მონობას აღნიშნავდა, ან მის
რომელსამე სახეობას (*μαγ.*, *δῆμος*, *οἰκῆτης*, *οἰκογενής*, *δῆσλος*, *ἀνδρά-
ποδον* და სხვ.). ამ ტერმინთაგან *δῆσλος* ჰომეროსის შემდეგ არის
დამკვიდრებული ხმარებაში და შედარებით სხვა ტერმინებთან მას
ზოგადი მნიშვნელობა აქვს, მაშინ როდესაც სხვა ტერმინებს —
კონკრეტული, ფაქტიური. ტერმინი *δῆσλος* დაქვემდებარებულ,
დამონებულ ადამიანს გადმოსცემს: „*δῆσλος* означает раба в са-
мом общем смысле этого слова безотносительно к конкрет-
ным формам зависимости и эксплуатации“ წერს ამუსინი¹.

სიტყვა *δῆσλος*-ის მნიშვნელობად „*მონა*“ არის გამოცხადე-
ბული. იგი კიდევ ნიშნავს: „*მსახურს*“, „*დამორჩილებულს*“ და
სხვ. ეტიმოლოგიურად სიტყვა ჰიპოთეზურად დაკავშირებულია
*δο-ძირ*თან (ნიშნავს „*სახლს*“) ². აღსანიშნავია ის გარემოება, რომ

¹ А м у с и н, Термины обозначающие рабов в эллинистическом Египте по данным септуагинты: ВДИ, 1952, № 3, стр. 48. ამას გარდა მონობის ტერმინების შესახებ იხ. Я. А. Ленцман, О древнегреческих терминах обозначающих рабов: ВДИ, 1951, № 2, стр. 47 и сл. მონობის აღმნიშვნელი ტერმინები ჰომეროსთან განხილული აქვს ე. გ. კ ა გ ა რ ო ვ ს წერილში: Общественный строй греков гомеровской эпохи: Советская этнография, 1938, № 4, стр. 54.

² შდრ. ქართული „*სახლი*“ და „*მსახური*“.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ეს ტერმინი დამოუკიდებლად სულ რამდენჯერმე გვხვდება¹.

VI, 3, 2 *δτι τὸν Μεσσηνιακὸν πολέμου γενηθέντος οἱ μὴ μετασχόντες Λακεδαιμονίων τῆς στρατείας ἐκρίθησαν ὄνισλοι καὶ ἄνομάσθησαν Ἐίλωτες...*

„როდესაც მესენიელთა ომი ატყვდა, ლაკედემონელთაგან მათ, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ლაშქრობაში, მიესაჯათ მონობა და იწოდნენ ისინი ილოტებად“.

ცხადია, ὄნისღვ ნიშნავს მონას.

VIII, 5, IV *τρόπον γὰρ τινὰ θεμοσίους ὄνισλους εἶχον οἱ Λακεδαιμόνιοι τοῦτους, κατοικίας τινὰς αὐτοῖς ἀποδείξαντες καὶ λειτούργίας ἰδίαις „ლაკედემონელებს ესენი (ილოტები — თ. უ.) ჰყავდათ იმგვარად, როგორც რაღაც სახალხო მონები, მიუჩინეს მათ რაღაც საცხოვრებლები და საგანგებო სამსახური“.*

ამ მაგალითში სრულიად გარკვეულად ჩანს, თუ რას ნიშნავს ὄნისღვ.

XI, 14, 16 (არმენიის შემთხვევაში) *ἀνατιθέσθαι δ' ἐνταυμά ὄνισλους καὶ ὄνισλας „(ანატილის ტაძარს) სწირავდნენ მონებსა და მონა ქალებს“.*

ტუქსტის მომდევნო ადგილს თუ განვიხილავთ, სრულიად აშკარაა, რომ ესენი არიან ნამდვილი „მონები“: *καὶ τὸντο μὲν οὐ φασμαστόν, ἀλλὰ καὶ φύγατέρας οἱ ἐπιφανέστατοι τὸν ἔμψους ἀνείροισι παρθένοισ...* „ეს არცაა საკვირველი, რადგან ტომიდან უწარჩინებულესნიც თავის ასულებს — ქალწულებს სწირავდნენ ხოლმე“...

ნამდვილად გვაქვს შეპირისპირება: არსებობენ წარჩინებულები და, მაშასადამე, არაწარჩინებულებიც. ასე იქცევიან წარჩინებულები თავისი ქალების მიმართ (და შემდეგ აღწერილია, თუ რას აკეთებენ ეს ქალები ტაძრისათვის) და ამის გვერდით სწირავენ კიდევ მონებს: ქალებს და კაცებს.

XIV, 1, 38 *ἤμφοισε δὲ ταχέαν πλῆθος ἀπόρων τε ἀνιρώπων καὶ ὄνισλων ἐπ' ἔλθεισθέρῃ κατὰ κλημῆσαν, οἷς Ἑλισιοπέτας ἐκάλεσε*

¹ მიზეზი ამისა, ალბათ, უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ამ დროისათვის მონობის ცნების გადმოსაცემად რამდენიმე სიტყვა გვაქვს. ლენცმანის დასახელებული წერილის მიხედვით *ἀντιδρόμοισι*, რომელიც ადრე სპეციალურად „ტუქსეს“ აღნიშნავდა, სტრაბონისათვის არის უკვე „მონა“ (მისი ნამდვილი მნიშვნელობით), „მონითმოვაჰრე“ სტრაბონამდე იყო *ἀντιδρόμοισι* ან *ἀντιδρόμωνες*; ხოლო სტრაბონის დროიდან და შემდეგ — *σωματεμποροῖς*.

„სასწრაფოდ შეაგროვა სიმრავლე ღარიბი ხალხისა და მონები ისა, რომლებიც თავისუფლებისათვის იყენენ მოწოდებული, რომელთაც ჰელიოპოლიტები უწოდა“ (ეხება არისტონიკეს, ლევკადიდან).

ექვსგარეშეა, რომ ბისიღ ნიშნავს ამ შემთხვევაში „მონას“.

XI, 3, 6 (იბერიისათვის) იმ ბასიღი ბისიღი ესეი „რომლებიც სამეფო მონები არიან“...

„გეოგრაფიის“ ეს ადგილი შრომაში არა ერთგზის არის მოყვანილი. ის კი არა, ტერმინოლოგიის საკითხი სტრაბონთან სწორედ ამ ციტატის გამოა დამუშავებული. თუ γένος-ს ამ შემთხვევაში სოციალური მნიშვნელობა აქვს, თუ βασιλῆς-ი მეფეა, ასეთ კონტექსტში ბისიღ-ი, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში ჩვეულებრივ „მონას“ ნიშნავს, „მონა“ იქნება (შდრ. ზემოთ, ტერმინ λᾶδ-თან). βασιλῆς ბისიღი-სთან დაკავშირებით საინტერესოა ქართული გამოთქმა „მდაბიოა უფლისაჲ“, რომელიც არსენი მეტაფრასტის თხზულებაში არის დაცული: „მაშინ აზონ წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოა უფლისაჲ და კჳალად ათი სახლი მთავართაგან“... 3. ინგოროყვა წერს: „მდაბიოა უფლისაჲ... უალრესად საყურადღებო სოციალურ ტერმინს წარმოადგენს, რომელიც, როგორც ჩანს, არქაული ეპოქიდან მომდინარეობს. „მდაბიოა უფლისაჲ“ ეს არის მოსახლეობის იგივე კლასი, რომელიც სტრაბონს, ანტიკური ხანის იბერიის აღწერილობაში, მოხსენებული აქვს როგორც λαοί = „მდაბიონი“, იმ βασιλῆς ბისიღი ესეი = „რომელნი მეფისა („უფლისა“) მონანი არიან“¹.

ფიქრობ, რომ გამოთქმა βασιλῆς ბისიღი გადმოსცემს იბერიაში რეალურად არსებულ საზოგადოებრივ ფენას, რომელსაც ეწოდებოდა „მდაბიოა უფლისაჲ“², ხოლო λαοί-ს შესახებ ჩემი მოსაზრება იხ. ზემოთ.

იბერიის βασιლῆς ბისიღი-სთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ს. კოვალევის წინასიტყვაობა, რომელიც მან ვ. ტარნის წიგნის („Hellenistic civilisation“) რუსული თარგმანის

¹ „ძველ-ქართული მატინანე მოქცევა-ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია“: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI B, გვ. 268—270.

² „მდაბიოა უფლისაჲ“-ს შესატყვისი ბერძნული ტერმინი არის „βασιλῆς γεωργοί“ („მდაბიოა“ ის, ვინც დაბასთან, ე. ი. სოფელთან და მიწასთან არის დაკავშირებული, ხოლო „უფალი“—„მეფე“—„მეფე“ სინონიმებია).

1949 წ. გამოცემას დაურთო: „... На Востоке, особенно в мощных централизованных монархиях Египта, Вавилонии и Ассирии, в течение веков развивалась государственная собственность на землю, что привело к закабалению государством и его представителями — храмами, крупными чиновниками — непосредственных производителей, к превращению их в государственных рабов“... (ხაზი ჩემია — თ. ყ.).

„Подводя итог, мы можем сказать, что в эпоху эллинизма в общем происходило дальнейшее развитие рабства как хозяйственной системы. Оно выступает в двух видах: в форме „чистого“ (или „классического“) рабства, когда раб является, как правило и неполноценником (ხაზი ჩემია — თ. ყ.), полностью лишен средств производства, служит только вещью, товаром, орудием производства, и в форме „государственного рабства“ (ხაზი ჩემია — თ. ყ.) („крепостничества“) на Востоке, когда раб принадлежит к числу поданных того же государства, частично может быть наделен средствами производства и не является только орудием производства, но обладает (по крайней мере, номинально) некоторыми гражданскими правами“ (გვ. 12—14).

დასკვნა, რომელსაც აკეთებს ს. კოვალევი ელინისტური მონობის შესახებ, მეტი სმეტად საინტერესოა. რამდენადაც ჩანს მისი ამ „წინასიტყვაობიდან“, მას ცალკეული ქვეყნების მიმართ ეს საკითხი შესწავლილი არა აქვს. გათვალისწინებულია მხოლოდ დიადოხოსების ქვეყნები. საქართველოს, კერძოდ იბერიის, ვითარება შესაძლებელია სპეციფიკური იყო, რამდენადაც აქ გარჩეული არ ჩანს ეს ორი სახე „მონებისა“, თუმცა სტრაბონს ვერ მოვთხოვთ ს. კოვალევის მსგავსად ამომწურავ პასუხს.

რამდენადაც იშვიათია მისგან ტერმინი დამოუკიდებლად, იმდენად ხშირად იხმარება იგი კომპოზიტებში. კომპოზიტთა შორის ყველაზე ხშირია *ἐρεῖθσις*¹. ეს ტერმინი მეტწილად გვხვდება კაპადოკიასა, ფრიგიასა და პონტოში. არის ალბანიასა და სიცილიასთან დაკავშირებითაც². ვინ არიან ეს *ἐρεῖθσις*? ესენი

¹ გვხვდება სხვაც, მაგ., *ἐλεῖθσις* (XVI, 4, 26 ნაბატელებში), *ἐθῖθσις* (XV, 1, 59: ინდოეთისათვის), მაგრამ ასეთები სპორადულად.

² ის გარეშობა, რომ სტრაბონი ამ ქვეყანაში იხსენიებს *ἐρεῖθσις*-ებს აიხსნება, ალბათ, იმით, რომ აქაური ყოფა უკეთ იცის მან. ასეთი ინსტიტუტი შეიძლება სხვა ქვეყანებშიც არსებობდა, მაგრამ მათ შესახებ ავტორს ცნობები არ მოეპოვებოდა.

არიან ქალებიც და კაცებიც, რომლებიც ზეპნის ხელქვეითები არიან (ეს ზეპნის ზოგჯერ ინიშნებიან ხოლმე ქვეყნის უზენაესი მფლობელის მიერ), ზეპნის მათი მფლობელია, ხოლო გაყიდვა მათი არ შეუძლია. ზეპნის ზოგჯერ საკმარისად დიდი ტერიტორიაც. ბევრ ტაძარს (ზეპნ) ჰყავს მრავალი ზეპნის-ი. ვინ არიან თავისი მდგომარეობით ეს ზეპნის? ვფიქრობ „მონები“, რომლებიც განსხვავებით სხვა „მონებისაგან“ ტაძრის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ქურუმს ემორჩილებიან. მაგ.:

VI, 2, 5 (სიცილია, ერიკი) ... ზეპნ ზღაპრით. Ἐφοροῦντες τὴν ἀφροδίτης τιμᾶμενον διαφερόντως ἐφοροῦσιν ὑναίχων πληρᾶς τὸ παλαιόν, ἄς ἀνέμισσαν αὐτ' εὐχῆν οἱ τ' ἔκ τῆς Σιχελίας καὶ ἕξωθεν πολλοί. (ერიკს) ეკუთვნის აფროდიტეს ტაძარი, განსაკუთრებით პატრიცემული, სავსე ტაძრის მონა ქალებით, ძველად. (ეს ქალები) შესწირეს ღმერთქალს სიცილიის მცხოვრებლებმა და სხვა მრავალმა უცხოელებმა სალოცველად“.

(თავისუფალ ქალებს სხვები ვერ შესწირავდნენ ტაძარს, გარკვეული მიზეზების გამო ეს ქალები უფლებები ყოფილან და მათი შესწირვა, მათზე სხვისი უფლებების გამოჩენა, შესაძლებელი ყოფილა).

XII, 3, 34 (პომპეუსის თანამედროვე არქელაე, ანტიტავროსის კომანის ქურუმი) ἰσταν μὲν, ὁὖν ἡγεμὸν ἦν καὶ τὸν τῆν πῶσιν οἰκιστῶν ἐφοροῦσιν ἄριστος πλητὶ τὸν πεπράσκειν „(არქელაე) იყო ამათი ჰეგემონი და უფალი იმ ქალაქში მცხოვრები ტაძრის მონებისა, გარდა გაყიდვისა“ (ე. ი. ჰქონდა მათზე სრული უფლება, მხოლოდ ვერ ჰყიდდა. რამდენად მსგავსი იყო სხვა ზეპნის-ების უფლება თავის ზეპნის-ზე, არ ვიცით. ეს კი ჩანს, რომ არქელაეს უფლება შეზღუდული ყოფილა. ჩვეულებრივი მონების მიმართ ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ არამცთუ გაყიდვა, მოკვლაც კი დასაშვები იყო).

საინტერესოა ქურუმთა, ტაძრის მონათა, მეფეთა და სხვათა მდგომარეობა კაპადოკიაში, იმავე კომანაში, აღწერილი XII, 2, 3 (შდრ. ზემოთ, ტერმინ ἑνός-თან დაკავშირებით): ზეპნ და მასთან ერთად გვარადან არიან, მასთან-ს პირველობა აქვს, მაგრამ ეს მხოლოდ ოფიციალურად, ქალაქის ფაქტიური გამგებელი არის ზეპნის-ი, რომელსაც 6000 ზეპნის-ი—ქალი და კაცი, ჰყავს.

ალარ მოვიყვან სხვა მაგალითებს, მიეუთითებ მხოლოდ: XI, 4, 7; XI, 8, 4; XII, 2, 5; XII, 3, 31; XII, 3, 37; XII, 8, 14 და სხვა¹.

ტერმინი მიწის-ის მიმართ ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა ტექსტი: ავტორს ის ესმის როგორც „მონა“; *εργασιοι*, სადაც კი ამ ტერმინს რაიმე კომენტარი ახლავს, შეიძლება ითქვას, რომ არის „ტაძრის მონა“ თავისი მდგომარეობით განსხვავებული, ერთგვარად პრივილეგირებული რომელ კლასიკურ მონათაგან. თუმცა ამ მონათა მიმართაც ყოველთვის არ იყო შეუზღუდველი და განუსაზღვრელი მონათმფლობელთა უფლებები.

¹ ა. რ ა ნ ო ვ ი ჩ ი შემდეგს წერს პონტოსა და ბითინიის ტაძრის მონათა შესახებ: „Существовали и храмовые земли на которых работало зависимое население (ხაზი ჩემია—თ. ყ.), которое Страбон называет *εργασιοι* — храмовыми рабами“: „Восточные провинции Римской империи в I—III вв.“ М.-Л., 1949, გვ. 80.

მართალია, ავტორი ვრცლად არ მსჯელობს ამ *εργασιοι*-ს შესახებ, მაგრამ შთაბეჭდილებაა, რომ მას ეს მიაჩნია მხოლოდ зависимое население-დ, რაც, ვფიქრობ, უფრო ნაკლებია, ვიდრე ტაძრის მონა, ან ტაძრის მსახური. ხოლო მეორეგან სწერია: „Независимые фактически храмовые территории с порабощенным населением типичны для малоразвитого восточного общества с примитивными формами рабства“ (იქვე, გვ. 122). აქ ტერმინი *εργασιοι* არაა ნაჩვენები, მაგრამ порабощенное население მას უნდა ეხებოდეს. მეორე შრომაში ა. რ ა ნ ო ვ ი ჩ ი *εργασιοι* თითქოს ნამდვილ მონებად ესახება: „Не совсем ясно, каково было применение рабского труда на обширных храмовых территориях... О знаменитом святилище Ма в Комане Каппадокийской Страбон пишет: „Там большое множество боговдохновенных... и храмовых рабов (*εργοπολων*). Население (*οι ενοικοιυτες*) — катаонцы, вообще подчиненные царю, но повинующиеся больше жрецу. Последний распоряжается храмом и храмовыми рабами, которых во время нашего пребывания там было больше шести тысяч, мужчины и женщины. К храму относится также много земли, и доходами (*καρπους*) пользуется жрец, занимающий второе место в Каппадокии после царя (XII, 2, 3)“ ... Из этих сообщений Страбона следует, что земля принадлежавшая храму, за исключением территории самого храма, обслуживалась не рабами, а населением (*οι ενοικοιυτες*); они „вообще подчинены царю, но повинуются больше жрецу; „очевидно, это не рабы. Но шесть тысяч храмовых рабов в Комане вряд ли были заняты только обслуживанием храма и потребностей культа, очевидно они работали на земле, эксплуатируемой храмами непосредственно, хозяйственным способом“ („Эллинизм и его историческая роль“, стр. 160—161).

V. ΣΥΓΓΡΑΜΜΑ. საყვესი, ἦ (ნათესაობა, მახლობლობა; ბო-
ლოს — გვარი, ოჯახი) თხზული სიტყვაა, $\sigma\upsilon\gamma + \gamma\epsilon\upsilon$; $\gamma\epsilon\upsilon$ იგივე
ძირია, რაც ზემოთ განხილულ $\gamma\epsilon\nu\sigma$ -ში გვაქვს.

სტრაბონი მას ხშირად ხმარობს. ძირითადი მისი მნიშვნე-
ლობა სტრაბონთან არის „ნათესაობა“ ყოველგვარი სახის, მეტ-
წილად შორეული¹.

მაგ., საყვესი (ნათესაობა) იხმარება აქილეისისა და იაზო-
ნის ურთიერთობის აღსანიშნავად (I, 2, 38), მედეას და კირკეს
დამოკიდებულებისათვის (I, 2, 10). ნათესავეები არიან: ალექსანდ-
რე მაკედონელი და აააკიდები (XIII, 1, 27), ალექსანდრე მაკე-
დონელი და ილიელები (იქვე), ალექსანდრე მაკედონელი და არ-
გოსელები (XIV, 5, 7), კეისარი და ილიელები (XII, 1, 27),
ოფიოგენები² და გველები (XIII, 1, 14), ტენოსის ჩამომავლები
და ტენედოსელები (VIII, 6, 22), არაბები, არამეელები და არმე-
ნიელები (I, 2, 34), კელტები და ტურდეტანები (III, 2, 15), ოს-
ტიელები (იტალიური ტომები) და ელინები (V, 3, 5), ეპიროტები
და აააკიდები (VII, 7, 5), ეტოლიელები და ეპიელები (VIII, 3,
30), ელეელები და ლოკრები (IX, 4, 2), ელეელები და ეტოლიე-
ლები (X, 3, 3), ბერძენი ტომები ერმანეთში (X, 3, 5), კოლხები
და ეგვიპტელები (XI, 2, 17), მესენიელები და პილოსელები
(XIV, 1, 3).

ყველა ამ შემთხვევაში ტერმინი საყვესი გააზრებულია რო-
გორც გარკვეული, სისხლის ნათესაობითი ურთიერთობის აღმნიშ-
ვნელი სიტყვა, მაგრამ მას მოქმედი, აქტიური მნიშვნელობა არა
აქვს. ეს „ნათესაობა“ ნათესავეებს აღარაფერს ავალებს³.

საგანგებოდ შინდა შევებო ტერმინ საყვესი-ს ხმარების
რამდენიმე შემთხვევას, სადაც იგი გვაროვნული წყობისათვისაა
გამოყენებული.

VII, 3, 9 (ეფორეს ცნობა სკვითების ერთი ტომის, გალაქ-
ტოფაგების შესახებ): $\chi\omicron\iota\upsilon\alpha\ \pi\acute{\alpha}\nu\tau\alpha\ \xi\chi\omicron\upsilon\tau\epsilon\zeta\ \tau\acute{\alpha}\ \tau\epsilon\ \xi\lambda\lambda\alpha\ \alpha\alpha\iota\ \tau\acute{\alpha}\zeta$

¹ ისევე, როგორც დღეს რომ ვიტყვით ქართულად „ნათესავი“, ეს არ ნიშ-
ნავს დედას, მამას, შვილს, დას, ძმას. ის კი არა, მკვიდრი დეიდა — მამიდა —
ბიძაც არ აღინიშნებიან ქართულად ამ სიტყვით. „ნათესავი“ ნიშნავს ამაზე უფ-
რო შორეულ „სისხლით ნათესავს“.

² ბძე ბერძნ. „გველი“ — ამის საფუძველზეა ეს „ნათესაობა“ გამოყვანილი.

³ არ მაქვს მოყვანილი ხშირად ნახმარი ზედსართავი სახელი $\sigma\upsilon\gamma\gamma\epsilon\upsilon\sigma\eta\zeta$ —
„ნათესავი“, რომელიც ამავე მნიშვნელობით იხმარება.

γυναίκασ και τέκνα και τῆν θλίψιν συγγένειαν. „საერთო აქვთ მათ ყველაფერი, სხვა რამეებიცაა და ცოლებიც, შვილებიც და მთელი ნათესაობაც“.

ეფორეს დროის მომთაბარე სკვითები გვაროვნული წყობის საზოგადოებას წარმოადგენენ. მათ ცოლები საზოგადო ჰყავთ; მაშასადამე, შვილებიც საერთონი არიან. ასეთი ურთიერთობის დროს, ცხადია, ყველა ყველას ნათესავია. სუგენეა აქ „გვარის“ აღმნიშვნელ ტერმინად გვევლინება.

XV, 1, 6 (ინდოელთა ზნე-ჩვეულებათა შესახებ ნებარხეს ცნობები):

παρ' ἄλλοις δὲ κατὰ συγγένειαν καινή τοὺς καρπὸν ἐργασίας, ἐπὶν συκομισσασιν, ἀρῆσθαι φορτὸν ἕκαστον εἰς διατριπὴν τὸν ἕταον „(ზოგს ასეთი ჩვეულება აქვს) სხვები კი ნათესაობის და მიხედვით ერთად იღებენ მოსავალს, რის შემდეგაც თითოეული ღებულობს თავის გამოსაკვებად საჭირო წლიურ საზრდოს“.

ეს ხომ გარკვეულად განვითარებული, მაღალ საფეხურზე მყოფი გვაროვნული წყობის სურათია? სუგენეა || γένος — გვარი ერთად შრომობს და შემდეგ თითოეული კაცი იღებს განაწილებისას იმდენს, რამდენსაც საჭიროებს, ე. ი. თითოეულს ხვდება მოთხოვნილების მიხედვით.

XI, 3, 6 (იბერიელთა მიმართ) καιαὶ δ' εἰσιν αὐτοῖς ἀκτήσις κατὰ συγγένειαν, ἀρχεῖ δὲ καὶ ταμίαις ἕκαστου ὁ παρεπίστατος. „საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობის და მიხედვით. მართავეს და განაგებს თითოეულს უხუცესი“.

რა ნათესაობაა ეს სუგენეა? ეს არაა უახლოესი ნათესაობა (დედა, მამა, და, ძმა, შვილი), ესაა უფრო ფართო ცნება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ აქ ისევეა დახასიათებული იბერიის მოსახლეობა, როგორც ფრ. ენ გელსის შრომაში — ბერძნული გვარი¹.

ჩემის აზრით, ამ პარაგრაფში სტრაბონს ორი სხვადასხვა დროის ცნობა აქვს: ერთი — თავიდან (τέταρα δὲ καὶ γένη) იმ ადგილამდე, სადაც ათაგებს მეოთხე „გვარის“ დახასიათებას (παύτα διακοινοῦται τὰ πρὸς τὸν βίον), და მეორე — ეს ადგილი (καιαὶ δ' εἰσιν...), პირველი ცნობა კლასობრივ საზოგადოებას ახასიათებს, მეორე კი უფრო ძველია, გვაროვნული საზოგადოების ყოფის ამსახველია.

¹ ფრ. ენ გელსი, ოჯახის, კერძო საქუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, 1953, გვ. 136.

თუ მაინცდამაინც უნდა დავუშვათ, რომ ცნობები თანადროულ-
ლია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ კლასობრივ საზოგადოებაში
ძლიერად არის გადმონაშთები გვაროვნული წყობისა — თავისი
უხუცესებით. მაშინ ბასილევსების კატეგორიაში შესაძლებელია და
აღბათ მხოლოდ ერთი საყრჯნე იყო, მაგრამ მეომრები და მი-
წათმოქმედები უქველად არაერთ საყრჯნე-ს შეიცავდნენ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სტრაბონის ტექსტის ეს ადგილი
ეხება ზემოთ მოყვანილ ოთხსავე „გვარს“ და ამის შესაბამისად
მკვლევარი ასკვნის, რომ იბერიაში იყო გვაროვნული წყობილება,
ე. ი. საყრჯნე არის საგვარეულო¹. ს. ჯანაშიას აზრით, ზემოთ
მოყვანილი ადგილი ეხება მხოლოდ მეოთხე „გვარს“ — *λαοί*-ს,
რომელიც შედგება თემებად შეკავშირებული სამეფო ყმებისაგან,
რუსული „ობჟინისა“ და გერმანული „მარკის“ მსგავსად².

VI. ნათესაური დამოკიდებულების აღმნიშვნელი მეორე ტერ-
მინიც გვხვდება „გეოგრაფიის“ XI, 3, 6 §-ში: *ἐξ οὗ τούδε βλαστᾶς*
καθίσταται κατ' ἀρχιστείναν τε καὶ ἡλαίαν τὸν περὶ σὺντατον „საი-
დანაც სხამენ მეფეებს მახლობლობისა და ასაკის მიხედვით
უხუცესს“.

ამ ტერმინის (*ἀρχιστεία*) შესასწავლად გადავათვალიერე
მთელი ტექსტი და სამწუხაროდ (თუ კი არ გამომჩნა) ასეთი
ფორმა მეტი ვერ ვნახე. ამავე ძირისაგან (*αρχι*) წარმოებული სხვა
ფორმები არის, მაგრამ არც თუ ჭარბად (მაგ., XI, 11, 8 — დერ-
ბიკების აღწერისას: *ἀναλίσχουσι δὲ τὰς σάρακας οἱ ἀρχιστεα*
γύνουσι — „გვამებს ანადგურებენ უახლოესნი გვარის მიხედვით“).

ლექსიკონებში *ἡ ἀρχιστεία* (წარმოებული ძირისაგან *ἀρχι* —
ნიშნავს „ახლოს“, „მახლობლად“; ამისი აღმატებითი ხარისხი —
ἀρχιστεα „ყველაზე უფრო ახლოს“, „ყველაზე მახლობლად“) ახ-
სნილია: ნათესაური მახლობლობა, მემკვიდრეობის უფლება უახ-
ლოესი ნათესაობის საფუძველზე (პაპე: *nahe Verwandtschaft*;
Erbfolgerecht. ლიდლ-სკოტი: *nearness of kin; rights of kin,*
right of inheritance).

ამ მონაცემების საფუძველზე ნათელია, რომ სტრაბონი საყ-
რჯნე-ს ხმარობს „ნათესაობის“ (ზოგადი ცნების) გადმოსაცემად,

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 154
ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 148.

² ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქარ-
თლოში: ს. ჯანაშიას შრომები, II, 1952, გვ. 139—142.

ხლოლ ჭყჴთჴღჴ-ს მემკვიდრეობითი უფლების, უახლოესი ნათესაობისათვის, ე. ი. იბერიაში მეფეებად სხამენ ძველი მეფის პირდაპირ მემკვიდრეს, უახლოეს ნათესავს (უფროს შვილს? უფროს ძმას?. საინტერესოა, რა მიაჩნდათ მაშინ უფრო მახლობლად — ძმა თუ შვილი. საფიქრებელია — შვილი, ძმებს უფრო მეტად აფასებენ არაბეთში (XVI, 4, 25), სადაც გაცილებით უფრო დაბალი განვითარების საზოგადოებაა აღწერილი).

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი (ა. ბოლტუნოვას წერილებთან დაკავშირებით), მეცნიერებაში გავრცელებული იყო აზრი, რომ სტრაბონი იბერიას იმიტომ ახასიათებს იმნაირად, როგორც მას XI, 3, 6-ში აქვს, რომ ელინისტური განათლება აქვს მიღებული¹. ელინისტურ განათლებას, რა თქმა უნდა, სტრაბონისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ, ფიქრობ, ქვეყნის აღწერისას მისთვის მაინც რეალური სიტუაციაა გადამწყვეტი. მაგალითად, იმავე საქართველოს შემთხვევიდან — ერთნაირად აგვიწერს იბერიას და სრულიად სხვაგვარად — სვანეთს (XI, 2, 19). რატომ აღარ იქონია გავლენა აქ იმავე ელინისტურმა განათლებამ?

როდესაც სტრაბონის თხზულებაზე გვიხდება მუშაობა, ყურადღებას იქცევს ის დიდი ცოდნა და, რაც მთავარია, მეტისმეტად ალლოიანი მსჯელობა, რაც იშვიათად ახასიათებს მისი დროის სხვა, არანაკლებ გამოჩენილ, მოღვაწეებს. მაგ., ჰომეროსის შესახებ ის წერს, რომ მან, ჰომეროსმა, ისარგებლა მითებით, გადაამუშავა ისინი და სხვადასხვა მხატვრული ხერხების გამოყენებით ზოგი რამ დაუმატა თვითონ, თავისი ფანტაზიით. ბოლოს და ბოლოს, ესაა ის დასკვნები, რაც გაკეთდა ორი საუკუნის დავის შემდეგ XX ს-ის ფილოლოგიაში ე. წ. ჰომეროსის საკითხთან დაკავშირებით. ან კიდევ, XV, 2, 7 ალექსანდრე მაკედონელის შესახებ სტრაბონი ამბობს: სიზმარში ნახა მან ერთი ბალახი და შემდეგში ამით ჰკურნავდა დაქრილებსო; თუმცა, დასძენს შემდეგ, ეს ალბათ შერე მიაწერეს მას პირმოთნეობით — ვინმე ასწავლიდა ცხალში ალექსანდრეს ამ მკურნალობასო.

სტრაბონი ერთ-ერთი ძირითად ავტორთაგანია ძველი საბერძნეთისა. მის „გეოგრაფიასთან“ დაკავშირებით უამრავი საკითხი ისმის და, შესაბამისად, ბევრი შრომაც არის მის მიმართ მიძღვნილი.

¹ შდრ. М. И. Ростовцев, Скифия и Востор, გვ. 41—42.

საკუთრივ საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით კიდევ ბევრი საკითხის დამუშავება შეიძლებოდა სტრაბონის ამ თხზულების სინათლეზე. მაგ., პირველ რიგში ისტორიული გეოგრაფიისა; მაგრამ ამჯერად ვიკავებ თავს ამისაგან, რადგან ეს შეუძლებელია სხვა ავტორების ცნობებთან შეჯერების გარეშე. ეს ხარვეზი ნაწილობრივ შევსებული იქნება „საძიებლებში“, რომლებიც ერთგვარად თავს უყრიან იმას, რაც სტრაბონთან დაცული სხვადასხვა გეოგრაფიული სახელწოდების მიმართ არის ცნობილი.

სტრატეგია

გეოგრაფია

I ԳՈՑԵՈ

1,10

“Ὡσπερ οὖν τὰ ἔσχατα καὶ τὰ
κῆκλῳ τῆς οἰκουμένης οἶδε καὶ
φράζει σαφῶς ὁ ποιητής, οὕτω καὶ
τὰ τῆς θαλάττης τῆς ἐντός. περιέ-
χει γὰρ ταύτην ἀπὸ Στηλῶν ἀρξά-
μένους Λιβύη τε καὶ Αἴγυπτος καὶ
Φοινίκη, ἐξῆς δὲ ἡ περῶν¹ τῆς
Κύπρου εἶτα Σόλυμοι καὶ Λύκιοι
καὶ Κᾶρες, μετὰ δὲ τούτους ἡ
μεταξὺ Μυκάλης καὶ τῆς Ἴρω-
δος ἦσαν καὶ αἱ προκείμεναι νησι-
ῶν ἀπάντων μέμνηται, καὶ ἐφεξῆς
τῶν περὶ τὴν Προποντίδα καὶ τοῦ
Εὐξείνου μέγχι Κολχίδος καὶ τῆς
Ἰάσονος στρατείας καὶ μὴν καὶ
τὸν Κιμμερικὸν Βόσπορον οἶδε
τοὺς Κιμμερίους εἰδῶς, οὐ δῆπου
τὸ μὲν ὄνομα τῶν Κιμμερίων
εἰδῶς, αὐτοὺς δὲ ἀγνοῶν, οἷ κατ’
αὐτὸν ἢ μικρὸν πρὸς αὐτοὺς μέγχι
Ἰωνίας ἐπέδραμον τὴν γῆν τὴν
ἐκ Βοσπόρου πᾶσαν·

კიმერიის ბოსფორს და კიმერიელებს, რადგან შეუძლებელია, რომ იცოდეს კიმერიელთა სახელი, ხოლო თვით კიმერიელებს არ იცნობდეს, რომლებმაც ამ დროს, თუ ცოტა უფრო ადრე, იონი-
ამდე დალაშქრეს მთელი ქვეყანა ბოსფორიდან მოკიდებული.

2,1

‘Ὁ μὲν γὰρ τῆς Ἀσίας πολλῶν
ἀνεκάλυψεν ἡμῖν καὶ τῶν βορείων
τῆς Εὐρώπης ἅπαντα μέγχι τοῦ

მან² აღმოგვიჩინა ჩვენ აზიის
მეტი წილი და ევროპის ჩრდილო-
ეთი მთლად ვიდრე ისტროსამდე.

¹ ვარიანტებში *პერიჯ*. ² ივულისხმება ჰომეროსი.

³ ალექსანდრე მაკედონელმა.

Ἰστρου· οἱ δὲ Ῥωμαῖοι τὰ ἐσπέ-
ρια τῆς Εὐρώπης ἄπαντα μέχρι
Ἄλβιος ποταμοῦ τὸν τὴν Γερμα-
νίαν διέχᾳ διαιροῦντος τὰ τε πέραν
Ἰστρου τὰ μέχρι Τύρα ποταμοῦ·
τὰ δὲ ἐπέκεινα μέχρι Μαιωτῶν
καὶ τῆς εἰς Κόλχους τελευτώσης
παραλίης Μιθριδάτης ὁ κληθεὶς
Εὐπάτωρ ἐποίησε γνῶριμα καὶ οἱ
ἐκείνου στρατηγοί· οἱ δὲ Παρθυ-
αῖοι τὰ περὶ τὴν Ἰρκανίαν καὶ
τὴν Βακτριάνην καὶ τοὺς ὑπὲρ
τούτων Σκύθας γυρωματέρους
ἡμῖν ἐποίησαν, ἥτιον γυρωζομέ-
νους ὑπὸ τῶν πρότερον· ὥστε ἔχοι-
μεν ἄν τι λέγειν πλεον τῶν πρὸ
ἡμῶν.

რომლებიც ამათ ზემოთ. [ცხოვრობენ]. [ესენი] ნაკლებ იყვნენ ცნობილნი ჩვენ წინაპართათვის, ისე რომ უფრო მეტი შეგვიძლია ვთქვათ [მათ შესახებ], ვიდრე ჩვენზე აღრე მყოფებმა.

2,10

᾿Ωσαύτως καὶ τοὺς Κόλχους
εἰδῶς καὶ τὸν Ἰάσονος πλοῦν τὸν
εἰς Αἴαν καὶ τὰ περὶ Κίρκης καὶ
Μηδεΐας μυθευόμενα καὶ ἱστοροῦ-
μενα περὶ τῆς φαρμακείας καὶ
τῆς ἄλλης ἐμοιοτροπίας, συγγε-
νειάς τε ἔπλασε τῶν οὕτω διφ-
κισμένων, τῆς μὲν ἐν τῷ μυχῷ
τοῦ Πόντου τῆς δ' ἐν τῇ Ἰταλίᾳ,
καὶ ἐξῶκαენισμὸν ἀμφοῖν, τάχα
καὶ τοῦ Ἰάσονος μέχρι τῆς Ἰτα-
λίας πλανηθέντος. δεῖχνυται γάρ
τινα καὶ περὶ τὰ Κεραύνια ὄρη
καὶ περὶ τὸν Ἀδρίαν καὶ ἐν τῷ
Ποσειδωνιάτῃ κόλπῳ καὶ ταῖς πρὸ

ასევე იცნობდა ის¹ კოლხებს,
იაზონის მგზავრობას ამაში, აგ-
რეთვე კირკესა და მედეას შესა-
ხებ მითებსა და მოთხრობებს
[მათი] ჯადოსნობისა და სხვა
მსგავსი ამბების შესახებ. ისინი
ნათესავებადაც გამოიყვანა, მიუ-
ხედავად იმისა, რომ ეგრე შორს
ცხოვრობენ ერთმანეთისაგან,
ერთი პონტოს ყურეში, ხოლო
მეორე იტალიაში, ორივე ოკეა-
ნეს გადაღმა მოათავსა, იაზონიც
ხომ ხეტიალისას იტალიამდე მი-
ვიდა: მიუთითებენ ნიშნებზე,
[რომლებიც მოწმობენ] ანგო-

¹ ჰომეროსი.

τῆς Τυρρηνίας νήσοις τῆς τῶν Ἀργοναυτῶν πλάνης σημεῖα. προσέδωσαν δὲ τι καὶ αἱ Κυάνας, ἄσπερ Συμπληγάδας καλοῦσι πέτραις τινέσ, τραχὺν ποιοῦσαι τὸν δεικνῶν τὸν διὰ τοῦ Βυζαντιακοῦ στόματος· ὥστε παρὰ μὲν τὴν Αἴαν ἢ Αἰαίη, παρὰ δὲ τὰς Συμπληγάδας αἱ Πλαγκταὶ καὶ ὁ δὲ αὐτῶν πλοῦς τοῦ Ἰάσονος πιθανὸς ἐψάνη, παρὰ δὲ τὴν Σκύλλαν καὶ τὴν Χάρυβδιν ὁ διὰ τῶν σκοπέλων πλοῦς. ἀπλῶς δ' οἱ τότε τὸ πέλαγος τὸ Πόντικόν ὥσπερ ἄλλον τινὰ ὠκεανὸν ὑπελάμβανον, καὶ τοὺς πλέοντας ἐκεῖσε ὁμοίως ἐκτοπιζεῖν ἐδόκουν, ὥσπερ τοὺς ἕξω Στηλῶν ἐπὶ πολὺν προΐδοντας· καὶ γὰρ μέγιστον τῶν καθ' ἡμᾶς ἐνομίζετο, καὶ διὰ τοῦτο κατ' ἐξοχὴν ἰδίως πόντον προσηγόρευον, ὡς ποιητὴν Ὅμηρον. ἴσως οὖν καὶ διὰ τοῦτο μετήνεγκε τὰ ἐκ τοῦ Πόντου πρὸς τὸν ὠκεανὸν ὡς εὐπαράδεχτα διὰ τὴν κατέχουσιν δόξαν.

ტომბაა, რომ უპირატესად მას უწოდეს პონტო, ისევე როგორც პოეტები — ჰომეროსს. შესაძლებელია ამიტომ გადაიტანა მან² ამბები პონტოდან ოკეანეზე, რადგანაც ამას კარგად მიიღებდნენ გავრცელებული აზრის გამო.

2,35

Τὰ μὲν γὰρ Ὅμηρου, τὰ περὶ τὸν Πόντον καὶ τὴν Αἰγυπτὸν, παρατίθῃσιν ἄγνοιαν αἰτιώμενος, ὡς λέγειν μὲν τὰ ὄντα βουλομένου, μὴ λέγοντος δὲ τὰ ὄντα, ἀλλὰ τὰ μὴ ὄντα ὡς ὄντα κατ' ἄγνοιαν.

ჰომეროსის სიტყვები, რაც ეხება პონტოსა და ეგვიპტეს, მოჰყავს [აპოლოდორეს] და ადონაშაულებს [ჰომეროსს] უმეტრებაში, თითქოს [ჰომეროსს] უნდოდა ეთქვა არსებულის შესა-

¹ პონტო. ² ჰომეროსმა.

ხებ, და არ ამბობდა არსებულზე, არამედ [ამბობდა] არარსებულზე, როგორც არსებულზე — [თავისი] უმეცრების გამო.

2,36¹

Ὅν γὰρ κατ' ἄγνοιαν τῆς ἱστορίας ὑποληπτέον λέγεσθαι τοῦτο, ἀλλὰ τραγῳδίας χάριν καὶ φόβου, ὃν ἡ Κίρκη πολλὸν τοῖς λόγοις προστίθεισιν. ἀποτροπῆς χάριν, ὥστε καὶ τὸ ψευδοῦς παραμύθουσι. ἐν αὐτοῖς γοῶν τοῖς ἔπεισι τοῦτο εἶρηξε μὲν οὕτως ἡ Κίρκη „τρίς μὲν γάρ τ' ἀνίησιν ἐπ' ἡμάτι, τρίς δ' ἀναροῖβδὲι δεινόν· μὴ σὺ γε κείθι τύχους, ὅτε ῥοῖβδησῃς· οὐ γὰρ κὲν ῥύσαιτό σ' ὑπὲρ κακοῦ οὐδ' Ἐνοσίχθων“ (ოღისეა, XII, 105 და შმდ.). καὶ μὴν παρῆ-
 τυχέ τε τῇ ἀναροῖβδήσει ὁ Ὅδυσσεὺς καὶ οὐκ ἀπῶλετο, ἄς φησιν αὐτὸς „ἡ μὲν ἀνεροῖβδησε θυλάσσης ἄλμυρὸν ὑδῶρ· αὐτὰρ ἔγῳ ποτὶ μακρὸν ἔρινεὸν ὑπόσ' ἀερθεῖς, τῷ προσφῦς ἐχόμην, ἄς νυκτερὶς“ (ოღისეა, XII, 431).
 და მივეწიებე მას, როგორც ლამურა“.

Εἶτα περιμεινας τὰ ναυάγια καὶ λαβόμενος πάλιν αὐτῶν σῶζεται, ὥστ' ἐψεύσατο ἡ Κίρκη. ἄς οὖν τοῦτο, ἀκείνο τὸ „τρίς μὲν γάρ τ' ἀνίησιν ἐπ' ἡμάτι“ ἀντὶ τοῦ ὄϊς, ἅμα καὶ τῆς ὑπερβολῆς τῆς τοιαύτης συνήθους πᾶσιν ὄϊσης, τρισμακάρους καὶ τρισამίλους λεγόντων. ჰიპერბოლის თქმა: „სამგზის ნეტარნი“, „სამგზის უბედურნი“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიის უცოდინარობის გამო კი არ ამბობს ამას [ჰომეროსი], არამედ უჩვეულო და საშინელი ამბების გულსთვის. კირკე ბევრს უმატებს თავის სიტყვებს [ოღისეისს] შემოსაბრუნებლად, ისე რომ ტყუილებსაც კი ურევს. აი იმავე სიტყვებში რას ამბობს კირკე: „დღეში სამჯერ ამოანთხევს და სამჯერ შთანთქამს [ქარიბდა]. შენ ნუ მოხვდები იქ იმ დროს, როდესაც შთანთქამს, რადგან ვერ გიხსნის მაშინ ბოროტისაგან ვერც ენოსიხ-
 თონი“². ხოლო ოღისეისი მოხვდა იქ სწორედ შთანთქმის დროს და არ დაიღუპა, როგორც თვითონ ამბობს: „ის ნთქამდა ზღვის მარილიან წყალს, მე კი ავედი მალლა დიდ ლელვის ხეზე

შემდეგ დაიცადა და ჩაეკიდა ხომალდის ნაწილებს და გადარჩა, ისე რომ კირკემ მოიტყუა, როგორც იმაში, რომ „დღეში სამჯერ ამოანთხევს“ [ქარიბდა], იმის მაგივრად, რომ ეთქვა „ორჯერაო“, მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივია ყველასათვის ასეთი ჰიპერბოლის თქმა: „სამგზის ნეტარნი“, „სამგზის უბედურნი“.

¹ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჰომეროსი თუ ზოგჯერ ზუსტ ცნობებს არ იძლევა ზოგი მოვლენის შესახებ, ეს იმიტომ კი არა, რომ არ იცის, არამედ მხატვრული ხერხია. ² ე. ი. პოსეიდონი.

Οὐδ' ἔ Σκήψιος δὲ Δημήτριος
 εὔ, ἀλλὰ καὶ τῷ Ἀπολλοδώρῳ τῶν
 ἄμφοτεῶν ἐνίων αἷτιος ἔχεινος κα-
 τέστη. πρὸς γὰρ Νεάνθη τὸν Κυζι-
 κηνὸν φιλοτιμοτέρως ἀντιλέγων,
 εἰπόντα ὅτι οἱ Ἀργοναῦται πλέον-
 τες εἰς Φάσιον τὸν ἕφ' Ὀμήρου
 καὶ τῶν ἄλλων ἰμολογούμενον
 πλοῦν, ἰδρῦσαντο τὰ τῆς Ἰδαίας
 μητρὸς ἱερὰ περὶ Κύζικον, ἀρχὴν
 φησὶ μῆδ' εἰδέναι τὴν εἰς Φάσιον
 ἀποδημίαν τοῦ Ἰάσονος Ὀμηρον.

Τοῦτο δ' οὐ μόνον τοῖς ἕφ'
 Ὀμήρου λεγομένοις μάχεται, ἀλλὰ
 καὶ τοῖς ἕφ' αὐτοῦ φησὶ γὰρ τὸν
 Ἀχιλλεῖα Λέσβον μὲν πορθησαί
 καὶ ἄλλα χωρία, Λήμνου δ' ἀποσ-
 χέσθαι καὶ τῶν πλησίον νήσων
 διὰ τὴν πρὸς Ἰάσονα καὶ τὸν υἱὸν
 Εὐνεων συγγένειαν τὸν τότε τὴν
 νήσον κατέχοντα.

Πῶς οὖν ἔ ποιητῆς τοῦτο μὲν
 ἦδει, διότι συγγενεῖς ἢ ἰμολογούμεναι
 ἢ γείτονες ἢ ὁπωσοῦν οἰκεῖοι ὑπὴρ-
 χον ἔ τε Ἀχιλλεὺς καὶ ὁ Ἰάσων
 (ὅπερ οὐδαμῶθεν ἄλλοθεν ἄλλ' ἐκ
 τοῦ Θετταλοῦς ἀμφοτέρους εἶναι
 συνέβαινε, καὶ τὸν μὲν Ἰώλκιον
 τὸν δ' ἐκ τῆς Φθιώτιδος Ἀχαιῶδος
 ὑπάρχειν), τοῦτο δ' ἠγγόνει, πόθεν
 ἐπῆλθε τῷ Ἰάσονι, Θετταλῷ καὶ
 Ἰωλκίῳ ὑπάρχοντι, ἐν μὲν τῇ πατ-
 ρίδι μῆδεμίαν καταλιπεῖν διαδο-
 χὴν, Λήμνου δὲ καταστῆσαι κύ-
 ριον τὸν υἱόν; καὶ Περίαν μὲν

ἀρκυ δειμητρίου ἡγεμονίᾳ
 μαρτοῦ, ἡς κί ἀρὰ ἀπολλο-
 δωρῆς ἡγοιέρτοι ἡγεμονίᾳ
 მიზეზი ἡს არის. ნენთე კიზი-
 კელს ἡს ცხარედ პასუხობს, [ხო-
 ლო ნენთე კი] ამბობს, რომ
 არგონავტები მოვიდნენ ფაზის-
 ში, როგორც ამას მოწმობს
 ჰომეროსი და სხვებიც, ააშენეს
 კიზიკოსთან დედა-იდაძას საკურ-
 თხვეული, [ეს კი მიუგებს, რომ]
 სულაც არ იცოდა ჰომეროსმა
 იაზონის ფაზისში მოგზაურობა.

ეს არა მარტო ჰომეროსის
 ნათქვამს ეწინააღმდეგება, არა-
 მედ (დემეტრიოსის) ნათქვამსაც;
 ἡს ამბობს, რომ აქილევესმა ლეს-
 ბოსი ააოხრა და სხვა ქვეყნე-
 ბიც, მაგრამ ლემნოსს მოერიდა
 და მეზობელ კუნძულებსაც ია-
 ზონთან და [მის] ძე ევენოსთან
 ნათესაობის გამო, რომელიც მა-
 შინ ფლობდა კუნძულს.

მართლაც და როგორ იყო,
 რომ პოეტმა ეს იცოდა, რომ
 ნათესაეები, თვისტომები ან მე-
 ზობლები იყვნენ, ან რალაცა-
 ნიიოი სიხლოვე ჰქონდათ ია-
 ზონსა და აქილევეს (რადგან სხვა
 არსაიდან არიან, თესალიელები
 არიან ორივენი, ერთი — იოლ-
 კოსიდან, ხოლო მეორე აქვის
 ფთიიდან), ხოლო ἡს კი არ იცო-
 და, თუ როგორ მოხდა, რომ
 იაზონმა, თესალიელმა, იოლკო-
 სის მფლობელმა, არავინ დას-
 ტოვა მემკვიდრე სამზობლოში,

ἦδει καὶ τὰς Πελιάδας καὶ τὴν Ἄλκηστιν τὴν ἀρίστην αὐτῶν καὶ τὸν υἱὸν αὐτῆς „Ἐὺμηλον, τὸν ὑπ’ Ἀδμήτῳ τέκε δια γυναικῶν Ἄλκηστις, Πελίαιο θυγατρῶν εἶδος ἀρίστη“ (ილიადა, II, 214), τῶν δὲ περὶ τὸν Ἰάσονα συμβάντων καὶ τὴν Ἀργῶ καὶ τοὺς Ἀργοναύτας, τῶν ὁμολογουμένων παρὰ πᾶσιν, ἀνήκοος ἦν, ἐν δὲ τῷ ὠκεανῷ τὸν παρ’ Αἰήτου πλοῦν ἐπλαττεν, ἀρχὴν μηδεμίαν ἐξ ἱστορίας λαβῶν;

როსს] არა სმენია, [ნუთუ] გამოიგონა ოკეანეში აეტესთან მგზავრობა და არავითარი ისტორიული საფუძველი არსიდან აულია?

2,39

Ὅς μὲν γὰρ ἅπαντες λέγουσιν ὅ τε ἐξ ἀρχῆς πλοῦς ὁ ἐπὶ Φᾶσιν ἔχει πιθανόν τι τοῦ Πελίου στείλαντος, καὶ ἡ ἐπάνοδος καὶ ἡ ἐν τῷ παράπλῳ νήσων ὁσηδὴ ἐπικράτεια καὶ νῆ Δία ἡ ἐπὶ πλέον γενηθεῖσα πλάνη, καθάπερ καὶ τῷ Ὀδυσσεῖ καὶ τῷ Μενελάῳ, ἐκ τῶν ἔτι νῦν δεικνυμένων καὶ πεπιστευμένων, ἔτι δὲ ἐκ τῆς Ὀμήρου φωνῆς. ἦ τε γὰρ Δία δεῖκνυται περὶ Φᾶσιν πόλις, καὶ ὁ Αἰήτης πεπίστευται βασιλεῦσαι τῆς Κολχίδος, καὶ ἔστι τοῖς ἐκεῖ τοῦτ’ ἐπιχώριον τοῦνομα. ἦ τε Μῆδεια φαρμακίς ἱστορεῖται. καὶ ὁ πλοῦτος τῆς ἐκεῖ χώρας ἐκ τῶν χρυσεῖων καὶ ἀργυρεῖων καὶ σιδηρεῖων καὶ χαλκείων δικαίαν τινὰ ὑπαγορεύει πρόφασιν τῆς στρα-

ხოლო ლემნოსზე დასტოვა მფლობელად თავისი ძე? ნომ იცნობდა [პოეტი] პელიასს, პელიადებსა და ალკესტიდას, უმშვენიერესს მათ შორის, და [ალკესტიდას] ძეს „ევმელეს, რომელიც აღმეტესაგან შვა ქალთა შორის ღვთაებრივმა ალკესტიდამ, პელიასის ასულთა შორის უმშვენიერესმა“; რაც იაზონს გადახდა თავს, არგოსა და არგონავტებს, ყველანი ერთი აზრისა არიან ამის შესახებ და ნუთუ ეს [ჰომეროსს] არა სმენია, [ნუთუ] გამოიგონა ოკეანეში აეტესთან მგზავ-

რობა და არავითარი ისტორიული საფუძველი არსიდან აულია?

როგორც ყველანი ამბობენ, ფაზისში მგზავრობა სარწმუნოა თავიდანვე და ის პელიასმა მოაწყო, [სარწმუნოა აგრეთვე] უკან დაბრუნება და ზოგი კუნძულის დაპყრობა, ვფიცივე ზევსს, რომ [ნამდვილად იყო] ეს შორეული მოგზაურობა, ისევე როგორც ოდისეისისა და მენელაოსისა, რომელთა შესახებაც ჯერაც მიუთითებენ და ირწმუნებიან ჯერ კიდევ ჰომეროსის ნაწარმოებების [დროიდან]. აჲას ხომ მიუთითებენ ქალაქ ფაზისთან, ხოლო აეტი სარწმუნოა, რომ კოლხიდაში მეფობდა; იქაურებში ეს სახელი¹ ადგილობრივია.

გრძნეული მედეას შესახებ მოგვითხრობენ და იმ ქვეყნის სიმდიდრეზე, რომელიც ოქროს,

¹ აეტესი.

τείας, καθ' ἣν καὶ Φρίξος πρότερον ἔστειλε τὸν πλοῦν τοῦτον. καὶ ἔστιν ὑπομνήματα τῆς ἀμφοῖν στρατείας, τὸ τε Φρίξειον τὸ ἐν τοῖς μεθορίοις τῆς τε Κολχίδος καὶ τῆς Ἰβηρίας, καὶ τὰ Ἰασόγεια, ἃ πολλαχοῦ καὶ τῆς Ἀρμενίας καὶ τῆς Μηθίδας καὶ τῶν πλησιοχώρων αὐταῖς τόπων δείκνυται.

Καὶ μὴν καὶ περὶ Σινώπην καὶ τὴν ταύτης παραλίαν καὶ τὴν Προποντιδα καὶ τὸν Ἑλλησποντον μέχρι τῶν κατὰ τὴν Αἴμνον τόπων λέγεται πολλὰ τεκμήρια τῆς τε Ἰάσονος στρατείας καὶ τῆς Φρίξου· τῆς δ' Ἰάσονος καὶ τῶν ἐπιδιωξάντων Κόλχων καὶ μέχρι τῆς Κρήτης καὶ τῆς Ἰταλίας καὶ τοῦ Ἀδρίου, ὧν ἕνια καὶ ὁ Καλλίμαχος ἐπισημαίνεται, τοτὲ μὲν „Αἰγλήτην Ἀνάφην τε Λακωνίδι γείτονα Θήρη“ λέγων ἐν ἐλεγείᾳ, ἧς ἡ ἀρχὴ „ἀρχμενος, ὡς ἦρωες ἀπ' Αἰήταο Κυταίου, αὐτὶς „ἐς ἀρχαίην ἔπλεον Αἰμονίην“, τοτὲ δὲ περὶ τῶν Κόλχων, „οἱ μὲν ἐπ' Ἰλλυριοῖο πόρου σχάσαντες ἔρετμα ἄα πάρα ξανθῆς Ἀρμονίης τᾶριον ἄστυρον ἐκτίσσαντο, τὸ κεν φυγάδων τις ἐνίσποι Ἰραϊκόσ, ἀτὰρ κείων γλῶσσ' ὀνόμηνε Πόλας“. τινὲς δὲ καὶ τὸν Ἰστρον ἀναπλευσαί φασι μέχρι πολλοῦ τοῦς περὶ τὸν Ἰάσονα, οἱ δὲ καὶ

ვერცხლის, რკინისა და [სპილენძისაგან] შედგება, რაც იყო მიზეზი ლაშქრობისა, რისთვისაც ჯერ ფრიქსემ მოაწყო [თავისი] მგზავრობა: ორივე ლაშქრობის ძეგლები მოიპოვება: ფრიქსესას მიუთითებენ კოლხილისა და იბერიის საზღვრებზე, ხოლო იასონისას — ბევრგან: არმენიის, მიდიისა და მიდამო ქვეყნების ადგილებში.

ამბობენ, რომ ბევრი საბუთი არის იასონის ლაშქრობისა და ფრიქსეს [ლაშქრობისა] სინოპთან და მის სანაპიროზე, პროპონტიდასა და ჰელესპონტთან ვიდრე ლემნოსის ადგილებამდე.

იასონისა და მისი მღვეარი კოლხების [ლაშქრობის კვალი] კი არის კრეტამდე, იტალიამდე და აღრიასამდე, რომელთაგან ზოგიერთს აღნიშნავს კალიმაქე, როდესაც ამბობს: „აფგლეტეს ანაფეს, მეზობელს ლაკონიდის თერისას“, ელეგიაში, რომლის დასაწყისიც ასეთია:

„როდესაც გმირები აეტეს კრეტელისაგან კვლავ მივიდნენ ძველ ჰაემონიაში“, შემდეგ ამბობს კოლხების შესახებ: „მათ ილირიის ზღვასთან შეაჩერეს ნიჩბები, დააფუძნეს ქალაქი ქვის საფლავთან, რომელიც ქერა ჰარმონიასია, ბერძნები მას უწოდებენ ლტოლვილთა [ქალაქს], ხოლო მათ¹ ენაზე მას

¹ ე. ი. კოლხთა.

μέχρι τοῦ Ἀδρίου· οἱ μὲν κατὰ ἄγνοιαν τῶν τόπων, οἱ δὲ καὶ ποταμὸν Ἰστρον ἐκ τοῦ μεγάλου Ἰστροῦ τὴν ἀρχὴν ἔχοντα ἐκβάλλειν εἰς τὸν Ἀδρίαν φασί· τὰδε τᾶλλα δὲ οὐκ ἀπιθάνως οὐδ' ἀπίστως λέγοντες.

რომ მდინარე ისტროსს დიდი ერთვის აღრიასს, ესენი სხვას არაფერს ამბობენ და უხდოს.

პოლა ეწოდება“. ზოგიერთები ამბობენ, რომ იაზონმა ასკუტრა ისტროსზე კარგა დიდი მანძილი ზემოთქენ. სხვები კი ამბობენ აღრიასამდე. ერთნი [ამას ამბობენ] ადგილთა უცოდინარობის გამო, ხოლო მეორენი ამბობენ, ისტროსისაგან აქვს სათავე და დაუჯერებელსა

2,40

Τοιαύταις δὴ τισιν ἀφορμαῖς ὁ ποιητῆς χρησάμενος τὰ μὲν ὁμολογεῖ τοῖς ἰστορουμένοις, προσμυθεύει δὲ τούτοις, ἕθις τι φυλάττων καὶ κοινὸν καὶ ἴδιον. ὁμολογεῖ μὲν, ὅταν τὸν Αἰήτην ὀνομάζῃ, καὶ τὸν Ἰάσονα καὶ τὴν Ἀργῶ λέγῃ, καὶ παρὰ τὴν Αἴαν τὴν Αἰαίην πλάτῃ, καὶ τὸν Εὐνεων ἐν Ἀθήνῃσιν καθ' ἑσθέρῃ, καὶ ποιῇ τῷ Ἀχιλλεῖ φῖλῃν τὴν νῆσον, καὶ παρὰ τὴν Μήδειαν τὴν Κίρκην φαρμακίδα ποιῇ „αὐτοκασιγνήτην ὀλοόφρονος Αἰήταο“ (ოღისეა, X, 137). προσμυθοποιεῖ δὲ τὸν ἐξωκεανισμὸν τὸν κατὰ τὴν πλάνην συμβάντα τὴν ἀπ' ἐκείνου τοῦ πλοῦ. ἐπεὶ κάκεινο, ὑποκειμένων μὲν τούτων, εὖ λέγεται „Αργῶ πασιμέλουσα“ (ოღისეა, XII, 70), ὡς ἐν γνωρίμοις τόποις καὶ εὐანδροῦსι τῆς ναυστολίας γενομένης· εἰ δ' ὡσπερ ὁ Σκῆψιὸς φησι παραλαβῶν μάρτυρα Μίμνερμον, ὃς ἐν τῷ ὠκεανῷ ποιήσας τὴν οἰκησιν

პოეტი [ჰომეროსი] ამგვარ ცნობებს რომ იყენებს, იცავს როგორც საზოგადო, ისე პირად წესს და ერთის მხრივ ეთანხმება ისტორიკოსებს, ხოლო მეორე მხრივ თვით უმატებს თავის მხრივ. ის ეთანხმება [ისტორიკოსებს], როდესაც სახელს სდებს აეტესს, იაზონს, ლაპარაკობს არგოზე, როდესაც ადასაგან ადადეს თხზავს და ევენოსს ლემნოსზე ამკვიდრებს, როდესაც აქილევსისათვის ძვირფასად ხდის ამ კუნძულსა და მედეას მიხედვით ჰქმნის ჯადოქარ კირკეს, რომელიც არის „შიშის ზარის დამცემი აეტესის მკვიდრი და“.

ხოლო თვითონ თხზავს, როდესაც ოკეანეს იქით გადააქვს მთელი მოგზაურობა იქიდან¹ წამოსვლის შემდეგ. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, კარგად არის ნათქვამი შემდეგი: „ყველასთვის ცნობილი არგო“, ვინაიდან ეს მოგზაურობა მოხდა

¹ კოლხიდიდან.

τοῦ Αλήτου πρὸς ταῖς ἀνατολάς·
 ἐκτὸς πεμφθῆναι φησιν ὑπὸ τοῦ
 Πελείου τὸν Ἰάσονα καὶ κομίσαι·
 τὸ δέριος, οὐτ' ἂν ἦ ἐπὶ τὸ δέριος
 ἐκείσε πομπή πειθανῶς λέγειτο εἰς
 ἀγνώτας καὶ ἀφανεῖς τόπους οὖσα,
 οὐμ' ὁ δὲ ἐρήμων καὶ ἀοίκων καὶ
 καμ' ἡμᾶς τοσοῦτον ἐκτετοπισμέ-
 νων πλοῦς οὐτ' ἔγδοξος οὐτε πασι-
 μέλων.

ლაშქრობა საწმისისათვის უცნობ და უჩინარ ადგილებში; არც უღაბურ, დაუხახლებელ და ჩვენგან ესე დაშორებულ ადგილებში მოგზაურობა გაითქვამდა ასე სახელს და ყველასათვის ცნობილი დაერქმევოდა.

ცნობილ და კარგად დასახლებულ ადგილებში. როგორც სკეპსისელი ამბობს მიმწერმეს მოწმობის მიხედვით, რომელიც ოკეანეში ათავსებს აეტესის საცხოვრისს და ამბობს, რომ იაზონი გაიგზავნა პელიასისგან აღმოსავლეთისაკენ საწმისის მოსაპოვებლად, [თუ ამას მივიღებთ], არ იქნება სარწმუნო არც ეს

არა მხოლოდ ამის შესახებ შეიძლება დამოწმება, არამედ იმის მიმართაც, რაზედაც [ერატოსტენე] ამბობს: მის დროს არათფერი იცოდნენ იმ ზღვებზე. რომელთა შესახებაც ძალიან ზუსტი ცნობები მოეპოვებოდათ, ის გვიჩვენებს, რომ ადვილად არ ვენდოთ შემთხვევით ამბებს, ვრცლად იძლევა მიზეზებს, რის გამოც არ უნდა ვენდოთ იმას, რასაც მოგვითხრობენ, მაგალითად, პონტოსა და აღრიასის შესახებ, ხოლო თვით კი უჯერებს შემთხვევით ამბებს.

3,2

Ὅς μόνον δὲ ταῦτ' ἄν τις ἐπισημῆται, ἀλλ' ὅτι καὶ περὶ τῶν πόντων οὐδὲ καμ' ἑαυτὸν πω γνώριμα εἶναι φήσας τὰ καμ' ἕκαστα ἀκριβολογοῦμενα, καὶ κελεύσας ἡμῖν μὴ ῥαδίως τοῖς τυχοῦσι πιστεύειν, καὶ τὰς αἰτίας διὰ μακρῶν ἀποδοῦς δι' ἃς οὐδενὶ πιστευτέον μυθολογοῦντι περὶ τῶν κατὰ τὸν Πόντον καὶ τὸν Ἀδρίαν, αὐτὸς ἐπίστευσε τοῖς τυχοῦσι.

Τοιγάρτοι τὸν μὲν Ἰσσικὸν κόλπον ἐπίστευσεν ἑωθινώτατον τῆς καμ' ἡμᾶς θιאלάττης σημεῖον, τοῦ κατὰ Διοσκουριάδα τὴν ἐν τῷ τῶν Πόντου μυχῶ σχεδὸν τι καὶ τρισχίλις σταδίους ἑωθινώτερον ὄντος καὶ κατ' αὐτὸν ἐκ τοῦ σταδισμοῦ οὐ φησί· τοῦ τε Ἀδρίου καὶ τὰ

არა მხოლოდ ამის შესახებ შეიძლება დამოწმება, არამედ იმის მიმართაც, რაზედაც [ერატოსტენე] ამბობს: მის დროს არათფერი იცოდნენ იმ ზღვებზე. რომელთა შესახებაც ძალიან ზუსტი ცნობები მოეპოვებოდათ, ის გვიჩვენებს, რომ ადვილად არ ვენდოთ შემთხვევით ამბებს, ვრცლად იძლევა მიზეზებს, რის გამოც არ უნდა ვენდოთ იმას, რასაც მოგვითხრობენ, მაგალითად, პონტოსა და აღრიასის შესახებ, ხოლო თვით კი უჯერებს შემთხვევით ამბებს.

მაგალითად ის ამბობს, რომ ისიკოსის უბე არის უკიდურესი აღმოსავლეთი ადგილი ჩვენი ზღვისა, მაშინ როდესაც დიოსკურიადა, რომელიც მდებარეობს პონტოს უკიდურეს ყურეში, 3.000 სტადიონით უფრო აღმო-

ἀρχικὰ καὶ τὰ ἔσχατα διεξῶν
 οὐδενὸς ἀπέχεται μισθῶδους. πεπίσ-
 τευκε δὲ καὶ περὶ τῶν ἔξω στη-
 λῶν Ἑρακλείων πολλοῖς μισθῶ-
 δεσι, Κέρνην τε νῆσον καὶ ἄλλους
 τόπους ὀνομάζων τοὺς μηδαμοῦ
 νυνὶ δεικνυμένους, περὶ ὧν μνησ-
 θησόμεθα καὶ ὕστερον, εἰπὼν τε
 τοὺς ἀρχαιοτάτους πλεῖν μὲν κατὰ
 ληστείαν ἢ ἐμπορίαν, μὴ πελαγί-
 ζειν δέ, ἀλλὰ παρὰ γῆν, καθάπερ
 τὸν Ἰάσονα, ὅνπερ καὶ μέχρι τῆς
 Ἀρμενίαν καὶ Μηδίας ἐκ τῶν
 Κόλχων στρατεύσαι ἀφέντα τὰς
 ναῦς, ὕστερόν φησι τὸ παλαιὸν
 οὔτε τὸν Εὐξείνιον θαρρεῖν τίνα
 πλεῖν οὔτε παρὰ Λιβύην καὶ Συρίαν
 καὶ Κιλικίαν. εἰ μὲν οὖν τοὺς
 πάλαι τοὺς πρὸ τῆς ἡμετέρας
 λέγει μνήμης, οὐδὲν ἔμοι μέλει
 περὶ ἐκείνων λέγειν, οὔτ' εἰ ἔπλεον
 οὔτ' εἰ μή· εἰ δὲ περὶ τῶν μνη-
 μονευομένων, οὐκ ἂν ὀκνήσαι τις
 εἰπεῖν ὧς οἱ παλαιοὶ μακροτέρας
 ὁδοὺς φανοῦνται καὶ κατὰ γῆν
 καὶ κατὰ θάλατταν τελέσαντες
 τῶν ὕστερον, εἰ χρῆ προσέχειν
 τοῖς λεγομένοις· οἶον Διόνυσος καὶ
 Ἑρακλῆς καὶ αὐτὸς ὁ Ἰάσων, ἔτι
 δ' οἱ ὑπὸ τοῦ ποιητοῦ λεγόμενοι
 Ὀδυσσεὺς καὶ Μενέλαος.
 λαπαράκοις μათ შესახებ, ვინც გვახსოვს, ვერავინ გაბედავს თქმას,
 რომ ძველები უფრო დიდ გზებს არ გადიოდნენ, ხმელეთითაც და
 ზღვითაც, ვიდრე შემდეგი [თაობა], თუ უნდა ვირწმუნოთ ის, რაც
 ნათქვამია, მაგალითად, დიონისეზე, ჰერაკლეზე და თვით იაზონზე.
 და კვლავ იმათზე, რომელთაც იხსენიებს პოეტი — ოდისეესა და
 მენელაოსს.

სავლეთითაა მასზე, მისი გაზომ-
 ვის მიხედვითაც კი სტადიონე-
 ბით, რომელსაც ის იყენებს;
 ხოლო როდესაც აგვიწერს აღრი-
 ასის ჩრდილოეთისა და უკიდუ-
 რეს ქვეყნებს, არ უშვებს არც
 ერთ მითს, რომ არ მოჰყვეს. მას
 სჯერა ჰერაკლეს სტელებს გა-
 რეთ მდებარე ქვეყნების შესა-
 ხები უამრავი მითებიც, ის ასა-
 ხელებს კუნძულ კერნეს და სხვა
 ადგილებს, რომლებიც ეხლა არ-
 სად ჩანან, და რომელთაც მოვი-
